



# ისტორიული მამკვიდრობება

სამათების კონფერენციალი შერნალი, 2017 წ. თებერვალი, №2(76), ფასი 3 ლარი

## 23 თებერვალი გიორგი მამკვიდრის სახეობის დღეა



«იყოს ჭაპუკი ესე ჰვილი ღმრთისა  
და მამა მრავალთა მონაზონთა, <sup>39</sup>  
რამათა ღმართსა გამოაჩინის»

## ლაზო მასებელი — 160 <sup>34</sup>



«ლ. მასებელის თავისი ფიქრი და  
ზრაცვანი ეართული თეატრის «საქონის  
მოცესრიგებისა და სასაქველ ინაგზე  
დაყინების» შესახებ პირნათლად  
გაასრულა. მან მრავალი ასალი  
კინა დადგა თბილისა და ქუთაისში,  
რომელიც განსაკუთრებული  
ადგილი დაიკავა შემდგომაში  
ეართული თეატრის ისტორიაში».

**4** არათის  
უნივერ-  
სიტემის  
ეართვალ  
სტუდიების  
უწყე-  
ბერვალება

**14** სტალინ-  
გრიბის  
გამარჯვების  
სამხედრო-  
კოლიტიკური  
ეადგენერალი  
და საართა-  
შორისო  
მიმღებელობა

**19** ივანე  
კარესალის  
«შისკარი»

**23** გარებობი  
ქიქოძა:  
შეოვარება და  
ზეობარივი  
იღეალი

**29** პირველი  
ეართვალი  
კონ-  
კრატორი

**43** შავ ააას |  
აღმოსავლათ  
საართვალოვა

გრაფიკი —  
ემ ელმორეა  
მიმღებელობა  
გაიქანა  
გამოალოს  
გოფლიო  
დამეაღობის  
**45** ისტორია

**49** ქვის  
საიდუმლოს  
ზიარებული  
გამოქვეყნი



**დავით აღმაშენებელი**  
საქართველოს ეპისკოპოსი  
«იმოწმეთებან  
დარუბადებისა  
საზღვრადოდე და  
ოვსეთიდგან სრუჩად  
და არეგაციადოდე»

# სარჩევი

„სწავლის პირი მფარე არის...“

■ რასთის უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტთა ყოფა-ცხოველება	4
„თარგღალებული“	
■ მისამართი გადავაიცვილი – ექიმი და საზოგადო მოღვაცე	11
ომი	
■ სტალინგრადის გამარჯვების სამხედრო-კოლეგიუმი გადავაიცვილი და სამორისმ მისამართი	14
■ ტარას იჩქიტიძე: რომორც სიციარება, სტალინგრადში 18 გარეაცელი გავაცადგარე	17
ლიაზონი გამული გამული	
■ ივანე ქარევაძის «ზოსკარი»	19
გარემო საჭირო საჭირო	
■ გარემო ქიქოძე: ცხოველება და ზეორებივი იდეალი	23
ქართველი პიროვნეულობა	
■ პირველი ქართველი კოლორიკატორი	29
ვარსკვლავის გახსენეა	
■ ქართველი კირის ლეგენდა	31
ივანლე	
■ ლადო მასევაილი – 160	34
ზემოდენა ცხოვრება	
■ «იური ჭავაგვი ეს ჰვილი ღმითისა და გამა მრავალთა მოდერნისა, რამთა ღმითისა გამოუჩივის»	39
სისხლით ღამილი ისფორი	
■ გავ აგას   აღმოსავლეთ საქართველო	43
არქეოლოგია	
■ გრაკლიანი – ავ აღმოჩეო მისამართის უისტლება გამოვალო მსოფლიო დამცადელობის ისტორია	45
ეს საიტერესოა	
■ ასტეროიდებს დაღამილი გაცადგარება უკაპლის	48
მაცხოველები გაცემს ტაცე: ღიოზურეა გაცეთება, გასაძლოა, დაღამილება ყველა ცოდნები არსება გაცადგარე	48
მათვრობა	
■ ქვის საიდუმლოს ზისაგანელი გამოქვეყნი	49

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი  
„ისტორიული მემკვიდრეობა“

UDC (უაკ) 050 (479.22)

0-892

სარედაქციო კოლეგია  
პასუხისმგებელი რედაქტორი დარეპარ ანდრიაძე  
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95



# ჩუსეთის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტია ყოფა-ცემარება

„ჩვენმა პედინიერმა ახალგაზრდობამ, საჭიროა, იცოდეს, როგორ პირობებში უხდებოდათ უმაღლესი ცოდნის მიღება მის წინა თაობებს, როგორი დუხტირი ცხოვრება ჰქონდათ მათ და, მიუხედავად ამისა, რა თავდადებული იყვნენ ისინი სწავლა-განათლებისათვის. ჩვენმა ახალგაზრდობამ გვინდა ისიც დაინახოს, მისი წინაპრები, ზედმინებით მძიმე ყოფა-ცხოვრების პირობებში როგორ უთავსებდნენ ერთმანეთს სწავლასა და საქართველოსათვის, ქართველი და სხვა ხალხის მეგობრობისათვის სასარგებლო, საზოგადო საქმიანობას. ახალგაზრდობამ საჭიროა იცოდეს, როგორ პირობებშია შექმნილი ის ტრადიციები, რომელთა გამგრძელებლებადაც ისინი ითვლებიან დღეს და მათი ვალია, შეინახონ, განავითარონ ყოველივე საუკეთესო, რაც შექმნილია წინა თაობების მიერ“, — ავტორის ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ და მიზანშენონილად მიგვაჩნია...

(დასასრული. დასაცემის იხ. „ისტორიული მაგავიდრეობა“ №1)

არც 900-იანმა წლებმა მოუტანა რაიმე კარგი სტუდენტებს. 1901 წელს იმავე „კვალში“ გამოქვეყნებული იყო მოსკოვის უნივერსიტეტში მოსწავლე ერთ-ერთი ლარიბი ქართველი სტუდენტის დღიური, რომელიც გვიჩვენებს არა მხოლოდ დღიურის ავტორის, არამედ სხვა მისი მრავალი ამხანაგის ცხოვრების აუტანელ პირობებს.

„1900 წლის 20 ნოემბერი. „არსა-იდან ხმა, არსით ძახილი“, ნამდვილად ასეა ჩემს „კამორკაში“ და მეც თვითონ აპა სად წავალ ამის-თანა „მაისის“ დღეებში უპალტო-ოთ და უკალოშოდ, თორემ ჩემს ოთახში ყოფნას ახლა ქვის კოდ-ვა ჯობია, გარეთ უფრო თბილა ვინემ აქ, სულ ლოგინში როგორ გავატარო დღეები ჯანმრთელმა კაცმა და, თუ ლოგინს მოვცილდი, იმისთანა თქვენს მტერს, მე რომ მომივა; — მართლა, რომ სა-მუდამოდ ლოგინში ჩავვარდები. დალოცა ღმერთმა, რომ სადილის საჭმელად სასადილოში წასვლა არ მჭირდება, რადგან შინ ვიხდი „შვიდოულს“, თორემ მაშინ იქნებოდა ქოჩირის გლეჯა! დალამდა

კიდეც და, მგონი, ნავთიც აღარა მაქვს. დილით შაქარმაც თავი და-მიკრა და აღარ ვიცი, როდის მობ-რუნდება. ეს ოხერი, რაღა ახლა გამომელია ყველაფერი! სადაც არის, გოგო შემოვა და რა მივცე ყოველივე ამის საყიდლად, რო-გორ დავშალო ჩემი ოქროს „არ-აფრიანი“. არ იტყვის, სული წმინ-და ხომ არ არის, შიმშილიც მე და ბნელში ყოფნაც! მართალია სახ-ლის პატრონი ქალი... დღეს უკანასკნელი ვადაა სექტემბრის და ოქტომბრის ფულის მისაცემი. სა-დაც არის ისიც შემოვა. ოცისათ-ვის, რომ შევპირდი, რომელი ჯა-მაგირის აღებას მოველოდი, მკითხოს კაცმა? კიდევ კარგი, რომ ამ სექტემბრის ლექციების ფული, რომელიც ბავშვებიდან ავიღე, ჩამოსვლისთანავე შევი-ტანე, თუმცა საჭმელად კაპიკი არ დამრჩენია. ამ მხრით მაინც თავი-სუფალი ვარ. დიდი იმედით უყუ-რებ ჩვენს მომავალ ქართულ სა-დამოს, რომელიც ზეგ გაჩაღდება. იქნება მის შემოსავლიდან ცოტა რამ მერგოს და წელიწადში ერ-თხელ მაინც გავსინჯო „წვნიანი“ რამე, ე.ი. ვისადილო და მასთან

ცოტა რამ სახლის პატრონ ქალ-საც ვარგო“.

ქართული საღამოს შემოსავალ-მა, როგორც ჩანს, დროებით შე-უმსუბუქა მდგომარეობა დღიუ-რის ავტორს, მაგრამ შემდეგ, 1901 წლის 10 იანვარს, ის წერს: „პირველი სემესტრი, როგორც იყო გავატარე, მაგრამ ამ მეორეს რაღა ეშველება. დღეები დღეებს მიჰყვება, თვეები — თვეებს, ჩემს შიმშილს კი არაფერი ეშველა, სა-დაც წავალ, თან მიმყვება, ეტყო-ბა, ძლიერ შევყვარებივარ: საფიქ-რალია, სამარემდინაც მიმაცი-ლებს; აი ასე უნდა ერთგულება: ნეტა ამისათვის წაებაძნა მეფოს-ტეს, ასე მალიმალ ნეტა ის მეჩვე-ნებოდეს. საწყალი ჩემი ნერილე-ბის ყუთი ერთთავად მეფოსტეს ელოდება, მაგრამ მის ლოდინს დასასრული აღარ მიეცა. ეს ერთი ხანია, დედაჩემი არაფერს მწერს, ნეტა ვიცოდე რა მოუვიდა, რა-ტყომ ცარიელი ბარათი მაინც არ გამოგზავნა, თუ ტვირთიანი არ შეიძლებოდა?“

ამ დღიურიდან ჩანს ისიც, რომ მისი ავტორი დიდი იმედით ელო-და კავკასიელ სტუდენტთა დამხ-მარე საზოგადოების დაარსებას. ამავე წლის 20 მარტს ის წერს:

„კაი ხანია, თვალყურს ვადევნებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და, როგორც ვხედავთ, ყველა მათგა-ნი ცდილობს, რომ რაიმე მოაგვა-როს ქართველ ღარიბ სტუდენტ-თა დასახმარებლად. ზოგირა ზო-მებს ურჩევს საზოგადოებას, ზო-გი რას. ცოტა არ იყოს, იმედი მო-მეცა კავკასიელ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების დაარ-სების. ესეც კარგია, უიმედო სი-ცოცხლე სიკედილის თანასწო-რია. ვუსურვებ, სიტყვა მათი არ დარჩენილიყოს სიტყვათ მღალა-დებლისა უდაბნოსა შინა“.



ცხოვრების ასეთმა პირობებმა 900-იან წლებში ბევრი ახალგაზრდა იმსხვერპლა. სიღარიბის მსხვერპლი გახდა ამ პერიოდში სწავლას უაღრესად მოწყურებული ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი სვიმონ ნერეთელი, რევოლუციური იდეებით გამსჭვალული მოწინავე ახალგაზრდა. მისი სიკვდილის გამო გამოქვეყნებულ ნეკროლოგში გულისტკივილით იყო აღნიშნული, რომ ევროპისა და რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობის ჯაფუფის მოაკლდა კიდევ ერთი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა, ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი სვიმონ ლენტორის ძე ნერეთელი. დიდი დანაკლისია, — აღნიშნავდა უურნალი, — როცა სამომავლო იმედს — მოზარდ მოსწავლე ახალგაზრდობის მცირე რაზმს ეცლება საიმედო და კარგი ამხანაგი.

განსვენებული სვიმონი ჯერ კიდევ ქუთაისის, შემდგომ თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, და როცა რომ სემინარიელთათვის უმაღლესი სასწავლებლის კარი დახშული იყო, ერევანში გადავიდა და იქ დაამთავრა გამნაზია. შემდეგ ოდესის უნივერსიტეტში საბუნების მეტყველო ფაკულტეტზე შევიდა. ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა, ამიტომ როცა მეორე კურსზე იყო, ავადმყოფბამ დასძლია. არავითარი სახსარი არ ჰქონდა, ავადმყოფბისათვის თავი დაელნია და გარდაიცვალა. ეს შესანიშნავი ახალგაზრდა, მიუხედავად და-

უძლურებისა, რამდენადაც ღონეშესწოდა, მონანილეობას იღებდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში”.

ამ დროის დუხჭირი ცხოვრების მსხვერპლი გახდა, აგრეთვე, იურიევის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტი, ნიჭიერი და კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდა გრიგოლ ნახუცრიშვილი. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ვრცელი წერილია მიძღვნილი მისი გარდაცვალების წლისთავისადმი, საიდანაც ვგებულობთ: დღეს 5 მარტს, შესრულდა ერთი წელი მას შემდეგ, რაც იურიევში უდროვოდ გარდაიცვალა საბუნების მეტყველო ფაკულტეტის ახალურსდამთავრებული გრიგოლ ნახუცრიშვილი.

დიდად აფასებდნენ ამხანაგები და მეგობრები ნახუცრიშვილის იშვიათ ნიჭს, თავგანწირულ შრომას. 1900 წ. გრიგოლმა დაამთავრა სემინარია სტუდენტის ხარისხით. ამის შემდეგ იგი მოეწყო იურიევის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მერე გადავიდა დაუსწრებელ საბუნების მეტყველო ფაკულტეტზე. 1901 წ. მაისში გამოცდების ჩაბარების შემდეგ ახალი საზრუნავი გაუჩნდა: როგორ გაეგრძელებინა სწავლა მეორე წელს; მართლაც, მეორე წელინადი გრიგოლმა ნახევრად მშეირმა გაატარა, მაგრამ მესამე კურსზე მაინც გადავიდა. მან შესანიშნავი ნიჭი გამოიჩინა საბუნების მეტყველო საგნებში, განსაკუთრებით ფიზიკასა და ქიმიაში. „1902 წლის ზაფხულში, —

წერს ნახუცრიშვილის ერთ-ერთი ამხანაგი, — განსვენებულმა მითხრა: მინდა ისეთი მანქანა ან პარატი გავაკეთო, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იქნება უმავთულოდ დეპეშების გადაცემა... მე მოვაგონე იტალიელი მეცნიერის — მარკონის გამოგონება. „არა, თქვა მან, მარკონის აპარატი სულ სხვა სისტემისაა. კარგად მაქვა შესწავლილი, ის შორს მანძილზე დეპეშების გადასაცემად არ ვარგა, ჩემი კი ისეთი უნდა იყოს, რომ, რა მანძილზედაც გინდა, გადასცემ დეპეშას. ეს მოწყობა საწერი მანქანის შემწეობით და ისეთი უნდა იყოს, რომ ერთ კაცს შეეძლოს ხუთი ექვსი, და თუ გინდა, ათი კაცის მაგივრად იმუშაოს“.

ის მუშაობას შეუდგა, მაგრამ უფულობა ზედმინევნით უშლიდა ხელს. დახმარებისათვის მიმართა 6. ცხვედაქს, რომელმაც დაუნიშნა მას თვეში 15 მანეთი სტიპენდია.

1903 წელს, გაზაფხულზე, გ. ნახუცრიშვილმა მანქანის მოდელი ვრცელი განმარტებით წარუდგინა პროფ. სადოვსკის. სადოვსკიმ დიდად მოუწონა, როგორც აპარატი, ისე მისი ანერილობა და ურჩია, ნასულიყო პეტერბურგში და სამეცნიერო აკადემიისათვის წარედგინა.

აკადემიამაც ძალიან მოიწონა გამოგონება, და ურჩია განსვენებულ პრიორიტეტის დამტკიცება, მაგრამ აქაც უფულობა გადაელობა ნინ. პრიორიტეტის დამტკიცებისათვის საჭირო იყო 30 მანეთი, ხოლო თვით მანქანის შექმნისათვის — 400-500 მანეთი. გ. ნახუცრიშვილი აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვერსაიდან ვერაფერი ვერ მიიღო.

1904 წელს გამოცდების ჩაბარების დროს ცუდად გახდა, მაგრამ მაინც ყველა გამოცდა ჩაბარადა მშობლებს შეატყობინა, უკანასკნელ გამოცდას ვაბარებ და თებერვლის ბოლოს მანდ ვიქნებიო. მაგრამ სულ სხვაგვარად დატრიალდა მისი ბედი. გამოცდები ჩაბარა, უნივერსიტეტი დაამთავრა, მაგრამ უფულობის გამო სამშობ-

**გრიგოლ ნახუცრიშვილის ხეირად ახსენებდენ**  
**იურივის უნივერსიტეტის**  
**პარატი მარკონის ახალგაზრდა**  
**განსაკუთრებული უნივერსიტეტის საბუნების მეტყველო**  
**ფაკულტეტზე შევიდა. ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა, ამიტომ როცა მეორე კურსზე იყო, ავადმყოფბამ დასძლია. არავითარი სახსარი არ ჰქონდა, ავადმყოფბისათვის თავი დაელნია და გარდაიცვალა. ეს შესანიშნავი ახალგაზრდა, მიუხედავად და—**



ლოში ვერ დაბრუნდა. შიმშილმა კვლავ გაუმწვავა ავადმყოფობა და სახლის ნაცვლად ამხანაგებმა კლინიკაში მოათვასეს, სადაც 5 მარტს გარდაიცვალა.

„ამხანაგებმა და პროფესორებმა პატივის ცეკვა — განაგრძობს გაზეთი, — და მის საფლავზე ძეგლი ააგეს. მას ხშირად ახსენებდნენ იურიევის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მაგრამ განსაკუთრებით ფიზიკის პროფესორი, რომელიც ერთ ლექციას არ წაიკითხავდა ისე, რომ გრიგოლი არ ეხსენებინა, შესანიშნავი ნიჭისა და თავგანწირული შრომის უნარის მქონე ახალგაზრდა. ამასთან ის ყოველთვის ხაზს უსვამდა იმასაც, რომ ეს ნიჭიერი და შრომის მოყვარე ახალგაზრდა კაცი გახდა მსხვერპლი აუტანელი სიღარიბისა“.

900-იანი წლების მინურულში კიდევ უფრო მძიმე გახდა სტუ-დენტთა საყოფაცხოვრებო პირობები.

„მოსკოვის უნივერსიტეტის  
სტუდენტების, მეტი თუ არა, სა-  
მი მეოთხედი მაინც წელს მეტ გა-  
ჭირვებას განიცდის, ვინერ როდი-  
სმე წინად განიცდიდა“, — წერს  
უურნალ „მნათობში“ მოსკოვის  
უნივერსიტეტის ქართველი სტუ-  
დენტი ფსევდონიმით „ივ-ძე“.

„დავინუყოთ ოთახების გაძვირებიდან, — განაგრძობს იგი, — ოთახების ფასებმა შედარებით წინანდელ წლებთან, იმ ზომამდე აინია, რომ წარმოდგენაც კი მეტად ძნელია; მაგალითად, ოთახი, რომელიც წასულ წელს 20-25 მანეთად ქირავდებოდა, ეხლა 30-დან 35 მანეთამდე ლირს. ამასთანავე, წინა წლებში 20-25 მანეთიან ოთახს ორი ამხანაგი ქირაობდა და და ერთად ცხოვრობდნენ, რომ იაფად გამოსულიყვნენ, წელს კი თუ უმეტეს ნაწილად არა, ხმირად მაინც 30-35 მანეთიან ოთახში ერთის მეტს არ აყენებენ. თუ უნივერსიტეტს მოსცილდები 5 და კიდევ მეტი კილომეტრის მანძილზე, შეიძლება იშოვო 15-16 მანეთად პატარა ოთახი, იმდენად პატარა, რომ ერთს სტუდენტს გაჭირვებით შეუძლია მოთავსდეს.

ამნაირად, ოთახის ფასზე თუ მი-  
ვუმატებთ მომსახურეობის და  
განათების ფასს, რაც 2 მანეთს  
უდრის, გამოვა 17-18 მანეთი; მა-  
შასადამე სტუდენტს მარტო ოთა-

სი, მოსამსახურე და განათება და-  
ახლოებით უჯდება 17-19 მანეთი.  
ამას უნდა მივუმატოთ სადილის  
ფასი; რაც უნდა მცირე სადილით  
დაკმაყოფილდეს სტუდენტი, 10  
მანეთი უეჭველად უჯდება; შემ-  
დეგ დილა-სალამოს ჩაი შაქრით,  
სარეცხი და ბევრი სხვა უპირვე-  
ლები საჭირო ნივთები, ყველა  
ამას, სულ მცირე, 8-10 მანეთი უნ-  
და. ამნაირად, ტანისამოსისა და  
საჭირო წიგნების გარდა, რომ  
ცოტა გვარიანად იცხოვროს  
სტუდენტმა, მას თვიურად უნდა  
ჰქონდეს არა ნაკლებ 35-40 მანე-  
თისა. ნამდვილად კი სტუდენტო-  
ბის დიდ უმრავლესობას ამის ნა-  
ხევარიც არ მოეპოვება. ბევრია

ისეთები, რომლებიც სახლიდან ერთ კაცების არ იღებენ. იმათი რიცხვი კი, ვინც 25-50 მანეთს იღებს, არ აღემატება დაახლოებით 3000-ს, მაშინ როდესაც მოსკოვის უნივერსიტეტში 9000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს, იმისთანები კი, რომლებიც 40 მანეთზე მეტს იღებენ, თითებზე ჩამოითვლება. გაკვეთილის შოვნა და მასზე იმედის დამყარება ტყუილი ოცნება იქნებოდა; სხვა რაიმე ინტელიგენტური სამუშაოს შოვნა გაკვეთილის შოვნაზე ძნელია. აშკარაა, სტუდენტებს ერთიდა დარჩენია: იშიმშილონ, სანამ მოთმინება და ძალა დარჩენიათ, და კიდეც შიმშილობენ, მაგრამ შიმშილობს არა მარტო უნივერსიტეტის 6 ათასამდე სტუდენტი, — თუ მეტი არა. ერთი ამდენი მაინც სხვა სპეციალური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა უნდა მიუმატოთ და ამნაირად გამოვა მშიერ სტუდენტთა, სულ მცირე, 12-ათასიანი არმია, რომელიც ნარმოუდგენელ გაჭირვებაში იმყოფება.

ამ გაჭირვების შესამსუბუქებლად არსებობს უნივერსიტეტის სასადილო, რომლის მიზანია, მიაწოდოს სტუდენტობას იაფთასი-

ანი სადილები და ზოგსაც უფასოდ აძლიოს, მაგრამ ვერც ეს სასადილო შველის გაჭირვებას, წინათ ამ სასადილოში ორ-კერძიანი სადილი ღირდა 6 მანეტი, შემდეგ 7 მანეტი და 60 კაპეიკამდე ასწიეს და ახლა კი 9 მანეტი ღირს. უკანასკნელი მხოლოდ 200-300 სადილს იძლევა, რადგან მეტის მოცემის საღსარი არ შესწევს.

ამ დიდი გაჭირვების ნათელსა-  
ყოფად, — აღნიშნავს წერილის  
ავტორი, — ყურადღებას მივაქ-  
ცევ შემდეგზე: უნივერსიტეტის  
კარიდორებში ხშირად შეხვდებით  
ასეთ განცხადებას — „ამხანაგე-  
ბო! სიცივით ვკვდები, მაჩუქეთ  
თუ რომელიმეს გაქვთ ძველი ტა-  
ნისამოსი! მისმინეთ, ნუ მომკლ-  
ავთ სიცივით“. ქვეშ აწერია მისა-  
მართი, სადაც შეიძლება ძველი  
ტანისამოსის მიტანა, ანდა ძველი  
ტანისამოსის მქონე თუკი გამოჩ-  
ნდა, ასეთ განცხადებაზე მიაწერს  
თავის მისამართს, სადაც უნდა  
მიაკითხოს განცხადების გამომკ-  
ვრელმა. ან კიდევ: „ამხანაგებო!  
ფეხზე არ მაცვია, ფეხშიშველი  
სიარული უნივერსიტეტში და  
ისიც ამ ყინვაში, თქვენ იცით შე-  
უძლებელია, მომეცით თუ ვისმეს  
გაქვთ ძველი ფეხსაცმელები“, და  
სხვა ბევრი ამგვარი განცხადებე-  
ბი; რასაკვირველია, ასეთ პირო-  
ბებში მყოფი სტუდენტი არაფერ  
შავ სამუშაოსაც არ ითაკილებს.

ამას ნინათ, — განაგრძობს ავტორი, — მოსკოვის გაზეთში აწერილი იყო ერთი სტუდენტის მდგომარეობა. სტუდენტს ერთ ღარიბ მცხოვრების სამზარეულოს ერთი კუთხე უქირავებია და იქ მოუწყვია სანოლი ბინა და თან შეუსწავლია მეჩექმის ხელობა და აკერებს ძველ ფეხსაცმელებს, ამნაირად მოულობს თვეში 6 მანეთს და კხოვრობს ამით“.

ნელები გადიოდა და სტუდენტ-თა მდგომარეობა სულ უფრო სავალალო ხდებოდა. 1910 წლისათვის გაძვირდა სურსათი, პინები, ტანსაცმელი და სხვ. მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ქართველი სტუდენტი „ღამურას“ ფსევდონიმით „სახალხო გაზეთში“ წერს: „ყოველ წელს მეტად

ମେଞ୍ଜାବଦେଖିଲା କିନିକି ସାକିତ୍ଥୀ, ଏକାମଧ୍ୟ 20 ମାନ୍ଦେତାଫ ମାନ୍ଦିନ୍ତି ଶୈଦ-  
ଲ୍ଲେବନ୍ଦା ଗେଶିଵନ୍ଦା ସାଫମେ ଉନିଵେର-  
ସିଟ୍ରେଟିଳ୍ ଆବଳମ୍ବନ ପ୍ରତ୍ଯାମନି ତୁମ୍ଭେ-  
ରାଫ ରିଗିନାନ୍ତି ଓତାବି; ଏହିଏ ଏହି  
ସିତ୍ପ୍ୟାବ „ଓପି ମାନ୍ଦେତା“ ଓତାବିଳେ  
କାତ୍ରିନନ୍ଦା ଲ୍ଲେବିନ୍କନ୍ଦିଶି ନାଇମାଲା  
ଏ ସାମ ତୁମାନ ନାକଲେବ ଓତାବିଳେ  
ଫାସେ ପ୍ରେରିଶାଫ ଗାଇଗନ୍ଦେବ. ହେବେନ୍ଦି  
ଶ୍ରିଅନ୍ତର୍ଦେଶୀସାତ୍ତ୍ଵିଳୀ, ରମନ୍ଦିଲୀଶ ଦିନ୍ଦୁ-  
ଜୀବିତସାତ୍ତ୍ଵ, ଇସିପି ନିଷ୍ଠିତାଫାନ୍ଦ, ମନ୍ଦିର-  
ଲୋଦ 25 ମାନ୍ଦେତା ଶେଷାଫଗନ୍ବି — ଏହି  
ଅମଦାବାଦ ମେତାଫ ଦାଗରନ୍ଦନବେଲିନ୍ଦା. ଅମି  
ମିଥିନିତ ଅନ୍ତର୍ଦେଶୀ ଗାଇନ୍ଦିନ୍ଦନ କ୍ଲାନ୍‌ଜ-  
ଗାର୍ଜେଟ ଏବଂ ଉନିଵେରିଶିତ୍ରେତିଶ ଶ୍ରିଅନ୍ତର୍ଦେଶୀ  
ଏବଂ ତୁ ନେବେବି କ୍ଵାରିଶାନ୍ତି ଓରଜ୍ଜେର  
ଅନ ଜ୍ରିତ୍ବେଲ, ତାନର୍ମେ ସବ୍ରାଗବାରାଫ  
ଅନ ଶିମଶିଲୀ ମନ୍ଦିରାବସ ଏବଂ ଅନ ସିନ୍ଦି-  
ବେ. ଏକ କିନ୍ଦିବେ ଶିନ୍ଦାବଲୀଶ ଫ୍ରେଣ୍ଡୀ, ତା-  
ନିଶାମନ୍ଦିଶି, ଗାନ୍ଦିଶାକ୍ଷୁତରିବେଳିତ ସା-  
ଧାମତରିନ, ମିତ ଉତ୍ତରିନ, ରମ ମନ୍ଦ-  
ବ୍ରାତେ ତାନବ୍ଲୀ ଶୁକ୍ରବେ ଏଶିତ୍ରୁମରା ଗା-  
ଶ୍ରୀଲ କ୍ଵାରିଶାନ୍ତି. ଆବଳାବେ, ଗାଶ୍ରୀଲ  
ନିଲ୍ଲେବିତାନ ଶେଫାରିବେଳିତ, ସିନ୍ଦିବେବେଳି  
ଦାଗରନ୍ଦନବେଲୀ ଧାଇଫିରା. ଶେମନ୍ଦ-  
ଗମା ନାଇମାଲା ଏବଂ ନିରଦାବିନ ଚାମ-  
ତାରି ଫାଫଦା. ଦୀଗିଏରିତି ହେବେନ୍ଦି  
ଶ୍ରିଅନ୍ତର୍ଦେଶୀତିଶ ମଧ୍ୟମାର୍କନ୍ଦା ଅସେ-  
ତିଆ, ରମ ଧିଲିତ ସାନାମ ପ୍ରତ୍ଯା ଏର  
ଏବଂତବେବା, ଏ.ଓ. ଶ୍ରୀଅନ୍ତର୍ଦେଶୀ ଏବଂ  
ମିଥିଶିନ ଶୁକ୍ରାଲ୍ଲତିନବେବା ଏବଂ ଶେଶାଫ୍ରେ-  
ରିନ୍ଦ ତାନିଶାକ୍ଷମିଲୀଶ ଶ୍ରୀନିନିନବେବା. ଅମି  
ମିଥିଶିତ ନିଷ୍ଠିଲ୍ଲେବ୍ରୁଲିନ ଲ୍ଲେବ୍ରୁଲିନ ଲ୍ଲେବ୍ରୁଲିନ  
ଶ୍ରୀ ଦାଗବାନିନ୍ଦା ଦା ଦୀଗଶ ଶ୍ରୀଲ ମିନ୍ଦିନ୍ଦା  
ତାବୁନ୍ଦ ତାବୁନ୍ଦ, ରାଧାବାନାଫ ଲ୍ଲେବ୍ରୁଲିନ  
ଧିଲିନ୍ଦ 9 ସାତାତିଦାନ ସାଲାମନ୍ଦ 8 ସା-  
ତାମଧ୍ୟ କ୍ଵାନିତବେବା, ଏବଂ ଏଶେତ ଫରନ୍ଦ  
ରାଗନ୍ଦ ଶୁକ୍ରବେ ଗାମନ୍ଦିଶ ତାବୁନ୍ଦ କାର-  
ଶି ତିନିବେଲା ପାରିବା.

ამავე წელს ქართველი სტუდენტების მატერიალური მდგომარეობის შესახებ უურნალ „განათლებაში“ გამოქვეყნებულია პეტერბურგელი ქართველი სტუდენტის ლადო გეგეჭკორის წერილი სათაურით: „უმაღლეს სასანავლებლებში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის მატერიალური მდგომარეობა“. „უმაღლეს სასანავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი, — წერს იგი, — შიმშილს განიცდის, მატერიალურად დაქვეითებულია. სილარიძე და შიმშილი, ლუკამა პურზე ფიქრი და ზრუნვა მძიმე ლოდივით თავს დაგვწოლია. სულს გვიხუთავს, გვიშლის ხელს სწავლას უფრო ღრმად ჩავჭიდოთ ხელი, მეცნიერებას უფრო სწორის იმედით გავსდიოთ. აი ერთ-ერთი წერილი ამის დამადასტურებელი, რომელიც მომივიდა მე ტომსკში მცხოვრებ ერთ-ერთ ქართველ სტუდენტისაგან. „მოგიყვებით ჩემს ამბავს, ტომსკიდან შემატყობინეს ქუთაისში, მიღებული ხარო. ეს კარგი, მაგრამ ახლა ფულის შოვნა იყო საქმე. დიდის წვალების შემდეგ ვიშმოვე ფული და გავემგზავრე 7 თუმნით. 3- მანეთი ბილეთში მივეცი. 8 მანეთი ბარგში, ტომსკში რომ ჩამოვედი 20 მანეთი მქონდა. აქ სამოსწავლო ნივთების ყიდვის შემდეგ არაფერი დამრჩა. ერთი კვირის შემდეგ მომივიდა 30 მანეთი, დასახლისათა ათასის ქირა მივეცი და ისევ ცარიელი დავვრჩი. მას შემდეგ არაფერი მომსვლია. რაღა სიცოცხლეა, ჩემო ძმაო, ამისთანა სიცოცხლე. ერთი მითხარი რა მეგადი-

ნეობა შეუძლია კაცს როცა შიმშილი კუჭს სწვავს. დღეს მეთვრამეტე დღეა, რაც მე სადილი არ მიჰამია. ჩემს საჭმელს შეადგენს დილას და სააღამოს ჩაი და პური. ამხანაგებს ვერ მივმართავ, რადგანაც იმათაც იმდენი მოსდით, რომ თვითონ ძლივს ჰყოფნით. ისევ მეხმარება მ.ქ. ხან რვა კაპეიკს მაძლევს, ხან ორ შაურს დღეში ამ ფულით დილა საღამოს პურს ვყიდულობ და მეტი არაფერი. სახლში რომ მივწერო მაინც ვერ იშოვნიან და ვერ გამომიგზავნიან. ასეა, ძმაო, საქმე და თუ არ მოვკვდი შიმშილით ხომ კარგი, თუ არა და რა ვუყოთ: თავს ზემოთ ძალა არ არისო ნათქვა-მია... შენი ძმა და ამხანაგი ტ.“.

მომდევნო წლებში ხომ სრულია და აუტანელი გახდა სტუდენტთა და კერძოდ ღარიბ ქართველ სტუდენტთა მდგომარეობა. მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტი ფსევდონიმით ი.ქ-ძე „მნათობში“ წერდა: „ვინ არ იცის, რომ ქართველი სტუდენტობის დიდი უმრავლესობა უსახსრობის გამო წარმოუდგენელ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის. მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში ქართველ მოსწავლე სტუდენტთა რიცხვი 300-350 კაცს აღემატება და მათში ერთი მეტადიც არ არის უზრუნველყოფილი, თითებზე ჩამოთვლა შეიძლება ისეთების რომლებიც თვეში მშობლებისაგან 40-50 მანეთს იღებენ. ზოგს თვიურად ძლივს აქვს 15-25 მან., ზოგი კიდევ უფრო წაკლებს, ან სულ არაფერს არ იღებს; ამ უკანასკნელთა რიცხვი კი მეტად დიდია. ესენი გაკვეთილის შოვნის იმედით ცხოვრობენ, მაგრამ აქ გაკვეთილების შოვნა დიდ ბედნიერებას წარმოადგენს. დანარჩენი კი?.. წარმოუდგენელია იმათი გაჭირვება: ზოგს ოთახი არა აქვს, და იძულებულია ყოველ საღამოს ხან ერთ ამხანაგთან იყოს, ხან მეორესთან, ზოგს სადილის ფული არ ეშოვება და თუ სულ არა ხახევარჯერ მაინც მშიერია. რაც შეეხება სხვა უპირველეს მოთხოვნებს, ამაზე ღაპარაკიც ზედმეტია. საჭიროა დახმარება, მაგრამ

ჩვენი სტუდენტისათვის, რომელის გიუჯაზეაშ,  
ისის იქვიათად, მხოლოდ 25 აარეთი გეგადგაც  
— ეს ააჩავი მატად საგრძნობელია. აა მიზნით  
ან უდია გაისიზონ კალაპგარეთ და უცივესიტეტს  
სტუდენტი თუ ეცველი კვირაში ორჯერ აა ერთხელ,  
თორება სცვაგვარად აა შეიშილი მოკლავს და ან  
სიზოვე. აა კიდევ სცვალის ფული, ტანისამოსი,  
განსაკუთრებით საზამთრო, მით უფრო, რომ  
მოსკოვში თოვლი ეკვე ესტუმრა გასულ ქვირაში.



ვისგან უნდა მოელოდეს დახმარებას გაჭირვებაში მყოფი სტუდენტი? წინათ სათვისტომო აძლევდა დახმარებას თავის უღარიბეს წევრებს და ამით უმსუბუქებდა მდგომარეობას, მაგრამ სათვისტომოს ეს არ შეუძლია, რადგან ამ პირობებში, როგორშიც ახლა რუსეთია, სათვისტომოები საღამოების გამართვას ვერ ახერხებენ და, რასაკვირველია, შემოსავალიც არა აქვთ. ამიტომ, ამჟამად მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველთა სათვისტომოს სალაროში მხოლოდ 40 კაპეირი დგენს.

ქართველ სტუდენტთა კიდევ ეფექტურო მძიმე ეკონომიკურ პირობებს აგვინწერს გაზეთ „თემში“ მეორე ქართველი სტუდენტი: „თუმცა პაპევრი დაინიშნა ქართველ სტუდენტთა გაჭირვების თაობაზე, მაგრამ ის სავსებით გარკვეული და გათვალისწინებული არ არის.

დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ  
საზოგადოებას ჯერაც ვერ წარ-  
მოუდგენია ის უმნეობა, რასაც  
ჩვენ განვიკლით.

ძალიან ბევრი სტუდენტი ცხრა  
კაპიკად სადილობს და თუ ხან-  
დისხა 13 კაპეკი დახარჯა, დი-  
დი ნასიამოვნები იქნება მთელ  
დღეს. მეორე რა ყუათი უნდა მის-  
ცეს ამისთანა „სადილმა“? რა  
თქმა უნდა, არავითარო. საწყლე-  
ბი ბინაზე დაბრუნების უმაღ  
მწვავედ გრძნობენ შიმშილსა და  
მოუთმენლად მოელიან შეღამე-  
ბას, რომ ჩაით მაინც გამოიჭყი-  
პონ.

აი ერთი „სასაცილო“ ამბავთა-  
განი. სტუდენტმა კ.გ. როგორც კი  
შეატყო, რომ შინითან მიღებული

გროშები არა ჰყოფნიდა, შემშელი  
კი საშინლად აწუხებდა — გადაწყ-  
ვიტა, მიემართა ექიმისათვის, რა-  
თა მას ისეთი წამალი მიეცა, რო-  
მელიც მადას დაუკარგავდა.

მეორე სტუდენტმა კიდევ მოი-  
ნადინა მიემართა უნივერსიტე-  
ტის ექიმისათვის, რომ უსასყიდ-  
ლოდ გამოეწერა მისთვის ყუათის  
მომცემი წამალი“. ასეთმა უმწეო  
მდგომარეობამ სტუდენტობა იქ-  
ამდე მიიყვანა, რომ მრავალი იმ-  
ედდაკარგული ახალგაზრდა თა-  
ვისი ხელით ისპობდა სიცოცხ-  
ლეს.

„დიახ! — ნერს 1908 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ქართველი სტუდენტი ფსევდონიმით „ივ-ძე“, ბევრი ვერ იტანს მუდმივ შიმშილობას, ვერ იკმაყოფილებს თავს მარტო პურით და იძულებული ხდება თავის ხელით მოისპოს სიცოცხლე, იზრდება თვითმმართველობათა რიცხვი უმაღლეს სასანავლებლებში (კვირაში თვითმკავლელობის სამიოროხი შემთხვევა არის). ისინი ტოვებენ მოკლე, ლაკონიურ წერილებს: „ვერ გავუძელ მუდმივ შიმშილობას“, „ან „ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია“ და სხვა ამგვარი“.

თვითმკვლელებს შორის იყვნენ ქართველი სტუდენტებიც. ეს შესანიშნავი, მედგარი ვაჟაპატები, რომლებიც არავითარ დაბრკოლებას არ უშენდებოდნენ, მუდამ სხვისი იმედისა და ნუგეშის მიმცემი იყვნენ და ერთმანეთისადმი განსაკუთრებული მეგობრული დამოკიდებულებით ყოველმხრივ ცდილობდნენ, შეემსუბუქიბინათ ურთიართის მდგომარეობა.

ଓବା, ଆୟତନାଙ୍ଗଲି ଗାଫିରୁଗ୍ରେବିସ ଗାମି  
କାରଗାଗଣ୍ଡନେବ ନୋନାଶନୋରାବାସ ଦା  
ଧଦିମେ ଗାନ୍ଧିଫିଲ୍ ଜ୍ଵେଷ ମନ୍ଦିରପ୍ରେସ୍‌ଲିନ୍ଡି  
ଶେଖରାଚ୍ଯୁନ୍ତକୁଳିଲ୍ ସିଫାରାଚ୍ଯୁଲ୍ଲେସ  
ସିକ୍ରିପ୍ରଦିଲ୍ସ ଅରହିତନ୍ଦନେବ. ଏମ ମଧ୍ୟବି-

კულტურული მემკვიდრეობის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტი გახტანგ გულისაშვილი წერდა: შარმანნინ მასის შუა რიცხვებში თავი მოიკლა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტმა გუგული მხედვებმა. შარმან 21 ნოემბერს თვითმკვლელობით დაამთავრა თავისი სიცოცხლე მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ნიკოლოზ სიამაშვილმა, რომელსაც ერთი სახელმწიფო გამოცდა დაპქონდა ჩასაბარებელი. გუშინ 19 ნოემბერს დილის 5 საათზე კავკასიური საღამოს შემდეგ საზოგადოებრივი საკრებულოს დარბაზში თავი მოიკლა ფილოლოგიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა დათიკო ულენგმა, სიცოცხლით სავსე და სწავლის დაუშრებულელი სურვილის მქონე ახალგაზრდამ. მან როგორც დანარჩენმა ზემო დასახელებულებმა ვერ გაუძლო სიმშილსა და სიცივს.

თვითმშეცვლის პირობებში ოცნებაც კი არ შეიძლებოდა მათი მატერიალური პირობების გაუმჯობესებაზე, ამიტომ კვლავ გრძელდებოდა სტუდენტთა სიღაცხვირე და მასთან ერთად მეორდებოდა უბედური შემთხვევები(2).

სტუდენტთა ხსნა მხოლოდ გან-  
მათავისუფლებელ მოძრაობაში  
იყო. მათი პირობების გაუმჯობე-  
სება მხოლოდ თვითმცყრობელო-  
ბის დამხობის შედეგად იყო შე-  
საძლებელი. ეს იკოდა სტუდენ-  
ტობამ და ამიტომ იბრძოდა ასე-  
თი თავგამოდებით მეფის მთავ-  
რობის დამხობისათვის, სწავლისა  
და შრომის თავისუფლებისათვის,  
არსებობის საშუალებისათვის.  
მაგრამ ყველაზე საკვირველი ის  
იყო, რომ ასეთ აუტანელ პირო-  
ბებში სწავლის წყურვილი არ  
უნელდებოდა არა მხოლოდ რუ-  
სეთის ქალაქებში უკვე ჩასულ  
ქართველ ახალგაზრდობას, რო-  
მელიც იძულებული იყო ბოლომ-

ქალიან ბევრი სტუდენტი ცხრა კავკაზ  
საღილობს და თუ საღისესან 13 კავკაზი დასაჩა,  
ძილი ცაგენამოვები იქცება მთელ ძღვას.  
ეროვანი ას ყველი უდია მისცა აპისტანი  
«საღილება»? რა თქმა უდია, არავითარი.  
საცელები ბინაზ დაბარების უაღ მცვავად  
გრძელებას გვიშალსა და მოკიდებულ მოკლიან  
ჰელვეტიას, რომ ჩაით მაიც გამოიჭყიო.



დე მიეყვანა დაწყებული საქმე, არამედ ახლად საშუალო სასწავლებელდამთავრებულებსაც, რომლებმაც იცოდნენ რუსეთის ქალაქებში ქართველ სტუდენტთა უმნეო მდგომარეობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც თავდავინყებით მიიღოტვოდნენ იქით უმაღლესი განათლების მიღებისათვის.

ეს კეთილშობილური სითამამე, — წერს ქართველი ახალგაზრდობის თავდადების შესახებ ილია ჭავჭავაძე, — ეს პატიოსანი თავგამომეტება, ეს, თუ ვნებავთ, ვაჟკაცური წინდაუხედაობა — უკეთესი სამკაულია ყოველის კაცისა და ყმაწვილკაცობის ხომ უკეთესი და აუცილებელი ღირსება და კუთვნილებაა. უკეთეს მოხუცს თუ რამ ენანება თავისის წარსულისა, სწორედ ამ თვისებათა შესუსტება ენანება ხოლმე და ამიტომაც არც ერთი გონიერი და სულგრძელი კაცი ამისთანაებში არ უსაყვედურებს ყმაწვილ-კაცს, წინდაუხდავი რათა ხარო. საცაკეთილია, იქ აღებდადება არ უნდა და რომ სწავლა საზოგადოდ და უმაღლესი საკუთრივ კეთილია — ამას ეხლა ყურ და თვალდახშულიც აღიარებს. აქ ჩვენ ყმაწვილკაცობას თავგანწირვას ვერაფერს წუნს ვერ დავსდებთ და ვინც წუნს დასდებს, შესცოდებს ღმერთსაც და კაცსაც".

განსაკუთრებით მძიმე პირობები შეიქმნა სწავლისათვის მსოფლიო ომის დროს. არც ბინა, არც საჭმელი, არც ტანისამოსი, მუდმივი შიმშილი, სიცივე, უბინაოდ აქეთ-იქით ხეტიალი მანანნალასავით, აუცილებელი თანამგზავრები იყვენ ქართველი სტუდენტობის დიდი უმრავლესობისა. ოლონდ კი თავი გამოევებათ და სტუდენტები არაფერს არ თაკილობდნენ. ერთი სტუდენტი, მოსკოვის ერთ-ერთ თეატრ-ვარიეტეში ცეკვავდა, რათა ეარსება. „მოსკოვის თეატრ-ვარიეტე „მაქ-სიმში“, — წერს გაზეთი, — ლეკურს ცეკვავს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ვანო ნანიშვილი, რომელსაც ოვაციებით ხვდება საზოგადოება. „მაქსიმში“

დირექტია თვიურად აძლევს ას მანეთს, რადგანაც ნანიშვილი ერთი იმათგანია, რომლის მონაწილეობაზეც არის დამოკიდებული თეატრის შემოსავალი; როგორც გადმოგვცემენ, ამ ახალგაზრდას ინვევენ ამერიკაში სან-ფრანცისკოს გამოფენაზე".

ასე იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინაპერიოდშიც.

1916 წელს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულია მოსკოვის ქართველთა საზოგადოების გამგის — ბარბარე მიხელის ასულის კაპანაძის განცხადება ქართველ სტუდენტთა მდგომარეობის შესახებ, სადაც წერია: „მოსკოვში საკმარისად აცივდა. ქართველი სტუდენტები აუტანელ გაჭირვებას განიცდიან. შევი პური არ იმოვება, ოთახები არ არის. ცის ქვეშ დარჩა მრავალი ქართველი. ნაწილმა თავი შეაფარა მოსკოვის ქართველთა საზოგადოების ბინას და ამავე საზოგადოების ლაზარეთს. ოთახი თვეში 40-50 მანეთ ნაკლები არ არის. თვეში 80-90 მან. ნაკლებ ცხოვრება შეუძლებელია“. შემდეგ კვლავ გამოქვეყნდა ბ. კაპანაძის წერილი: „სიძვირე ფართო ხასიათს იღებს. სტუდენტთა სასადილოში პურს ნაკლებს იძლევიან. ყველაფერს ფასი ემატება“.

ამგვარად, თვითმპარობელობის პირობებში რუსეთის ქალაქებში უნივერსიტეტის დაარსეის დღიდან ოქტომბრის რევოლუციამდე, სტუდენტთა უმრავლესობა სიღატაკეში ატარებდა თითქმის მთელი ჭაბუკობის პერიოდს, იმ წლებს, როცა მთელი სიცოცხლის მანძილზე მოსაგონარი სიამოვნება უნდა მიეღო.

რა შესანიშნავად გამოხატა ქართველი ახალგაზრდობის უდიდესმა მოსიყვარულებ და მოამაგემ, დიდმა ილიამ, ქართველი ახალგაზრდობის თავგანწირვა სწავლისათვის: „რამდენს დაულევია უდლეოთ სიცოცხლე, მშობელთა და მახლობელთაგან დაუტირებელს, მარტო იმის გამო, რომ შიმილით დაუძლურებულს ხორცს ვეღარ უტარებისა ღონიერი სული

ჭაბუკისა სწავლის ეკლიან გზაზედ? რამდენს დედას გამოსცლია ამ გზით ხელიდამ შვილი, რამდენს დას — ძმა, რამდენს მეგობარს — მეგობარი და რამდენი საიმედო შვილი დაჲჰენარგვია ქვეყანას!..

რუსეთის ქალაქებში სასწავლებლად წასულ ასეთ მძიმე მდგომარეობაზეც აირიდა გონება მუდამ თავის სამშობლოსაკენ ჰქონდა მიმართული. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, სისტემატურად მიელოთ დაწვრილებითი ცნობები საქართველოს შესახებ, თუ რა ხდებოდა საქართველოს თითოეულ ქალაქში, მაზრაში, სოფელში. ყველა წერილში რუსეთში მყოფი ახალგაზრდობა თავის წავის წარესავებსა და მეგობრებს თხოვდა, რაც შეიძლება ვრცლად მიეწერათ მათთვის საქართველოს ცხოვრების შესახებ. მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის იონა აბაშიძის მიერ თავის უახლოესი მეგობრის სპირიდონ კიკნაძისადმი ხარაგოულში მიწერილ პირად ბარათში ვკითხულობთ: „ჩვენ სტუდენტობის ხელმოკლეობაზე ალარაფერს გწერ, თავი მოგაბეზრე ამდენი წუნუნით, თუმც მე პირადად და ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებსაც შენი წყალობით საწუნურო არა გვაქვს რა, მაინც ასე როგორ ხვდები ჩემს მდგომარეობას, მიდგება საქმე თუ არა ჩემი ფინანსების გათავებაზე, უკვე ვლებულობ შენგან სარჩოს და ასე გამაქვს დრო. ყველა წერილში მადლობას გწერ და, ალბათ, მოგაბეზრე თავი მადლობითაც. ახლა მინდა კიდევ ერთი თხოვნა შემოგითვალო. უსახსრობას როგორმე გაუძლებ, ვერ უძლებთ და, ალბათ, ვერც გაუძლებთ მანდაური ამბების უცოდინარობას. ძალიან გთხოვ, კარგი თუ ავი ამბავი, შინაური თუ გარეული, შენი თუ სხვისი, ნაცნობისა თუ უცნობისა, კერძო პირისა თუ მთავრობისა, დაწვრილებით მომწერო. მით უმეტეს, რომ შენ ქალაქშიც გიხდება ჩასვლა და, რასაც კი ყურს მოპრავა, ჩვენი თვის ყველაფერი საინტერესოა.



მანდ შენთვის უმნიშვნელო ამბავი აქ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობისა არის. სამშობლოს მოშორებულ კაცს მანდ დატოვებული ხის კუნძის ბედით კი აინტერესებს არამც თუ საზოგადო ამბები“. სამშობლოს ამბების ცოდნის ასეთი წყურვილით აღსავს ახალგაზრდობისათვის, რასაკვირველია, დაუშრეტელი სურვილი იყო ქართულ უურნალ-გაზეთებისათვის თვალის გადავლებაც კი, რაც არ უნდა ძეველი ქართული უურნალი ან გაზეთი მოხვედროდა ხელთ რუსეთში მცხოვრებ სტუდენტს, მაინც რამდენჯერმე უნდა გადაეკითხა. მთავარი ის იყო, რომ სტუდენტობას საშუალება არ ჰქონდა, გამოენერაპერიოდული ლიტერატურა. ამიტომ ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები აგროვებდნენ ქართულ უურნალ-გაზეთებს და უგზავნიდნენ რუსეთში მყოფ სტუდენტობას. **70-იან წლებში შეიქმნა ქართველ სტუდენტთათვის საქართველოდან უურნალებისა და გაზეთების რეგულარული გამოცემა**. ამას უფასოდ აკეთებდნენ თვით უურნალებისა და გაზეთების რეადაციის.

პირველ რიგში რუსეთის ქალაქებში გაზეთების უფასოდ გაგზავნა დაიწყო „ივერიის“ რედაციის მიმდინარეობის ქართველი სტუდენტის არა, მაშვინ იცნობდა რუსეთში მყოფი ქართველი სტუდენტის მოთხოვნილობასა და სურვილებს. ამიტომ მან „ივერიის“ პირველივე ნომერი გაუგზავნა ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში უმაღლეს სასწავლებლებს. ამის შემდეგ რუსეთში თავისი პროდუქციის გაგზავნა დაიწყეს „დროებისა“ და „ქართული ბიბლიოთეკას“ რედაციების მიმდინარეობის ქართველი სტუდენტის არამც მან „ივერიის“ პროდუქციის გამოცემაც მიმდინარეობა. მაგრამ არც ეს ყოფილი და სამშობლოს უსაბორო განვითარებას და უგზავნიდნენ რუსეთში მყოფ სტუდენტობას. 1900-იან წლებში შეიქმნა ქართველ სტუდენტთათვის საქართველოდან უურნალებისა და გაზეთების რეგულარული გამოცემა

„დროება“, „ივერია“ და „ქართული ბიბლიოთეკა“. ამ გაზეთებისათვის დიდად მადლობელი ვართ, მაგრამ ძლიერ კარგი იქნება, რომ სხვანიც არ დაგვივიწყებდნენ და „იმედის“, „შრომის“, „მწყემსის“ და „მოამბის“ რედაციებიც თავიანთ მხრივ გამოგვიგზავნიდნენ ნომრებს. რუსეთის იმპერიის ყოველის ეროვნების გაზეთები და უურნალები იგზავნება აქ, საზღვარგარეთიდანაც კი. შეძლება რომ გვერდების გამოვიწყერდით, მაგრამ სად არის? ჩვენი შეძლებით სულსაც ძლივს ვიბრუნებთ და გაზეთები როგორდა გამოვიწეროთ. ამ თხოვნას გარემოება გვაძევინებს, რომ რადგან გაზეთები „დროება“, „ივერია“, „ქართული ბიბლიოთეკა“ სულ უსასყიდლოდ მოდის, ალბათ, არც ჩამოთვლილ გაზეთებს გაუჭირდებათ რამდენიმე ნომრის უსასყიდლოდ გამოგზავნა, თუ არ დაიშურებენ და პატივს სცემენ ჩვენ თხოვნას“.

1884 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებულია ხარკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების მადლობა რამდენიმე გაზეთის რედაციისადმი, რაც იმას მოწმობს, რომ ქართული უურნალ-გაზეთების გამომცემლობანი თავიანთ გამოცემებს უგზავნიდნენ ხარკოვის ქართველ სტუდენტობასაც.

„ხარკოველი ქართველი სტუდენტები — წერს „დროება“ — ჩვენი გაზეთის შუამავლობით მადლობას უძლვნიან „ივერიის“, „შრომის“ და „კავკაზიის“ რედაციებს და აგრეთვე „ნობათის“ რედაციისაც, თავიანთი გამოცემების უფასოდ გამოგზავნისათვის და სთხოვენ ყველა ქართული და რუსული ადგილობრივი უურნალ-გაზეთების რედაციების თუ სამძიმოდ არ დაურჩებათ, უგზავნონ თავიანთი გამოცემები“.

1900 და 1901 წელს „კვალში“ გამოქვეყნებულია მოსკოვის ქართველ სტუდენტთა მადლობა ქართული უურნალ-გაზეთების რედაციების მიმდინარეობა. მაგრამ არც ეს ყოფილი და სამშობლოს უსაბორო განვითარებას და უგზავნიდნენ რუსეთში მყოფ სტუდენტობას. 1883 წლის „დროებაში“ ვეკითხულობთ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების წერილს: „დღეს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების სამკითხველოში მოვიდა

ნი უმძიმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ რედაციებს, რომლებიც უსასყიდლოდ გვითმობდნენ თავის გამოცემებს 1899 წლის განმავლობაში, სახელდობრ: „კვალის“, „ცნობის ფურცლის“, „მწყემსის“, „პასტირ“-ის „კავკავის სტუდენტთათვის“ რედაციებს კი — ფასის დაკლებისათვის“.

მოსკოვის ქართველი სტუდენტის მონიდომებით

### მ. მაჭავარიანი“.

„მოსკოველი ქართველი სტუდენტები ულრმეს მადლობას უცხადებენ შემდეგს რედაციორებს უურნალ-გაზეთების უფასოდ მიწოდებისათვის წარსულს 1900 წელს: 1. „კვალის“ რედაციას, 2. „ჯეჯილისას“, 3. „მწყემსისას“, 4. „პასტირისას“ და 5. „კავკაზსკოე სელსკოე ხოზიასტვოს“-ას.

მოსკოველ ქართველ სტუდენტების მონიდობილობით

### სტ.მ. ასათიანი“.

1902 წელს „კვალის“, „ცნობის ფურცლის“, „მოამბის“, „ჯეჯილის“ და სხვათა რედაციებს მადლობას უცხადებს კიევის ქართველი სტუდენტობა 1901 წლის განმავლობაში უურნალ-გაზეთების უფასოდ გამოგზავნისათვის.

შემდეგ ქართულ უურნალ-გაზეთების რედაციების მიერ თავიანთ გამოცემათა უფასოდ გაგზავნამ რეგულარული ხასიათი მიიღო და რედაციები უკვე ვალდებულად თვლიდნენ თავს, სისტემატურად მიენოდებინათ უურნალ-გაზეთები, როგორც მოსკოვში, ისე სხვა ქალაქებში, აგრეთვე, საზღვარგარეთ მოსნავლე ქართველ სტუდენტთათვის. ამას კიდევ ის კარგი შედეგები მოჰყვა, რომ ახლაც ძველ საუნივერსიტეტო ქალაქების ბიბლიოთეკებში არის ქართული უურნალ-გაზეთების საკმაოდ დიდი კოლექციები, ამან დიდი როლი შეასრულა უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის და ამას უმეტეს წილად ისევ ქართველ სტუდენტ ახალგაზრდობას უნდა ვუმაღლოდეთ.

„ქ-ნორედაციორო! ნება გვიპოდეთ, „კვალის“ საშუალებით ჩვე-



# მიხეილ გედევანიშვილი — ცქინი და საზოგადო მოღვაწე

ნევროპათოლოგი, რადიოლოგი, ფიზიო-თერაპევტი, ფსიქიატრი მიხეილ გედევანიშვილი მედიცინის ამ დარგებში მეცნიერულად მომზადებული პირველი ქართველი იყო. რენტგენოსკოპის, რენტგენოგრაფიისა და რენტგენოთერაპიის დარგში პარიზის გამოჩენილ მეცნიერებთან მუშაობის შემდეგ მიხეილ გედევანიშვილმა პირველად საქართველოში მეცნიერულ საფუძველზე მოაწყო რენტგენოთერაპია და რენტგენოგრაფია. საექიმო მოღვაწეობის გარდა, ბატონი მიხეილი დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასაც ეწეოდა.

მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი 1862 წელს დაიბადა მანგლისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. საშუალო განათლება თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, უმაღლესი — მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც 1889 წელს დამთავრა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისში მუშაობდა მიხეილის საავადმყოფოს უმცროს ორდინატორად, 1890 წლიდან კი ელიზავეტოპოლის (განჯის, ახალ კიროვაბადის) გუბერნიის ზანგეზურის მაზრაში — სოფლის ექიმად. ვინაიდან მაზრაში აფთიაქი არ იყო, მ. გედევანიშვილმა ხელმოწერით შეაგროვა თანხა და მოაწყო აფთიაქი უღარისესი მოსახლეობისათვის და თვითონვე მუშაობდა იქ.

მ. გედევანიშვილმა ზანგეზურში ყოფნისას დაბეჭდა ნაშრომი — „ელიზავეტოპოლის გუბერნიის ზანგეზურის მაზრა მედიცინის მხრივ 1890-92 წლებში“. წიგნში მოყვანილია ეთნოგრაფიული ცნობები ნიადაგის, ჰავის, ხალხური საექიმო საშუალებების, სამკურნალო მცენარეებისა და სხვათა შესახებ.

1893 წელს მ. გედევანიშვილი თიანეთის მაზრის ეპიმად დაინიშნა და, საექიმო მოღვაწეობის გარდა, დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასაც ენეოდა თუგ-ფგავ-ხევსურეთში. იგი

მაჟურნალობდა ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცებსაც და ოციციალური მადლობაც აქვს მიღებული „დაბალი ჩინების უსასყიდლოდ მაჟურნალობისა და გათღამი გულითადი დამოკიდებულებისათვის“.

1895 წლიდან მ. გედევანიშვილი სპეციალურად მუშაობდა ნევროპათოლოგიის, ფსიქიატრიის, ფიზიოთერაპიისა და რენტგენოლოგიის დარგში. იგი მედიცინის ამ დარგებში პირველ მეცნიერულად მომზადებული ქართველი იყო, მან ორ წელიწადს იმუშავა პარიზში, მარკოს განთქმულ კლინიკაში.

1900 წელს მ. გედევანიშვილი მეორედ მიემგზავრება პარიზში და სულით ავადმყოფთა კოლონიებსა და საავადმყოფოებში მუშაობს პარიზის გარეუბნებში. ამ წელს იგი მონაწილეობს პარიზში შემდგარექიმთა საერთაშორისო კონგრესის ფსიქიატრთა და ნევროპათოლოგთა სექციის მუშაობაში.

მ. გედევანიშვილმა კარგად შეისწავლა ოდესისა და ვარშავის საზოგადოებრივ და კერძო ფსიქიატრიულ დაწესებულებათა მუშაობა. ამის შედეგად მან ორი შრომა გამოაქვეყნა: „ქალაქ თბილისში უშლით ავადყოფთა თანამდებობის საკითხების შესახებ“ და „დანესავულებათა მოცყობა უშლით ავადყოფთა თანამდებობის შესახებ“.



საზღვარგარეთ მესამედ ყოფნისას (1907 წელი) მ. გედევანიშვილი პარიზის გამოჩენილ მეცნიერებთან მუშაობს რენტგენოსკოპის, რენტგენოგრაფიისა და რენტგენოთერაპიის დარგში, ამ გარემოებამ მისცა მას შესაძლებლობა, პირველად საქართველოში მოეწყო მეცნიერულ საფუძველზე რენტგენოთერაპია და რენტგენოგრაფია.

იმავე წელს იგი გაეცნო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ნერვულ და ფსიქიატრიულ კლინიკებს.

უკანასკნელად მ. გედევანიშვილი 1913 წელს იყო საზღვარგარეთ. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა ბევრ უცხოელ მეცნიერთან.

მ. გედევანიშვილმა 1889 წელს კავკასიის ექიმთა მეორე ყრილობაზე დაწვრილებითი მოხსენება გააკეთა ამ დროის ნაკლებად შესწავლილი დაავადების შესახებ და მკურნალობის ორიგინალური მეთოდი წამოაყენა.

კავკასიის საექიმო საზოგადო-




ება ჩამოყალიბდა 1864 წლის აპრილში მონინავე ქართველ და რუს ექიმთა (ივანე სობოლევიკოვი, გიორგი დავრიშვილი, ი. დეპნერი, ზაქარია ზუბალაშვილი, ს. ბასტაბაშვილი, ი. პრიბილი, ე. გომბალტი, ი. ჩიგიანიძა სხვ.) თაოსნობით. კავკასიის საექიმო საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო საქართველოსა და კავკასიის კლიმატურ-ბალნეოლოგიური რესურსების, სამხარეო პათოლოგიის, მოსახლეობის ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხალხური მედიცინის შესწავლა. კავკასიის საექიმო საზოგადოება ოქმებისა და შრომათა კრებულების სახით აქვეყნებდა საზოგადოების სხდომებზე მოსმენილ მოხსენებებს. საზოგადოების საპატიო წევრები იყვნენ რუდოლფ ვირხოვი, ნიკოლოზ პიროგოვი, ივანე თარხნიშვილი, რომლებიც ხშირად აქვეყნებდნენ წერილებს მის კრებულებში. კავკასიის საექიმო საზოგადოება ორჯერ დააჯილდოვეს მედლებით მოსკოვისა და ვენის საერთაშორისო გამოფენებზე. საზოგადოებამ 1928 წლამდე იარსება და მოაწყო ექიმთა 2 ყრილობა 1893 და 1901 წელს.

1898 წელს იგი თბილისში ახლადგახსნილი სულით ავადმყოფთა თავშესაფრის დირექტორად დაინიშნა, სადაც უცვლელად მუშაობდა 25 წლის განმავლობაში. ეს საავადმყოფო ფსიქიატრიის ყველა იმ დროის უახლეს მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

1898 წელს მასწავლებელ და მოსწავლე ქალთა თბილისის საზოგადოების თხოვნით ექიმი გედევანიშვილი ამ საზოგადოების წევრებს ფიზიოლოგიის სისტემატურ კურსს უკითხავდა. ეს იყო ფიზიოლოგიის თითქმის პირველი კურსი თბილისში ფართო აუდიტორიისთვის, ი. თარხნიშვილის ცნობილი ლექციების შემდეგ.

1899 წელს ეძიმება გედევანიშვილმა დაარსა ქართველ ეძიმოთა კოლეგიის პირველი სამკურნალო და მის დირექტორად მუშაობდა 1898 წელის უკითხავდა. ამავე დროს იგი რკინიგზის საავადმყოფოში მუშაობდა კონსულ-



### ილია ჭავჭავაძის მხატვრულ თაზულებათა სრული კრეპული

ტანტად წევროპათოლოგიასა და ფსიქიატრიაში. იგი ხშირად გამოიიდა მოხსენებებით და უახლესი სამკურნალო ელექტროაპარატების დემონსტრაციით კავკასიის სამედიცინო საზოგადოებისა და საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების სხდომებზე. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ფსიქოთერაპიის საკითხების შესწავლას. მისი მრომებიდან ამ დარგში გამოქვეყნებულია ქართულ და რუსულ ენებზე: „ბრბოს ფსიქოლოგია“ და „ბავშვთა ასაკის ფსიქოლოგია“ (ჟურნალი „განათლება“, 1912 წ. გაზიერები: „ზაკავკაზიი“, 1908-09 წწ. და „ზაკავკაზიკაია რეჩ“, 1912 წ.).

1916 წელს მან საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში გააკეთა მოხსენებები კანის კიბოს მკურნალობზე, ანტიდიფტერიული შრატის გამოყენებაზე, საქართველოში სანიტარული და სამედიცინო ორგანიზაციის ძირითად პრინციპებზე.

მ. გედევანიშვილის საზოგადოებრივი ცხოვრებაც ისევე მრავალფეროვანი და საინტერესოა, როგორც მისი საექიმო მოღვაწეობა. გიმნაზიაში ყოფნისას იგი იმ რევოლუციური წრის წევრი იყო, რომელიც მწერალ სოფრომ მგა-

ლობლიშვილთან იკრიბებოდა გორში.

მ. გედევანიშვილი მე-5 კურსიდან, 13 სხვა სტუდენტთან ერთად, გაფიცვის მოწყობისთვის გარიცხეს სასწავლებლიდან და იმიერკასპიის ოლქში გადაასახლეს. მხოლოდ წელიწად-ნახევრის შემდეგ დართეს მას ნება, ექსტრენად ჩაებარებინა გამოსაშვები გამოცდები.

თანამდებობის მაზრის ექიმად მუშაობის დროს მ. გედევანიშვილი დიდ დროს ანდომებდა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. შორეული სოფლებიდან მოსული მიმმე ავადმყოფები მას თავის სახლში მიჰყავდა და თვითონ უვლიდა მათ. მოსახლეობას ძლიერ უყვარდა იგი. მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი საინტერესო შემთხვევა მხატვრულად აღნერა მწერალმა ვლ. მცხეთელმა (გაზ. „ივერია“, 1894 წ. №260). თიანეთში გედევანიშვილმა გიბლიოთება დაარსა, მოაწყო თეატრალური ცრე და სოცლები მოგზაურობის დროს გავშვებას უფასოდ ურიგებდა წიგნებს, რვეულებსა და ფარებს.

1898-1901 წლებში, თბილისში ცხოვრების დროს, მ. გედევანიშვილს ბინა იმ სახლში ჰქონდა,

რომელშიც ილია ჭავჭავაძე ცხოვრობდა. ამ სახლის ქვემო სართულის ნახევარი გაზეთ „ივერიას“ ეჭირა, მეორე ნახევარი კი — სამკურნალოს, რომელსაც მ. გედევანიშვილი ხელმძღვანელობდა.

ეს სამკურნალო უმთავრესად გარეუბნების ღარიბი მოსახლეობისათვის იყო განკუთვნილი და ამიტომ დაწესებული იყო ავადმყოფთა უფასო მიღების დღეები ყველა სპეციალობის ექიმებთან. ამ საქმეში საქართველოს ექიმთა საუკეთესო წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ამავე სამკურნალოში იკრიბებოდა მარქსიზმის შემსწავლელი მუშათა არალეგალური წრე. აქვე მუშებს შორის ვრცელდებოდა აკრძალული ლიტერატურა. შემდგომ პოლიციამ აღმოაჩინა ეს წრე და ამის გამო მ. გედევანიშვილმაც დევნა განიცადა (იხ. „გვერიოდ“, 1905 წ. თავი — „ციხე და გადასახლება“, 1924 წლის გამოცემა, გამოშვება 1, გვ. 91), მაგრამ ამას არ შეუფერხებია მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1905-06 წლებში მის ბინაზე ქალთა თანასწორობის საქართველოს კავშირის არალეგალური კრებები ეწყობა. ამ კავშირში საქართველოს ინტელიგენტთა და მუშა ქალთა საუკეთესო წარმომადგენლები შედიოდნენ. კავშირის ორგანიზატორი და თავმჯდომარე იყო მ. გედევანიშვილის მეუღლე ანასტასია გედევანიშვილი, ფრიად კულტურული და უმაღლესი განათლების მქონე ქალი. ამ კავშირის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ და ქართველ ქალთა სახელით გამოდიოდნენ საერთაშორისო და სრულიად რუსეთის ქალთა კონგრესებზე.

1906 წელს მ. გედევანიშვილი, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩევლად დაასახელეს. სათათბიროს წევრთა ასარჩევად იგი პეტერბურგს გაემგზავრა. როგორც ცნობილია, ქართველმა ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც აირჩიეს კიდევ სახელმწიფო სათათბიროს წევრად. ილია ჭავჭა-



საბავშვო გედევანიშვილების სახლში; საბავშვო გაღის გასაცემულები გავლების ერთ პერიოდი. შუაში — ა. გედევანიშვილი; მარცხნივ — მ. გედევანიშვილი, გარვენივ — თ. ერისთავი

ვაძემ საქართველოსთვის ავტონომის მინიჭება მოითხოვა.

1908 წელს მ. გედევანიშვილის მეუღლემ განათლების სამინისტროს მიმართა თხოვნით — ნება დაერთოთ ქართული საბავშვო ბალის გასახსნელად, მაგრამ უარი მიიღო. მიუხედავად ამისა, თავის ბინაში ფარულად მოაწყო საბავშვო ბალი და აკაკი წერეთლის სახელი მიაკუთვნა. ეს საბავშვო ბალი მისი ხელმძღვანელობით რევოლუციამდე მუშაობდა, რევოლუციის შემდეგ უკვე ნება-დართული იყო ქართულ ენაზე სწავლება (გაზ. „კომუნისტი“, 1942 წ. 22 ივნისი; „რეჩი“, 1909 წელი, №347, 18/XII; უკრაინული გაზეთი „რადა“, 1909 წელი, №290, პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი).

1908-9 წლებში მ. გედევანიშვილი კავკასიაში ერობის დამფუძნებელი სათათბიროს წევრი იყო და ხმირად გამოდიოდა პროგრესული მოთხოვნებით.

1912 წელს მან თავისი ხარჯით გამოსცა დიდი ქართველი მცირელის — ილია ჭავჭავაძის მსახურულ თხზულებათა სრული კრებული. ეს გა-

მოცემა, საუკათესო ქაღალდზე დაპეტიტილი და საუცხოოდ დაურჩათებული, ძართული პოლიგრაფიული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში იყო. ამ გამოცემის სარედაქტო კომიტეტი ქართველი ინტელიგენციის საუკათესო წარმომადგენლენი მონაცემის ერთ გადამზადებელი გადამზადებელი მისამართის შემდეგ უკვე ნება-დართული იყო ქართულ ენაზე სწავლება (გაზ. „კომუნისტი“, 1942 წ. 22 ივნისი; „რეჩი“, 1909 წელი, №347, 18/XII; უკრაინული გაზეთი „რადა“, 1909 წელი, №290, პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი).

მ. გედევანიშვილი 1922 წლის 29 ნოემბერს გარდაიცვალა გულის დამბლით.

მ. გედევანიშვილი ავტორია 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, უმთავრესად, მისი სპეციალობის — ნევროპათოლოგიისა და ფსიქიატრიის სფეროდან და, აგრეთვე, საორგანიზაციო და საზოგადოებრივ საკითხებზე.



# **2 თებერვალი სტალინგრადის გათავისუფლების დღეა**

# სტალინგრადის გამარჯვების სამხედრო-კოლუმბიკური შედეგები და სართულოების მნიშვნელობა

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების გამარჯვებას დიდი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა — განადგურდა მოწინააღმდეგის ხუთი არმია: გერმანული მე-6 საველე და მე-4 სატანკო, მე-3 და მე-4 რუმინული და მე-8 იტალიური; გერმანულმა ჯარებმა მთლიანად დაკარგეს 32 დივიზია და 3 ბრიგადა, ხოლო სერიოზული მარცხი განიცადა მათმა 16 დივიზიამ.

სულ ბრძოლის მანძილზე, რომ-  
ელმაც საერთო ჯამში 6-ნახევარ  
თვეს გასტანა, ფაშისტური ბლო-  
კის ქვეყნებისა არმიებმა დაკარგეს  
მთელი იმ ძალების მეოთხედზე  
მეტი, რომლებიც იმ დროს საბჭო-  
თა-გერმანიის ფრონტზე იმყოფე-  
ბოდნენ. მათმა საერთო დანაკარ-  
გებმა მოკლულების, დაჭრილე-  
ბის, ტყვედ ჩავარდნილებისა და  
უგზო-უკვლოდ დაკარგულების  
სახით 800 ათასზე მეტი ჯარისკა-  
ცი და ოფიცერი შეადგინა. **მათ-**  
**გის** ისტორიაში აქადე არ  
ყოფილა მაგალითი იმისა,  
რომ პარაგის ასეთი მრა-  
ვალიც სოვენი დაჯგუფება,  
აღშურვილი უახლესი სამ-  
ხედრო ტექნიკით, მთლია-  
ნად ალყაზემორტყმული და  
ლიკვიდირებული ყოფილი-  
**ყო.** ნაცისტური გერმანიის რჩე-  
ულმა ჯარებმა ვოლგაზე ჰქოვეს  
თავიანთი დასასრული. საბჭოთა  
ჯარების შეტევის ორ-ნახევარი  
თვის განმავლობაში გერმანულმა  
არმიამ დაკარგა ყველაფერი ის,  
რასაც ხუთი თვის განმავლობაში  
კოლოსალური მსხვერპლის ფა-  
სათ მიაღწია.

სტალინგრადთან გამარჯვებამ  
წარმოაჩინა წითელი არმიის მზა-  
რდი ძალა და საბჭოელი სამხედ-  
რო მეთაურების სამსედრო ხელ-

ოვნება. სტალინგრადის ბრძოლაში წითელმა არმიამ პირველად განახორციელა ფრონტების ჯგუფის შეტევითი ოპერაცია მონინააღმდეგის მსხვილი დაჯგუფების ალყაში მოქცევისა და განადგურებისთვის, თუმცა გამარჯვება ძვირდიქნა მიღწეული. საბჭოთა ჯარებმა 1,1 მილიონზე მეტი ადამიანი დაკარგეს.

წითელმა არმიად სტრატეგიულ  
ინიციატივა, რომელსაც სტალინ-  
გრადის ბრძოლის შემდეგ დაეუფ-  
ლა, ომის ბოლომდე შეინარჩუნა.  
დონისა და ვოლგის შუამდინა-  
რეთში მოწინააღმდეგის განად-  
გურების შემდეგ საბჭოთა ჯარე-  
ბი საერთო შეტევაზე გადავიდნენ  
უზარმაზარ ფრონტზე — ლენინ-  
გრადიდან კავკასიის მთისწინე-  
ბამდე. შეიქმნა ხელსაყრელი პი-  
რობები გერმანული ჯარების გან-  
დევნისათვის სსრკ-ის ფარგლებს  
მიღმა.

განადგურებულ ხუთ არმიას-  
თან ერთად გერმანულმა ხელმ-  
ძღვანელობამ სამუდამოდ და-  
კარგა საბჭოთა კავშირზე გამარ-  
ჯვების იმედი. „აღმოსავლეთში  
ომის დსრულების შესაძლებლობა  
შეტყვეის მემვეობით უკვე აღარ  
არსებობს“, — განაცხადა ა. ჰიტ-  
ლერმა ვერმახტის უმაღლესი სა-  
მეთაურო შემადგენლობის თათ-

პირზე 1943 წლის 1 თებერვალს.

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების მიერ მოპოვებულმა გამარჯვებამ ბრძოლის ბედი შეცვალა არა მხოლოდ საბჭოთა-გერმანიის ფრონტზე, არამედ მეორე მსოფლიო ომის სხვა ფრონტებზეც. გერმანულმა სამხედრო მანქანამ გამანადგურებელი დარტყმა მიიღო, რომელმაც მნიშვნელოვანწილად შეარყია მისი ბრძოლისუნარიანობა. ყველაფერმა ამანხელსაყრელი პირობები შექმნა ანგლო-ამერიკული ძალების წარმატებული მოქმედებებისთვის გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

ამგვარად, საბჭოთა პერი-  
პის კონტრაქტებამ სფალინ-  
გრადთან საფუძველი ჩაუყა-  
რა აცალი პერიოდის დაცე-  
ბას დიდი სამაშულო მიზანი  
და საერთოდ მოწოდებული  
მსოფლიო მიზანის მსვლელობაში –  
ძირეული გარდატეხილს პერი-  
ოდს. დონისა და ვოლგის შუამ-  
დინარეთში გამართული ბრძოლ-  
ის შემდეგ ომი კიდევ ორ წელზე  
მეტ ხანს გაგრძელდა, თუმცა მო-  
ვლენათა მსვლელობა უკვე განს-  
აზღვრული იყო. მომდევნო ბრძო-  
ლებმა დაასრულეს ნაცისტური  
გერმანიის განადგურება.

სტალინგრადის ბრძოლაში გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა გააჩნდა საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცებისათვის. მდინარე ვოლგაზე აღდგა ქვეყნის ცენტრალური რაიონების კავშირი სამხრეთთან. დიდი დის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონ-

და იმასაც, რომ ლიკვიდირებული იქნა კავკასიის საფრთხე. დაბრუნებული იქნა მნიშვნელოვანი სანარმოო და სასოფლო-სამეურნეო რაიონები. საბჭოთა კავშირის მილიონობით მცხოვრები გათავისუფლებული იქნა გერმანელთა ოკუპაციისგან, რომელთაც სანარმოების მუშათა, სოფლის მეურნეობისა და წითელი არმიის რიგები შეავსეს. კიდევ უფრო გაძლიერდა პარტიზანული მოძრაობა მონინააღმდეგის ზურგში. ვოლგაზე გამარჯვებამ უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია ქვეყანაში, გაამაგრა საბჭოელი ხალხის მორალური სულისკვეთება, ეს იყო შთამბეჭდავი მაგალითი საბჭოთა ჯარისკაცებისათვის საბჭოთა-გერმანიის ფრონტის ყველა მონაკვეთზე.

საბჭოთა მნარმოებლობამ გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით დაიწყო ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხებისა და სხვა საბრძოლო ტექნიკის წარმოება, ვიდრე აწარმოებდა გერმანია, რომელიც მთელი დასავლეთ ევროპის ეკონომიკას ეყრდნობოდა.

**სტალინგრადთან გერმანული ჯარების განადგურებამ ხელი შეუწყო ანტიპიტლერული კოალიციის კონსოლიდაციასა და განმტკიცებას.** ამან, უპირველეს ყოვლისა, გამოხატვა ჰქონდა, რომ სტალინგრადის ბრძოლის პერიოდში და მისი დასრულების შემდეგ კოალიციის წევრი ქვეყნებში ფართოდ დაიწყო სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების ფორმირება, რომლებმაც შემდგომში მონანილეობა მიიღეს ერთობლივ მოქმედებებში საბჭოთა, ინგლისურ და ამერიკულ ჯარებთან ერთად გერმანიისა და მისი მოკავშირების წინააღმდეგ.

**სტალინგრადის ბრძოლამ ხელი შეუწყო დიდი მოკავშირე ქვეყნების თანამშრომლობის სულისკვეთების განმტკიცებას.** სტალინგრადის შემდეგ შეიიარაღებული ბრძოლის მასშტაბების გაფართოებასთან დაკავშირებით წარმოიშვა კოალიციის წევრთა სამხედრო ბრძოლიკისა და სტრატეგიის უშუალო კოორდინაციის



აუცილებლობა მისი წამყვანი ქვეყნების ხელისუფლებათა მეთაურების დონეზე.

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ უდიდესი მასტიმული ირებელი ზეგავლენა მოახდინა იმ ქვეყნების ხალხების ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობებზე, რომლებიც გერმანიისა და მისი მოკავშირების ჯარების მიერ იყო ოკუპირებული.

თავის მხრივ, სტალინგრადთან გერმანული ჯარების დიდმა მარცხმა და უდიდესმა დანაკარგებმა ერთაშად გააუარესა გერმანიისა და მისი მოკავშირების სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგრმარება და ისინი უდიდესი კრიზისის წინაშე დააყენა.

კატასტროფამ დონისა და ვოლგის შუამდინარეთში თავისი წინანი დაადო ვერმახტის ჯარების მორალურ მდგომარეობას. გერმანიის არმიაში გაიზარდა დეზერტირობისა და მეთაურებთან ურჩიობის შემთხვევები. გერმანელმა ჯარისკაცებმა ნაკლები გააფთრებით დაიწყეს საბრძოლო მოქმედებების წარმოება, მათ უკვე ფლანგებიდან დარტყმებისა და ალყაში მოქცევის შიში ჰქონდათ. **ვერმახტის უმაღლეს რატიონალისა და გენერალთა ნაწილს გარჩდა მმართველი რეზიგნაციის შემთხვევაში**

### მიმდინარეობა.

სტალინგრადთან გერმანული ჯარების დალუპვის ნიშნად საეკლესიო ზარების სამგლოვიარო რეკვამ და გამოცხადებულმა სამდლიანმა გლოვამ მილიონობით გერმანელი გამოაფხიზლა, აიძულა ისინი სიმართლისათვის სახეში შეეხდათ. გარდაუვალი დამარცხების საშინელი ნიშანი პირველად გაჩნდა ნაცისტური პროპაგანდით დაბინდულ გერმანიის მცხოვრებთა შეგნებაში. გერმანული არმიის დაუმარცხებლობის რწმენა გაქრა გერმანელთა გონებიდან. გერმანიის მცხოვრებთა შორის სულ უფრო ხშირად მოისმენდით: „მალე ყველაფერი დასრულდება“.

**დამარცხებამ სტალინგრადთან სერიოზული ნაპრალი გააჩინა ფაშისტური ბლოკის მატერიალურ და ადამიანურ რესურსებში.** ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობის ოპერატიული განყოფილების უფროსის, გენერალა. იოდლის სიტყვებით, „გერმანიისა და მისი მოკავშირების სამხედრო პოტენციალი 1942/1943 წლის ზამთრის ბრძოლების დასრულების შემდეგ უკიდურესად შერყეული იყო“. სტალინგრადის ბრძოლაში ტანკებისა და ავტომანქანების დანაკარგი გაუტოლდა გერმანიის ქარხნების მიერ მათ

ექვსთვიან წარმოებას, ქვემეხების — ოთხთვიანს, ნაღმსატყორცნებისა და ქვეითთა შეიარაღების — ორთვიანს.

გერმანიის სამხედრო ეკონომიკაში დაიწყო კრიზისი, რომლის შესასუსტებლად მმართველმა რეჟიმმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში განსაკუთრებული ზომების მთელ სისტემას მიმართა, რომელსაც „ტოტალური მობილიზაცია“ ეწოდა. არმიაში დაიწყეს 17-დან 60 წლამდე მამაკაცების განვევა, რომლებიც შეზღუდულად ვარგისნი იყვნენ სამხედრო სამსახურისთვის. იმ სპეციალისტებზე, რომლებიც სამხედრო წარმოებაში იყვნენ დასაქმებულნი, ჯავშნის მოხსნა დაიწყეს. სულ უფრო ხშირად გამოიყენებოდა ეკონომიკაში მოზარდებისა და ქალების შრომა. მიიღეს ეკონომიკის მკაცრი ზომები. ქვეყანაში მუშა ხელის მწვავე უკამარისობა დაიწყო და ის სამხედრო ტყვებისა და გერმანიაში იძულებით გადასახლებული უცხოელების იძულებითი შრომის გიგანტურ ბანაკად გადაიქცა.

სტალინგრადის ბრძოლა გერმანიის მოკავშირებისთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო. ჯარისკაცებისა და მოსახლეობის გამოფხიზლების პროგრესირებადი პროცესი დაიწყო რუმინეთში, იტალიაში, უნგრეთსა და ა.შ. გაიზარდა დეზერტირობისა და სამხედრო სამსახურიდან თავის არიდების შემთხვევები. 1943 წლიდან წითელი არმიას ტყვედ ბარდებოდნენ უკვე არა მხოლოდ ცალკეული ჯარისკაცები და ოფიცირები, არამედ რუმინული, უნგრული და იტალიური არმიების მთელი ქვედანაყოფები და ნანილები. ურთიერთობა გამწვავდა ვერმახტისა და გერმანიის მოკავშირეთა არმიების სამხედრო მოსამსახურეთა შორის.

კიდევ უფრო ცუდი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა რუმინეთში, იტალიაში, უნგრეთსა და ა.შ. ამ ქვეყნების მმართველმა რეჟიმებმა საბაბის ძებნა დაიწყეს ომიდან გამოსვლისა და დიდ ბრიტანეთან და აშშ-



საბჭოთა მეომრები იბრძოვიან ჩარჩანა „ნითელი მიზანის“ ნაგერივებზე

თან სეპარატიული ზავის გასაფორმებლად.

სტალინგრადთან გერმანული ჯარების განადგურებამ დარტყმა მიაყენა ფაშისტური ბლოკის საერთამორისო მდგომარეობას. ომის წინ გერმანიას დიპლომატიური ურთიერთობა 40 სახელმწიფოსთან ჰქონდა. სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ ასეთი სულ 22 დარჩა, მათგან ნახევარზე მეტს გერმანიას სატელიტები შეადგენდნენ. გერმანიას ომი გამოუცხადა ათმა სახელმწიფომ, იტალიას – ექვსმა, იაპონიას – ოთხმა. კრახი განიცადა გერმანიის იმედებმა იაპონიის მიმართ. 1943 წლის მარტში იაპონიის ხელისუფლებამ საბოლოოდ თქვა უარი გერმანიის მხარეზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩართვაზე. გერმანიისგან ჩამოშორება დაიწყო თურქეთმა, რომელსაც სსრკ-ის სამხრეთ საზღვართან 25 დივიზია ჰყავდა განლაგებული, და ესპანეთმა, რომელმაც საბჭოთა-გერმანიის ფრონტზე „ცისფერი დივიზია“ გავზავნა. ეს ნეიტრალური ქვეყნები არსებითად გერმანიის „არამებრძოლი მოკავშირები“ იყვნენ, თუმცა სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ თურქეთისა და ესპანეთის მმართველ რეგიონებს შორის გაიზარდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნების გაძლიერების მისწრაფება.

მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მოღვაწე

მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ხალხის გამარჯვებას. 1943 წლის 5 თებერვალს მიღებულ სტალინისადმი წერილში აშშ-ის პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა სტალინგრადის ბრძოლას უწოდა ეპიკური, რომლის გადამწყვეტ შედეგსაც ყველა ამერიკელი აღნიშნავს. მოგვიანებით მან სტალინგრადს შემდეგი შინაარსის სიგელი გაუგზავნა: „ამერიკის შეერთებული შტატების ხალხის სახელით მე ამ სიგელს გადავცემ ქალაქ სტალინგრადს, რათა აღვნიშნოთ ჩვენი აღტაცება მისი მამაცი დამცველებით, რომელთა სიმტკიცე და თავდადება... სამუდამოდ აღაფრთოვანებს თავისუფალი ხალხის გულებს. მათმა დიადმა გამარჯვებამ შეაჩერა შემოსევის ტალღა და გახდა აგრესის ძალების წინააღმდეგ მოკავშირეთა ერების ომის შემობრუნების წერტილი“.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ფ. ჩერჩილმა 1943 წლის 1 თებერვალის წერილში სტალინისადმი წითელი არმიის გამარჯვებას სტალინგრადთან გასაოცარი უწოდა. ხოლო დიდი ბრიტანეთის მეფემ სტალინგრადს საჩუქრად გამოუგზავნა ხმალი, რომელზეც ინგლისურ და რუსულ ენებზე ამოტვიფრულია წარნერა: „ფოლადივით მტკიცე სტალინგრადის მოქალაქეებს — მეფე გეორგ VI-ისგან ბრიტანელი ხალხის ლრმა აღტაცების წიშნად“.

ტარას იჩქიტიძე:

# როგორც სხაიპერმა, სტალინგრადში 18 გამაცელი გავანადგურე

იმ მებრძოლებს შორის, რომელებმაც 1943 წლის 2 თებერვალს სტალინგრადის მისადამები ფაშისტი დამპყრობლებისგან გაათავისუფლეს, სერუჯანტი ტარას იჩქიტიძეც იყო. ბატონი ტარასი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ორი წლის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა ლირსების ორდენით დაჯილდოვა. ამჯერად ის ჩვენი სტუმარია და ომის ქარცეცხლიან დღეებზე მოვითხობს.

— სტალინგრადის ბრძოლა ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა მეორე მსოფლიო ომში. გერმანიის მთავარსარდლობას სურდა, დაეპყრო ქალაქი სტალინგრადი და მდინარე ვოლგის მარცხენა სანაპირო, რომელზეც გადიოდა მთავარი სატრანსპორტო გზა საბჭოთა კავშირის ევროპულ და აზიურ ნაწილებს შორის. 1941 წლის დეკემბერში იმის გამო, რომ არმია მზად არ იყო ზამთარში საომრად, გერმანელთა შეტევა მოსკოვზე შეჩერდა და საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის შედეგად უკანაც დაიხიეს.

სტალინგრადი იყო მთავარი ინდუსტრიული ქალაქი ვოლგის სანაპიროზე, აქ გადიოდა მნიშვნელოვანი მაგისტრალი, რომელიც აერთებდა კასპიის ზღვას ჩრდილოეთ რუსეთთან. ქალაქის დაპყრობით ჰიტლერი უზრუნველყოფდა მარცხენა ფლანგის უსაფრთხოებას ჯარისტვის, რომელიც კავკასიას უტევდა.

გარდა ამ სტრატეგიული მნიშვნელობისა, სტალინგრადის დაპყრობა ჰიტლერს იმიტომაც სურდა, რომ ქალაქს სტალინის სახელი ერქვა.

1942 წლის 17 ივლისს ქალაქზე დაიწყო გერმანელთა შეტევა **81-ერად ზონ ვაისესის** მეთაურობით. ამ შეტევაში გერმანელთა მხრიდან მონაწილეობდა 250 ათა-

სი მებრძოლი, ხოლო სტალინგრადის დაცვას ხელმძღვანელობდა გენერალი **ვასილ გორდოვი** 187 ათასი კაცით. გერმანელებს ესმარებოდნენ იტალიის, უნგრეთისა და რუმინეთის სამხედრო შენართები. სტალინგრადს აღმოსავლეთიდან იცავდა ვოლგა, მეორე მხარეს კი თავმოყრილი იყო დამატებითი ძალები ქალაქის დასაცავად, რომელსაც მეთაურობდა **ვასილ ჩუიკვი**.

ქალაქის მოსახლეობა, მათ შორის, ქალები და ბავშვები, მუშაობდნენ თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე. 28 ივლისს სტალინმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც ყველას, ვინც უკან დაიხევდა და ფრონტს მიატოვებდა, დახვრეტდნენ. 23 აგვისტოს გერმანელებმა დაბომბეს ქალაქი და ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე იმსხვერპლეს. პირველი დარტყმა მიიღო 1077-ე საზენიტო პოლკმა, რომელიც, ძირითადად, ბრძოლებში გამოუცდელი ახალგაზრდა მოხალისე ქალებით იყო დაკამპლექტებული. მიუხედავად ამისა, ისინი ბოლომდე ებრძოდნენ გერმანელთა მე-16 სატანკო დივიზიის, მანამ, სანამ პოლკის 37-ვე ბატარეა არ განადგურდა. ქალაქის მოსახლეობისა და მუშებისგან შეიქმნა მოხალისეთა ბატალიონები. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა გადაკეთ-



ტარას იჩქიტიძე

და და დაიწყო ტანკების წარმოება. საბრძოლო ტექნიკა ქარხნიდან პირდაპირ ფრონტზე მიდიოდა, ისე, რომ ზოგჯერ შეღებვასა და სამიზნე მოწყობილობის დაყენებასაც ვერ ასწრებდნენ.

1942 წლის 13 სექტემბერს გერმანელებმა დაიწყეს სტალინგრადის შტურმი. თუ ადრე საბჭოთა ჯარები ქალაქის შემოგარენში იბრძოდნენ, ახლა უკვე ქუჩებში გაჩაღდა ბრძოლები, იბრძოდნენ ყველა შენობისა და სართულის თვისაც კი. ქალაქის რკინიგზის ცენტრალური სადგური ცამეტჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. სექტემბრის ბოლოს გერმანიამ შეტევაში ჩართო მე-6 არმიისა და მე-4 სატანკო არმიის ძალები, მაგრამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია — სტალინგრადი ვერ დაიპყრო. მას შემდეგ 74 წელიწადი გავიდა.

როცა ასეთი დღეები ახლოვდება, სევდა მიპყრობს, ვნერვიუ-



ლობ, დამეები არ მძინავს, ყველა კადრი თვალწინ მიდგას. სამამულო ომში მოხალისედ წავედი. მრავალშვილიან ოჯახში დავიბადე. ჩემი ორი უფროსი ძმა უკვე ფრონტზე იყო და მეც მინდოდა, მებრძოლა. სკოლა დამთავრებული არ მქონდა, ომში წასვლის გადაწყვეტილება რომ მივიღე. გადაწყვეტილებას რომ ალარ შევცვლიდი, რადიოთი სტალინის სიტყვის მოსმენის შემდეგ მივხვდი. ის სამშობლოს დასაცავად უხმობდა ყველას, ვისაც ბრძოლა შეეძლო, ხოლო მათ, ვისაც არ შეეძლო, მოუწოდებდა, ჯარის კაცების საკვებსა და თბილ ტან-საცმელზე ეზრუნათ...

შინიდან ორჯერ გავიპარე. პირველ ჯერზე, ჩემი ნლოვანება რომ შეიტყვეს, უკან დამაპრუნეს, მაგრამ შემდეგ ცდაზე წამიყვანეს. ახლაც თვალწინ მიდგას ის სურათი, როგორ ტიროდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, საყვარელ ადამიანებს ემშვიდობებოდნენ... ზოგს სამუდამოდ...

ათ ახალგაზრდასთან ერთად წამომიყვანეს ჩემი რაიონიდან თბილისში. 1942 წლის 5 მაისი იყო. დედაქალაქშიც ყველა ტიროდა, აქაც ერთმანეთს თვალცრუმლიანი ემშვიდობებოდნენ. წავთლულის მიმდებ პუნქტში აღმოვჩნდით, თმა გადაგვპარსეს, მატარებელში ჩაგვსვეს და წაგვიყვანეს. ვფიქრობდი, სადმე გავჩერდებით და დედას წერილს მივწერ-მეთქი, მაგრამ 38 დღე-ლამე ვიარეთ და ვლადივოსტკიში ჩავედით. საბოლოოდ, კუნძულ სახალინზე ისე აღმოვჩნდი, რომ დედას წერილი ვერ გაუუგზავნე.

სახალინზე ფიცი დავდეთ და მე-საზღვრების ნაწილში ჩავირიცხე. მძიმე დღეები დამიდგა. ყოველამე, სულ ცოტა, ორჯერ მა-

ინც განგაში ცხადდებოდა, ბევრს გვარბენინებდნენ. ცოტა ხანში მივიღეთ განკარგულება, რომ ფრონტზე უნდა წასულიყავით. ორი თვის შემდეგ მოვხვდი კუიბი-შევში, სადაც ჩვენი ნანილი დააკომპლექტეს და 62-ე არმიას შეუერთეს. დივიზია 45-ე იყო. გამოგვიცხადეს, რომ სტალინგრადში უნდა ჩავსულიყავით.

მივადექით სტალინგრადს. საშინელი სიცივე იყო, ვოლგა გაყინული იყო, მაგრამ კატერით როგორდაც უნდა გადაეცსულიყავით. წინ საშინელი სურათი მოჩანდა — ცეცხლის ალში იყო გახვეული მთელი ქალაქი.

კატერით ორასი მეტრი ძლივს გავცურეთ და უცებ ძრავა გაფუჭდა, კატერი ყინულს ვეღარ ამტკრევდა. ოთხი საათის განმავლობაში მივცურავდით. წაპირს რომ მივუახლოვდით, დაიძახეს, — გადახტითო და ყველანი გადმოვხტით, მაგრამ ვოლგიდან ბევრი ვერ ამოვიდა... შევედით ცეცხლ-მოდებულ სტალინგრადში. ქალაქის ქუჩებში დალუპულთა გვამები ეყარა, მათ შორის, უამრავი ბავშვისა და ქალის, დამომბვისგან საშინელი მტკვერი იდგა. იმ ღამეს არ მიძინია... დილით ჩვენთან მოვიდნენ და ბატალიონი ჩამოაყალიბეს. მეთაურად ლეიტენანტი შარიპოვი დაგვინიშნეს.

ბავშვიბაში შურდულიდან კარგად ვისროდი, ამიტომ, როცა იარაღს გვირიგებდნენ, ვთქვი, კარგი სნაიპერი ვარ, ამ საქმეში გამოვდგები-მეთქი. კარაბინი მომცეს. სნაიპერის მოვალეობა ნეიტრალურ ზონაში ბრძოლაა. სტალინგრადში ქარხანა იყო, „წითელი ოქტომბერი“. სწორედ ამ ქარხნის ტერიტორიაზე ვიბრძოდი წინა ხაზზე ორი თვის განმავლობაში. 1943 წლის 14 იანვარს დამჭრეს.

გერმანელები და ჩვენ ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიყავით. მათი სანგრებიდან ამოსული კვამლი ჩანდა, ხმა გვესმოდა, მაგრამ ერთმანეთს ვერ ვხედავდით, რადგან ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახვეული. როცა გერმანელმა მესროლა, მივხვდი, რომ დამჭრა, მაგრამ სროლა მოვასწარი. დიდხანს ვიყავი მინაზე გართხმული, მეგონა, კიდევ მესროდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოვკალი.

საველე პირობებში გაშლილ ლაზარეთში შევედი, ჭრილობა დამიმუშავეს, აუცილებელი აღმოჩნდა ჩემი ჰოსპიტალში გადაყვანა. ჩემზე უმცროსი გოგო იყო ერთი, რომელმაც, როგორც კი მოსალამოვდა, ციგაზე დამაკრა და წამიყვანა. გზა არ იყო, ვოლგის ნაპირზე მოვდიოდით. თითქმის მთელი ღამე მატარა, 8 კილომეტრი გამოვიარეთ და ბორანთან მიმიყვანა.

მხოლოდ ჰოსპიტლიდან მოვახერხე დედისთვის სამკუთხა წერილის გაგზავნა. დედას ჩემი წერილი რომ წაუკითხავს, გონება დაუკარგავს და რამდენიმე დღის შემდეგ დალუპულა კიდეც ახალგაზრდა ქალი. რვა თვის განმავლობაში ჩემზე არაფერი იცოდა...

მალე გამოვჯანმრთელდი და ფრონტს დავუბრუნდი. ვიბრძოდი ბელორუსიაში, დიდი ბრძოლები გადამხდა დნეპროპეტროვსკში, ზაპოროჟიეში, ნიკოლაევში, ოდესაში... იქაც დამჭრეს, მერე — პოლონეთშიც. პოლონეთი და გერმანია ფეხით მაქვს მოვლილი. ფრონტიდან სამივე ძმა დაგბრუნდით.

როგორც სნაიპერმა, სტალინგრადში 18 გერმანელი გავანადგურე, სულ კი დიდი სამამულო ომის პერიოდში — 59 ფაშისტი. ორჯერ დაწერეს გაზეთში ჩემზე.

მას შემდეგ ბევრი კარგი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში და ბევრიც — ცუდი, მაგრამ დიდი სამამულო ომის დღეები ვერაფერმა დამავინყა. მიჭირს გულგრილად გახსენება ისეთი დღეებისა, როგორიც სტალინგრადისთვის ბრძოლა იყო.

**საუბარი ჩაიწერა  
ეკა ნასყიდავილება**

**შევაღით საცხლეორდენი  
სტალინგრადში. ქალაქის ქარები  
დაღუკულთა გვამები ეყარება, მათ მორის,  
უამრავი ბავშვისა და ქალის,  
დამოგვალების საშინელი მტკვერი იღება.**



# ივანე კერესელიძის «ცისქარი»

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენითა და ადგილობრივი ცხოვრების წინსვლის შედეგად წარმოშობილ პროგრესულ-პატრიოტულ ძალებზე დაყრდნობით ივანე კერესელიძემ საფუძველი ჩაუყარა საზოგადოებრივ ინიციატივაზე დამყარებულ, არაოფიციალურ უსუბსიდით ქართულ უურნალისტიკას; ეროვნული კულტურის განვითარების მეტად მძიმე პირობებში გაბედულად აღმართა აღორძინების, განახლების, ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულების დროშა.

ივანე კერესელიძე მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა.

წერდა ლექსებს, მოთხოვნებს, პიესებს, კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს, გამოკვლევებს; თარგმნიდა მეცნიერულ და მხატვრულ თხზულებებს, ბეჭდავდა წიგნებს და სათავეში ედგა სხვადასხვა საზოგადოებრივ-საქველმოქმედო წამოწყებას, მაგრამ ჩვენი მწერლობის ისტორიაში მისი უმთავრესი დამსახურება „ცისქართან“ არის დაკავშირებული.

და აი, 1857 წლის იანვარში გამოვიდა ცენზურის მიერ ნებადართული ივანე კერესელიძის „ცისქარის“ პირველი ნომერი, რომელიც ჯერ კიდევ 1856 წლის 12 სექტემბერს ყოფილა მზად. უურნალს, რომელსაც მონინავე საზოგადოება აღტაცებით შეხვდა, ეპიგრაფად წამდგვარებული ჰქონდა სიტყვები ზირაქის წიგნიდან: „თუ შეიყვარო სმენად, მიითვალე და, უკეთუ მიუპყრა ყური შენი, ბრძენ იქმნე“. თვით რედაქტორმა სახალხო ინიციატივის, ეროვნულ-საზოგადოებრივი თაოსნობის პროპაგანდა თავისი უურნალის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად გამოაცხადა. „ყველაფერში მთავრობას ხომ არ უნდა ვუყუროთ პირში?“ — აი, ამ პროპაგანდის ამოსავალი დებულება.

„ხალხსა, რომელსაც ლიტერატურა აქვს გაჩაღებული მონობის დროს, — წერდა დიმიტრი ჯანაშვილი, — ის არასდროს არ დაეცემა, მაგრამ, თუ ლიტერატურა არა აქვს ხელში ჩავარდნის ფამსა..., ძრიელ ჩქარა დაიღუპება და, თუ ამნაირს მდგომარეობას სისაცყლეც ზედ დაემატა, იმის დამხობას ეჭვი აღარა აქვს. ეს ყველაფერი ნიშნები ხალხისა და მისი ენის დამხობისა ეხლა ჩანს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში... მაგონდება ის

ზღაპრის კაცი, რომელსაც წალდი ჩაუვარდა წყალში და ცულიც ზედ მიაყოლა..., რადგანაც წალდი დამეკარგა, ამისთვის არც ცული მქონდესო“.

\* \* \*

ივანე კერესელიძე 50-იანი წლების საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოძრაობის უშუალო გამგრძელებელია. გიორგი ერისთავის შემდეგ ის ჩაუდგა სათავეში ქართულ თეატრსა და უურნალს — ეროვნული კულტურის ორ მთავარ ბურჯს და მთელი სიცოცხლე ამ დიდ საქმეს ანაცვალა.

ივანე კერესელიძე დაიბადა თბილისში, 1819 წლის 10 ნოემბერს.

1839 წელს დედამ ხაჩატურ აბოვანის კერძო პანსიონში მიაბარა, 1841 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებელში განაგრძო წანავლა, ხოლო 1843 წელს კეთილშობილთა გიმნაზიაში მიიღეს.

1849 წლიდან ი. კერესელიძე მონაწილეობდა გ. ერისთავის დამატული დასის პირველ წარმოდგენებში, რომლებიც გიმნაზიის დარბაზში იმართებოდა. გ. ერისთავმა ის თავის თანაშემწედ დანიშნა და, როგორც რეჟისორს, რეპეტიციების ჩატარება მიანდო; ამასთანავე, ის პიესებსაც წერდა და სცენაზეც გამოდიოდა.



გიმნაზიაში სწავლის დროს გაეცნო ნიკოლოზ ბარათაშვილს, გრიგოლ ორბელიანს, დიმიტრი ყიფანს; გატაცებული იყო ლიტერატურით, თხზავდა ლექსებს, თარგმნიდა პიესებსა და მოთხოვნებს.

1850 წელს წარმატებით დაამთავრა გიმნაზია. მომდევნო წელს დავით დადიანმა და ეკატერინე ჭავჭავაძემ ზუგდიდში მიიწვიეს შვილების აღმზრდელად. მთავრის ოჯახში გატარებულმა წლებმა, ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეებთან მეგობრობამ, მათი მდიდარი ბიბლიოთეკის გაცნობამ, რუს და ქართველ მოღვაწებთან ურთიერთობამ დიდი როლი შეასრულა ივ. კერესელიძის საზოგადოებრივ-ლიტერატურული ინტერესების ჩამოყალიბებაში. დადიანებმა გულუხვად დაასაჩუქრეს ივანე და ეს ქონება მან ქართულ კულტურის სასარგებლოდ გამოიყენა.

1854 წლიდან ივანე კერესელიძე მეთაურობდა სახსარსა და მფარველობას მოკლებულ ქართულ დრამატულ დასს. თავდაცებული შრომით მან ორი სეზონის ჩატარება შეძლო.

ლიტერატურული უურნალის დაარსებაზე გიმნაზიაში სწავლის



დროიდან ოცნებობდა, ხოლო  
1853 წლიდან სამზადისაც შეუძ-  
გა. 1856 წელს „ცისკრის“ აღდგე-  
ნის ნება მიიღო და 1857 წლიდან  
გამოცემაც დაიწყო. თვრამეტი  
წლის მანძილზე, 1875 წლამდე,  
იგი უცვლელად ხელმძღვანე-  
ლობდა ამ ჟურნალს.

ნებართვის მიღებამდე ივ. კერე-  
სელიძემ ხელი მიჰყო ქართული  
წიგნების გამოცემას. 1852—1856  
წწ. დაბეჭდა საკუთარი პოემები:  
„მწყემსის სიყვარული“ და „ნაო-  
ხარი სოფელი“, სახელმძღვანე-  
ლოები: „საკითხავი წიგნი ახალ-  
მოსწავლეთა ყრმათათვის“, „ან-  
ბანი ახალმოსწავლეთა ყრმათათ-  
ვის“, „მოკეთე სიტყვა“ და სხვ.,  
რომელთა ნაწილს უფასოდ ური-  
გებდა ხალხს.

1857 წელს ივ. კერძესელიძემ ცოლად შეირთოთ მსახიობი ნინო უზნაძე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართულ თეატრს, მშობლიურ კულტურას, „ცისკარს“ — ქართულ უზრნალისტიკას.

ფურცელაძე და სხვ. 1859 წელს  
ქართველი საზოგადოება აქ შეხ-  
ვდა გამოჩენილ ფრანგ მწერალს  
ალექსანდრე დიუმას, რომელმაც  
გულთბილი სტრიქონები მიუძღ-  
ვნა გულუხვ მასპინძელსა და მის  
ლიტერატურულ სალონს.

ივ. კერძესელიძის „ცისკარი“  
პრინციპულად განსხვავდება წი-  
ნანდელი ქართული გამოცემები-  
სგან.

საქმის მკვიდრ ნიადაგზე და-  
სამყარებლად ი. კერესელიძე სა-  
თავეში ჩაუდგა ქართულ წიგნის  
პროპაგანდას, ცდილობდა, გაელ-  
ვიძებინა ეროვნული გრძნობა. ივ.  
კერესელიძემ სპეციალური სტა-  
ტიტები მიუძღვნა ქართულ ჟურნა-  
ლისა და წიგნის გავრცელების სა-  
კითხს.

ივ. კერძესელიძის „ცისკარში“ ერთნაირი აქტივობით მონაწილეობდნენ სხვადასხვა კუთხის ქართველნი, უურნალი საქართველოს ყველა კუთხეში ვრცელდებოდა და თანაბრად აშუქებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ცხოვრებას. იგი, შეიძლება ითქვას, სრულიად საქართველოს პირველი ბეჭდვითი ორგანო იყო და მან უთუოდ დიდი როლი შეასრულა საერთო ეროვნული შეგნების გამომუშავებასა და განმტკიცებაში.

1857 წლიდან „ცისკართან“ არ-  
სებობდა ქართული ლიტერატუ-  
რის მოყვარულთა არალეგალური  
წრე, რომელსაც ივ. კერძესელიძე  
მეთაურობდა. ამ წრეში, სხვათა  
შორის, გირვენის საზოვარებულებები

თულ გამოცემებსაც იცნობდნენ. ივ. კერძესელიძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა მდაბიო მკითხველის მოთხოვნებს. უურნალს მეტი ტირაჟით ბეჭდავდა, ვიდრე ხელისმომნერთაგან პქონდა დაკვეთილი და ზედმეტ ეგზემპლარებს უფასოდ ურიგებდა ხალხს. ასევე უფასოდ გზავნიდა უურნალს შორეულ, მთიან და თურქთაგან დაპყრობილ მესხეთ-აჭარაში (სადაც მან, სხვათაშორის, 1869 წელს არალეგალურად იმოგზაურა). ის ნომრები, რომლებშიც დ. ჭონქაძის, ი. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელისა და სხვათა აქტუალური ნაწერები იყო გამოქვეყნებული, ორმაგი და სამმაგი ტირაჟით გამოდიოდა.

ხელისუფლებისათვის იმთავი-  
თვე ცნობილი გამხდარა „ცისკა-  
რთან“ არსებული წრის საქმიანო-  
ბა და 1857 წელს ჟანდარმერიას  
ფარული მეთვალყურეობა დაუ-  
წესებია აღნიშნული წრისა და პი-  
რადად რედაქტორისადმი.

ივ· კერძესლიძე ცდილობდა, არა მარტო შეენარჩუნებინა უურნალი, არამედ გარკვეული დამოუკიდებლობაც მოეპოვებინა მის-თვის. იგი საკუთარ ქონებას ახ-მარდა „ცისკარს“, თვითონ აწყობდა, ბეჭდავდა და ურიგებდა ხელისმომწერთ, სათავეში ჩაუდგა მშობლიური ენისა და ლიტერატურის განვითარებისათვის ბრძოლას, რომელსაც მნვავე ხა-სიათი ჰქონდა.

ივ. კერძესელიძის სატირულ-იუმორისტულმა ფელეტონებმა, „სალაყბო ფურცლებმა“ ფართო ავტორიტეტი მოუხვეჭა შურ-ნალს, დიდი გავლენა მოახდინა ქართული აზროვნების, პუბლი-ცისტიკისა და ლიტერატურის განვითარებაზე. ცნობილია, რა აღტაცებით შეხვდა ო. ჭავჭავაძე ივ. კერძესელიძის „სალაყბო ფურ-ცლას“.

„სალაყბო ფურცელი“ ყურადღებას იცყრობს თემატიკის მრავალფეროვნებით, აქტუალობით, პოლიტიკური სიმახვილით. მოლაყბე გულმხურვალედ ლაპარაკობს საზოგადო საქმეზე; მის სიტყვებში მუდამ ისმის საერთო


ი3. კარასელიძის «შისკარები» ერთნაირი  
აქტივობით მონაცემების სავალის  
კუთხის კართველი, უკრაინი საქართველოს  
ყველა კუთხის ვალიდობის და თანახად  
აუქანდა აღმოსავლეთ და ზამთრებ  
საქართველოს ცხოვრებას, იგი, გაიძლება  
ითქვას, სრულიად საქართველოს პირველი  
გეზღვითი ორგანო იყო, და მან ეთეოდ  
დიდი როლი ჰასრულა საერთო ეროვნული  
უკავის გამოვალებასა და განვითარებაში.

საქმის წარუმატებლობით გამოწვეული გულისტკივილი, რომელსაც იგი თანაგრძნობის გამოწვევის აშკარა სურვილით უზიარებს მკითხველს.

ივ. კერესელიძის თხზულებანი დაწერილია ხალხური სასაუბრო ენით. „ცისკარის“ და არსებამდე დაბეჭდილ ნაწერებშიც („მწყემსის სიყვარული“, „შვილი უმანკოებისა“, „ნაოხარი სოფელი“, „ნანა“ და სხვ.) იგი ახალი სალიტერატურო ენით სარგებლობდა. საერთოდ, „ცისკარის“ და მის რედაქტორს დიდი ღვანლი მიუძღვით ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში. თეორიულადაც ახალი სალიტერატურო ქართულის პრობლემა პირველად ამ უურნალში დაისვა, აქ მოიკიდა ფეხი და დაიკავა გაბატონებული პოზიცია პროზასა, პოეზიასა, კრიტიკასა თუ პუბლიცისტიკაში. მაგრამ „ცისკარის“ და მის რედაქტორს სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდათ. მხატვრულად და იდეურად გამართული თხზულებების გვერდით უურნალში უსუსური და მანვიერი ნაწერებიც იძეჭდებოდა. რაკი უურნალს საკუთარი მატერიალური ბაზა არ გააჩნდა და მისი არსებობა მეტნილად ხელისმომწერთა თანხაზე იყო დამოკიდებული, რედაქტორი იძულებული ხდებოდა, ზოგჯერ სუსტი ნაწერებიც დაეხეჭდა. ყოველივე ეს ადუნებდა საზოგადოებრივი აზრის განვითარებას, მწერლობაში რეალიზმის გაბატონებას, სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციას. ცხოვრება

# ცისკარი.

## ქართული სალიტერატურო ჟურნალი.



სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. ასპარეზზე გამოდიოდნენ რუსეთში ნასწავლი ახალგაზრდები, რომლებიც „ცისკარის“ უფრო პროგრესულ მოთხოვნებს უყენებდნენ. 60-იანი წლებიდან აშკარად ჩანდა, რომ „ცისკარი“ ჩამორჩა.

ივ. კერესელიძე ახალგაზრდობას მოუწოდებდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ახალ თაობისადმი ამგვარ მხურვალე მონოდებას წარმოადგენს, კერძოდ, მისი წერილი „რამდენიმე აზრი შესახებ კენჭის გათავებისა“, დაბეჭდილი 1861 წლის იანვარში. „ახალგაზრდობას თუ გზას არ

მივცემთ, — წერდა იგი, — დაინთქმიან იმავე უფსკრულში, რომელშიც გადააგდეს ძველი თაობის კაცთა საზოგადოება... აგრ იზრდებიან სხვადასხვა სასწავლებლებში ყმანვილნი კაცნი, იმ აზრით, რომ შესწირონ თავი საზოგადო სამსახურსა, უძვირფასეს სამშობლო ქვეყანასა, უსაყვარლეს საქართველოსა. ამათ ახლავე ნახალისება, წინ წაყვანა, შემწეობა და ზურგის მიცემა ამიტომ უფრო საჭიროა... არა სჯობია, რომ ეს მოხდეს ეხლავე? ესე იგი, რომ დაძველებული აზრების მქონემ დაუთმოს სარბიელი ახლანდელი დროების აზრების მექონეთა?..“ ორიოდე თვის შემდეგ, 1861 წლის აპრილის ნომერში, ივ. კერესელიძემ უშენიშვნოდ დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის საპროგრამო წერილი „ორიოდე სიტყვათ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“.

საერთოდ „ცისკარმა“ გავლენა მოახდინა ახალთაობის ეროვნულ-პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებასა და მხატვრულ შემოქმედებაზე. თითქმის ყველა ქართველი სამოციანელი (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, ანტ. ფურცელაძე, პ. უმიკაშვილი, ს. აპაშიძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვ.) „ცისკარში“ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. ი. კერესელიძე იყო მათი თხზულებების დამფასებელი და წამხალისებელი. 60-იან წლებში ი. ჭავჭავაძეს ქართული ლიტერატურის საზიანოდ მიაჩნდა „ცისკარის“ რედაქტორის მერყეობა. ივ. კერესელიძის ლიბერალური „თანხმობის თეორია“ ახალთაობისათვის „ზურგის გამოშლად“ იქნა მიჩნეული.

ი. ჭავჭავაძე სამართლიანად აკრიტიკებდა ივ. კერესელიძეს, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისშიც იმავე მეთოდით განაგრძობდა უურნალის შენარჩუნებისათვის ბრძოლას, როგორც 5–6 წლის წინათ; ურიგდებოდა ნაკლოვანებებს, აწარმოებდა მანევრირებას და, ამის შესაბამისად, გარკვეულ შიშას და მოკრძალებას იჩენდა

**«ცისკარი» გავლენა მოასდინა ასალთაობის  
ეროვნულ-კოლიტიკური გაედულებების  
ჩამოყალიბებასა და მსახურებას  
შემოქმედებაზე. თითქმის ყველა კართველი  
სამოციანელი (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი,  
კ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე,  
ანტ. ფურცელაძე, პ. უმიკაშვილი,  
ს. აპაშიძე, ს. მესხი, გ. წერეთელი  
გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე.  
გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე.**



ქველი თაობის მიმართ. მაგრამ 1861 წლის პოლემიკის დროს ეს უკვე არსებითად ახალი თაობის მტრების წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავდა, რადგან უურნალის ფურცლებს ი. ჭავჭავაძის მოწინააღმდეგებსაც უთმობდა.

1861 წლის შემოდგომიდანი ჭავჭავაძემ ხელი აიღო „ცისკარზე“, მაგრამ მის თანამებრძოლებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ უურნალთან კავშირი. „ცისკარში“ ისინი თავს ესხმოდნენ ივ. კერესელიძესაც. როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძისა და მისი თაობის ასპარეზზე გამოსვლამ ახალი ენერგია და სულისკვეთება შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში და „ცისკარზეც“ გავლენა მოახდინა; ივ. კერესელიძემაც იგრძნო, რომ შესაძლებელი იყო უურნალის უფრო პროგრესულ-დემოკრატიული გზით წარმართვა. 1862–1863წწ. მან მტკიცედ მოჰკიდა ხელი „ცისკრის“ გაუმჯობესებას, იდეურად და მხატვრულად მის გადახალისებას. 1863 წელს უურნალი ფაქტიურად ახალთაობას (აკ. წერეთელი, ა. ფურცელაძე, რ. აბაშელი) გადასცა. ცენზურისა და მკითხველი არისტოკრატიის ძალატანების შედეგად ძველისადმი დათმობის ნიშნები „ცისკარს“ უკვე 1863 წლის ბოლოდან დაეტყო, მაგრამ 1864–1867 წლებში იგი ერთგვარად მაინც ინარჩუნებდა პროგრესულ ტრადიციებს. მომდევნო წლებში კი ცხოვრების სწრაფმა წინსვლამ იგი თანდათან ჩამოიტოვა ბოლოში.

1875 წელს, 18 წლის არსებობის შემდეგ, „ცისკარი“ დაიხურა და რედაქტორ-გამომცემელს აურაცხელი ვალი დაუტოვა; ამ ვალებში მთელი ქონება გაუყიდეს და მწერალი ულუკმაპუროდ დარჩა. მიუხედავად ამისა, ივ. კერესელიძე უურნალის აღდგენაზე ოცნე-



**ზურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, 1857-1860 წწ.  
სხედან (მარცხნილი მარჯვნივ) ა. ჩიქოვანი,  
გ. რეულიშვილი, ლ. არდაზიანი;  
დგანან ი. კერესელიძე და დ. ჭონებაძე**

ბობდა და, მოითქვა თუ არა ოდნავ სული, 1887 წელს სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „ცისკარი“ დააარსა და გარს შემოიკრიბა მოწინავე ახალგაზრდობა (ი. დავითაშვილი, ნ. ლეონიძე, ალ. გვარამაძე და სხვ.), მაგრამ, ცენზურისაგან ათვალისწინებისა და უსახსრობის გამო, გაზეთმა ექვს თვეს იარსება და გამომცემელს ახალი ვალები დაატეხა თავს.

ივ. კერესელიძის სიცოცხლე მმობლიური ლიტერატურის სამსახურში გაილია. გაჭირვებით, მძიმე შრომით დაავადმყოფებული მწერალი სიცოცხლის უკანასკნელ წელს თარგმნის ქიშმიშოვის თხზულებას ინდოეთში ერეკლე მეფის ლამქრობათა შესახებ და კიდევ ერთხელ ცდილობს, აღადგინოს „ცისკარი“.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ივ. კერესელიძეს გააცნეს შინაგან საქმეთა მინისტ-

რის მომართვა, რომელშიც მას, როგორც „არაკეთილსაიმედოს“, უარს ეუბნებიან უურნალის გამოცემაზე.

ავადმყოფი, გაღატაკებული, მაგრამ სულით მტკიცე და უკანასკნელ წუთამდე ლიტერატურით გატაცებული ადამიანის დაუვინყარი პორტრეტი შემოგვინახა აკ. წერეთელმა თავის „ორშევედრაში“, „სუფრაზე ნელ-ნელა გამხიარულდა ივანე, — წერს პაპპი, — დავიწყდა დარდები, ჩამოაგდო საუბარი საზოგადო საქმებზე და სრულიად შეიცვალა, ძველად ბერძნებს სწამდათ, რომ ხანდახან განგებ ჩამოდიან ლმერთები და მათ რჩეულ კაცებს შევნებას უმატებენო. სწორედ მართალია, როცა კაცი მაღალი, ღვთიური რამეთი არის გატაცებული, მაშინ მისი შინაგანი ძლიერება გარეგანათაც იხატება და მშვენებაც ემატება“.

1892 წლის 21 დეკემბერს ივ. კერესელიძე გარდაიცვალა ავლაბრის ერთ მიყრუებულ ქუჩაზე, ნაქირავებ ბინაში. დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

**ალექსანდრე  
კალანდაძე,**

წიგნიდან „გვაქვს საგანძური“,  
თბ., 1986წ.

**იგი საკუთარ ქრებას ახეარდა „ცისკარს“,  
თვითონ აცყობდა, გაჭდავდა და ურიგებდა  
სელისეროვერთ, სათავაში ჩაუდგა განვითარები  
ეცისა და ლიტერატურის განვითარებისათვის  
პრემიას, რომელსაც მცვავე სასიათი ჰქონდა.**

50

# გერონტი ქიქოძე:

## სხოვარება და ზეობრივი იდეალი

ჩვენ, ყველანი, მომავლის იდეალებით ვცხოვრობთ, თვით მაშინაც კი, როცა ზნება ადამიანობის ზედმეტ დამატებად მიგვაჩინია და არსებობის აზრს „მომენტის შერჩევაში“ ვხედავთ. წარსული ჩვენს ნარმოდებენაში ხშირად სევდის მომგვრელ სასაფლაოსა ჰგავს ან კიდევ „მიტოვებულ ქალაქს“, როგორც ერთმა მგოსანმა თქვა. მომავალი ოცნებაა, „მუდმივი ზღაპარი მზის სამეფოზე“ და საუკეთესო ნაწილი ჩვენი სულისა სწორედ ამ ოცნებაშია შეტანილი. ადამიანი ან, მით უმეტეს, მთელი ხალხი უიდეალოდ, რაღაც დაუმთავრებელ არსებად მიგვაჩინია, გაუგებრობად, შინაგან წინააღმდეგობად. ჩვენ ყოველთვის ვითხოვთ ადამიანისაგან, რომ ის ყოველ თავის მოქმედებაში ცხოვრების იდეით ხელმძღვანელობდეს და პირუტყვულად ვთვლით ისეთ ყოფაქცევას, რომელიც მომენტების მოთხოვნილებებს ვერ გასცილებია. ზნეობრივ პიროვნებას და ზნეობრივ იდეალს ვეძებთ ადამიანში და მიზანთა წინ დაყენება ადამიანობის ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებად მიგვაჩინია, მაგრამ, თუ კარგად დავუკირდებით ამ კეთილშობილ წიჭს ადამიანისას, ადვილად დავინახავთ, რომ იგი დაფუძნებულია იმის მეორე საყურადღებო მხარეზე, რომელიც არა ნაკლებ გარკვევით არჩევს მას ცხოველებისგან: ადამიანი ისტორიული არსებაა...



ადამიანი ისტორიული არსებაა  
და უნინარეს ყოვლისა ეს არი სა-  
ძირკველი მისი განსაკუთრებული  
ბედისა თუ უბედობისა, საძირკვე-  
ლი მისი ადამიანობისა. ცხოველ-  
მა არ იცის ისტორია. აქ წინაპარ-  
თა გავლენა მხოლოდ ფიზიკურია.  
მოდგმის თუ გვაროვნობის წარს-  
ული შეუგნებლად მოქმედებს პი-  
რუტყვულ ინდივიდუალობაზე და  
სრულიად შეუძლებლად ხდის,  
რომ მან თავისი მოქმედებაში იმ-  
ვიწროდ მოფარგლულ საზღვ-  
რებს გადააბიჯოს, რომელიც  
მოდგმის ფიზიკურ ბუნებაზე არ-  
იან დამოკიდებული იყო. ამიტომ  
ცხოველი მოკლებულია პიროვნე-  
ბასაც. ფიზიკური აუცილებლო-  
ბით ის იმავე გზით მიდის, რო-  
მელზედაც იმის წინაპრებსა და  
მოძმებებს უვლიათ, იმავე ლტოლ-  
ვებსა და ინსტინქტებს ემორჩი-  
ლება, რომელიც იმის თანაარს-  
თა მოქმედებას საზღვრავენ. წარ-  
სული აქ სავსებით შეეგნების გა-  
რეშე იმყოფება. ამიტომ ცხოველ-

მა ნაკლებად იცის, თუ რა არის  
მოტივთა პრძოლა მოქმედების  
დროს და ის აუცილებლად იმ  
ლტოლვებს ექვემდებარება, რო-  
მელსაც მომენტის მოთხოვნილე-  
ბანი უკარნახებენ. თვითნებობას  
მოქმედებაში კი იგი სავსებით  
მოკლებულია.

სულ სხვაა ადამიანი: რაც უნდა განუვითარებელი იყოს იგი, რაც უნდა დაბალ საფეხურზე იდგეს გონებრივად, მხოლოდ მას შეუძლია ამაღლდეს თავის თანაგრძნობაში წუთიერობაზე, გასცილდეს მახლობელთა ვინწრონების, იტანჯვის და იმბიარულოს შორეულ წინაპართა ტანჯვით და სიხარულით. შეუდარებელია გაფართოება პიროვნებისა, რასაც (ჰერველი მოკლებულია!

ବୁନ୍ଦରୁ କାହିଁଏବେଳୁ କାହିଁଏବେଳୁ କାହିଁଏବେଳୁ  
ବୁନ୍ଦରୁ କାହିଁଏବେଳୁ କାହିଁଏବେଳୁ କାହିଁଏବେଳୁ

ადამიანის ცნობიერებაში მომავალი ყოველთვის და აუცილებლად არსებობს, როგორც შესაძლებელი იყო მას დასახურის დასაცურავებლად.

ლებდლობა და არა როგორც ობი-  
ექტური რეალობა. ამიტომ ის არ-  
სება, რომელიც მოკლებულია  
წარსულის ცნობიერებას, თავი-  
სუფალია დროის წარმოდგენისა-  
გან საზოგადოდ, იმიტომ, რომ ან-  
მყო მხოლოდ მომენტია, ერთიმე-  
ორისაგან სრულიად დამოუკიდე-  
ბელი მომენტებისაგან კი დროის  
წარმოდგენის შედგენა ყოვლად  
შეუძლებელია. დრო მიმდინარეო-  
ბაა და, ვინც ამ მიმდინარეობას  
თავის უკან ვერ ხედავს, ის აუცი-  
ლებლად ბრძანა მომავლისათვის,  
იმიტომ, რომ მაშინ მის შეგნებაში  
მხოლოდ ანმყო არსებობს რეალუ-  
რად: როგორც მომენტი, როგორც  
დამოუკიდებელი წერტილი.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ ის  
მჭიდრო კავშირი, რომელიც არს-  
ებობს ანტყოსა და ისტორიულ წა-  
რსულს შორის, სუსტდება ან თი-  
თქმის სრულიად ქრება სოციალ-  
ურ და ინდივიდუალურ შეგნება-  
ში. ორი ავადმყოფობა იკიდებს  
მაშინ ფეხს საზოგადოებაში: „ზე-



კაცთა“ „ნუთის ყლაპიობა“ და  
დონენიხოტობა ჭიქისფეხებიანი  
ბუმბერაზებისა. „ცხოვრება მხო-  
ლოდ მომენტებში მდგომარეობს,  
— ამტკიცებენ პირველნი, — სა-  
ჭიროა, რაც შეიძლება უფრო ინ-  
ტენსიურად ვისარგებლოთ ამ მო-  
მენტებით, დავენაფორთ ცხოვრე-  
ბის სიტყპოებას და ამოვწოვოთ,  
რისი ამონოვაც კი შეიძლება“. „  
„ცხოვრება ისტორიულად აღმო-  
ცენებული და განმტკიცებული  
შეცდომებისა, უაზრობისა და ბო-  
როტების ნაყოფია, — ამბობენ  
მეორენი, — ერთი გმირული დაკ-  
ვრით უნდა მოსპობილ იქნას მთე-  
ლი ეს ნაყოფი მოუმწიფებელი გო-  
ნებისა, რათა ადგილი განთავი-  
სუფლდეს რაციონალური შემოქ-  
მედებისათვის“.

დღოთა მიმდინარეობის, უამთაბრუნვის გრძნობა ორივეს ძლიერ დაჩლუნგებული აქვს: პირველთ აკლიათ ნიჭი სავალდებულოსა და იდეალურისათვის, მეორეთ კი — ისტორიულისა და ობიექტურისათვის; პირველზე სრულიად ბრმანი მაშინ არიან, როცა წინ იცქირებიან, მეორენი — მაშინ, როცა უკან მობრუნდებიან. ორივენი ბევრს ლაპარაკობენ ზეკაცობაზე: ადამიანობის მხრივ კი ორივენი ერთნაირად კოჭლობენ.

მდიდარი და საგმირო მომა-  
ვალი იგას უდიმის, ვისაც  
მდიდარი და საგმირო წარსუ-  
ლი აავს; ფილისტერები არც კი  
ოცნებობენ სხვა რამეზე, გარდა  
თბილი ხალათისა და სრული ფოს-  
ტლებისა. იმედი უნდა ვიქონიოთ,  
რომ ის, ვინც თავისი პრარა-  
ობა წარსულში საკმაოდ შე-  
ურყევლად დააგთიცა, ვერც  
მომავალში შესძლებას მთე-  
ბის გადაპრუნებას. უძლიერე-  
სი ზნეობრივი, სოციალური და ეს-  
თეტიკური იდეალები მდიდარ და  
მრავალმხრივ ისტორიულ ნიადაგ-  
ზე აღმოკენდნენ...

შენ მას არ მოძებნიდი, რომ უკვე აღმოჩენილი არ გყავდესო, — ამბობს სადღაც პასკალი ადამიანის მიერ ლვთაების ძიების გამო. თავის შინაგან არსებაში ჰოულობს ადამიანი ლვთაებრივს და

იდეალურს; სრულიად უცხოს და  
გაუგებარს არასოდეს არ შეეძ-  
ლებოდა მასზე ის გადამწყვეტი  
გავლენა მოეხდინა, რომელსაც  
იღეალები ახდენენ.

არა მარტო მომავლის შეგნებას და იდეალების წამოყენების ნიჭს უნდა ვუმადლოდეთ არსებითად იმ გარემოებას, რომ ჩვენ „ისტორიული არსებანი“ ვართ, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ისტორიული შემეცნების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სიკვდილის იდეაც, რომელიც ესოდენ მძიმე ლოდად აწევს კაცობრიობას: ნაღვლიანი ხატება ჩვენს გაფართოებულ ჰორიზონტზე, დაუშრეტელი წყარო სევდისა და ვარამისა!

წინათვოდნა, აი ჩვენი მტერი,  
— წამოიძახა რუსომ. მართლაც,  
რარიგ ბეჭნიერნი ვიქწებოდით,  
რომ სიკვდილი და უბედურება  
ისე გვეპარებოდეს ხოლმე, რო-  
გორც მხდალი ქურდი ღამეში და  
შესაძლებლობის სახით არ გვტან-  
ჯავდეს, სანამ სინამდვილედ გარ-  
დაიჭვებოდეს.

ରୋଗରେତ୍କ ପାନ୍ଦିତ୍ୟା, ଶୈଳୀଧେବା ସି-  
କ୍ଷମିତ୍ତିଲୋ ସର୍ବଜ୍ଞାଦାତ୍ର ଏହା ଏହା ମତିବାନ-  
ଜ୍ଞାନେଣ୍ଠିରେ ଶୈଳୀଧେବାରେଣ୍ଠିଲୋ-  
ପାନ୍ଦିତ୍ୟା, ରୋଗ ଯୁଗାନାସଙ୍କେନ୍ଦ୍ରିୟ ନୃତ୍ୟକଥିତ  
ପରମାତ୍ମାରେବା ଯୁଗେ ସାଵଶେଷିତ ପାରାଗ-  
ାଶି ତାତ୍ତ୍ଵରେ ତାତ୍ତ୍ଵରେ ଏହା ମନ୍ଦିରା କରିବାକିମ୍ବା

აღარავინ ჩამოკერავს იმის საც-  
ნობად, რომ შეწყდა ფრიად მო-  
საწყენი, ფრიად ერთფეროვანი  
და სისხლგაყინული ცხოვრება  
ღვთისმოსავ არსებისა. **პატო-**

რიპობის ტრაგედია სოლოდ  
იგაში მდგომარეობს, რომ ის  
არასოდეს გადაიცცევა „პე-  
პერ მნათეო“, ხოლო მისი სუ-  
ლიერი კულტურა „გაზუნი-  
ბულ სავარძლად“. სულიერმა  
კულტურამ არ იცის, თუ რა არის  
დაბერება: მუდმივ ზრდაშია იგი,  
თავის ძალთა და შესაძლებლობა-  
თა დაუსრულებელ გაშლაში და ამ  
განვითარებას, წინსვლას, „სინ-  
თეტიკურ შემოქმედებას“ არა  
აქვს სხვა საზღვარი, გარდა სიკვ-  
დილისა. განა შესაძლებელია  
ნარმოვიდგინოთ, რომ, მაგალი-  
თად, ელინთა მიერ ნაანდერძევ-  
მა ხელოვნებამ, პოზიტივ და ფი-  
ლოსოფიამ დაჰკარგოს თავისი  
მუდმივი ახალგაზრდული მშევ-  
ნიერება, ჯანსაღობა და მიმზიდ-  
ველობა, ან დაბერდეს დაწყე,  
შექსპირი, ბეთჰოვენი, მიქელ-ან-  
ჯელო, რემბრანტი — მარად გა-  
ნუყრელი მესაიდუმლენი აღამი-  
ანობისა?! შეიძლება ისინი კიდევ  
უფრო ძვირფასნი გახდნენ მომა-  
ვალ თაობათათვის, ვიდრე ჩვენ-  
თვის არიან!..

სიკვდილის წინათგრძნობა იმ  
ერთადერთი „ისტორიული არსე-  
ბის“ ხვედრია, რომელსაც მსოფლიო  
თავის წიაღში ატარებს. „ადა-  
მიანი ერთადერთი არსებაა, რო-  
მელსაც ტირილის ნიჭი აქვსო“, —  
სთქვა ერთმა თანამედროვე ფსი-  
ქოლოგმა. ცხოველსაც შეუძლია  
თავის ტანჯვასთან ერთად სხვისი  
ტანჯვაც იგრძნოს, იმანაც იცის  
თანაგრძნობა მწუხარებაში, მაგ-  
რამ ამ გრძნობაში მას არ ძალუდს,  
აწმყოს ვიწრო ფარგლებს გას-  
ცილდეს; მხოლოდ ადამიანი მაღ-  
ლდება ამ მხრივ წუთიერობაზე,  
ევლება შორეულ წარსულს და სა-  
იდუმლო მომავალს, მხოლოდ მას  
შეუძლია თავისი ტანჯვა მსოფლი-  
ოს გოდებად გარდააქციოს.

\* \* \*

ზნეობრივი შეცოდების საფრთხეები მხოლოდ ადამიანისთვის არსებობს; სხვა არსებანი გამო-

უკლებლივ ბოროტებისა და სიკეთის წინააღმდეგობათა გარეშე დგანან. არა შეუგნებელი ლტოლვანი, არამედ მხოლოდ მოსაზრებული მოქმედებანი ექვემდებარებიან ზნეობრივ დაფასებას, მხოლოდ თავისუფალი გონიერი პიროვნება შეიძლება ჩაითვალოს ბოროტად ან კეთილად. პირუტყვი კი მონაა თავის გრძეულ ლტოლვათა. მორალური პიროვნება აუცილებლად გულისხმობს მოქმედების მოტივთა სიმრავლეს. იმ მოქმედებას, რომელსაც წინ მხოლოდ ერთი მოტივი უძღვის, ჩვენი ეთიკური შემეცნება სრულიად გულგრილად უცქერის; აქ შეუძლებელია გარჩევა სავალდებულოსა და არსებულის, დასადასტურებელსა და უარსაყოფელს შორის. უცნაური იქნებოდა სიქველე და სათნოება მოგვეთხოვა მშიერი მგლისთვის, რომელიც თავის წინაშეუპატრონო კრას ხედავს, იმიტომ, რომ ერთადერთი მოტივი, რომელიც ასეთ შემთხვევაში იმის მგლურ არსებაში მოქმედებს, უსათუოდ შიმშილის მოკვლაა, ხოლო ერთადერთი მიზანი — კრავის შეჭმა. მორალური აღმფოთებაც უადგილოი იქნებოდა აქ. რასაკვირველია, **სადაც მოძმედებას წინ არჩევანი არ მიუძღვის, იქ არ არსებობს შეგნება თავისუფლებისა და, სადაც თავისუფლების შეგნება არ არის, იქ არ არის განსხვავებაც პოროტებასა და სიკეთის შორის.**

ადამიანში კი პირიქით — თითქმის ყოველთვის არსებობს ეს შეგნება თავისუფლებისა ჯერ კიდევ შეუსრულებელი მოქმედების წინაშე, ეს შესაძლებლობა მოტივთა არჩევისა. მშიერია ის თუ მაძღარი, კმაყოფილი თუ უკმაყოფილო, ის თავისი თანაარსის წინაშე აუცილებლად სხვა მოტივებსაც განიცდის. მრავალ გრძებობათა და მოსაზრებათა ურთიერთობასა და ბრძოლაზეა დამოკიდებული ჩვეულებრივად მისი ნებისყოფა და გადაწყვეტილება, თუ რასაკვირველია, ის სომნამბულისტურ მდგომარეობაში არ არი, ან არ არი მთვრალი, ან შეპყრობილი მორალური სიგიჟით. ამ

შემთხვევებში კი იგი მართლაც ცხოველს უახლოვდება, რადგან მისი ცნობიერება მოწყვეტილია მისსავე წარსულს და მისი ნებისყოფა მექანიკური აუცილებლობით, მომენტალური გრძნობით და მოსაზრებით ან, უკეთ ვთქვათ, მოუსაზრებლობით ისაზღვრება. ადამიანობა კი არასოდეს არ იშლება მარტო ნივთიერებაში: ერთს განსაზღვრულ მომენტში იგი შეიძლება ყოველ მხეცზე უმხეცესი აღმოჩნდეს. მომენტის თვალსაზრისით ადამიანობა ხშირად უბადრუება, უნიჭო, სულიერად ლარიბი. ისტორიულად გამჭლილი კი, იგი ყოველთვის მდიდარია, მრავალმოქმედი, სულიერად განუზომელი, როგორც კეთილის, ისე ბოროტისკენ.

პიროვნების ეს სიფართოვე, მოტივების ეს მრავალფერადობა აუცილებელი პირობაა ზნეობრივი მოქმედებისათვის. თავისუფლების გრძნობაც, რომელიც თან სდევს ჩვეულებრივ ჩვენს მოქმედებას, აქედანვე გამომდინარეობს. ჩვენი ნების შებოჭვას ჩვეულებრივ ჩვენ მხოლოდ ძლიერი აღმოჩნდების დროს ვგრძნობთ, როცა რაიმე ძლიერი აფექტით გამსჭვალული მარტოდმარტო თავზარდამცემ შიშს ან აღმფოთებას, ან მძულვარებას, ან უსაზღვრო სიყვარულს ვემორიჩილებით. მაგრამ თვით ასეთ წუთებშიაც არ ძალგვის, ჩავახშოთ ის ხმა, რომელიც შეიძლება ყრუდ, მაგრამ ყოველთვის დაუინებით გვახსენებს, რომ ჩვენი პიროვნება ბევრად მეტია, ვიდრე ერთი რომელიმე თუნდ უძლიერესი აფექტი. ესაა საფუძველი პიროვნული თავისუფლების შეგნებისა; ჩვენ შეურყევლად გვნამს, რომ ჩვენი ნებისყოფის აქტი, ჯერ კიდევ შეუსრულებელი მოქმედება, მომავალი გადაწყვეტილება, ჩვენს ხელთაა, რომ ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რომელი გამარჯვებს იმ მრავალრიცხოვან მოტივთა შორის, რომელნიც თითქმის ყოველთვის ჩვენს ფსიქიკაში იბრძვიან. ჩვენ თავისუფლებას ვგრძნობთ მომავლის წინაშე.

ნებისყოფის თავისუფლებას

მხოლოდ ეს ვიწროდ განსაზღვრული აზრი აქვს. ინდეტერმინისტული მოძღვრება კი, რომელიც ნებისყოფას ფსიქიური მიზეზობრივობის გარეშე აყენებს, სავსებით ეწინააღმდეგება საქმის ნამდვილ მდგომარეობას, იმიტომ, რომ არავითარ ფსიქიკურ გამოცდილებაში არ არსებობს მოქმედება, რომელიც განსაზღვრული არ იყოს რაიმე მოტივით. **არა უმიზეზობა, არამედ მიზეზთა და მოტივთა ბრძოლა და არჩევაა წყარო იმ თავისებური განცდისა, რომელსაც ჩვენ შეგნებული პიროვნების და მისი ნების თავისუფლებას ვუწოდებთ.**

ჩვენ ქვევით დავინახეთ, რომ ზნეობრივი იდეალების და ნორმების ფსიქიკური ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხელს უწყობენ უმაღლეს მოტივებს — გაიმარჯვონ უმდაბლესებზე, და რომ ამიტომ არვის შეუძლია თავისი უზნეობა იმით გაამართლოს, თითქო მისი ბუნება და ხასიათი ერთხელ და სამუდამოდ ისეა მოწყობილი, რომ აუცილებლად დასაძრახისი და უარყოფითი ინსტინქტები დღესასწაულობენ იდეალურსა და კეთილშობილზე.

ამგვარად, არჩევანის თავისუფლება, რომელიც მით უფრო დიდია, რაც უფრო მდიდარი და მრავალმხრივია პიროვნება, რაც უფრო ფართოა მისი გონებრივი პორიზონტი, სრულიად ეწინააღმდებების ასესაში. ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა პიროვნების მორალურად დაფასება და გასამართლება, რომ მისი ნებისყოფა და მოქმედება ფსიქიკურ ურთიერთობათა გარეშე მდგარიყო, ე.ი. უმიზეზთ ყოფილი ყოფილიყო და განუსაზღვრელი თავის გამოხატულებაში. არ შეიძლება პასუხისმგებელი გავხადოთ ვინმე ისეთი მოქმედებისათვის, რომლის მიზეზი მის შინაგან ბუნებაში არა დევს. ფსიქიკურად გაბრუებული ადამიანის ნებისყოფა და მოქმედება სწორია აზრი აქვს. ინდეტერმინისტული მოძღვრება კი, რომელიც ნებისყოფას ფსიქიური მიზეზობრივი მოქმედებაში არ არსებობს მოქმედება, რომელიც განსაზღვრული არ იყოს რაიმე მოტივით. **არა უმიზეზთა და მოტივთა ბრძოლა და არჩევაა წყარო იმ თავისებური განცდისა, რომელსაც ჩვენ შეგნებული პიროვნების და მისი ნების თავისუფლებას ვუწოდებთ.**



რედ იმიტომ რჩება ეთიკური განსჯის გარეშე, რომ მათი მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, არა შინაგან ხასიათში უნდა ვეძებოთ, არამედ რაიმე გარეგან ძალაში: პიპნოზში, ნარკოზში ან ალკოჰოლში.

სულის სიმაღლე და სიფაქიზე სამართლიანად მხოლოდ მაშინ გვერიცხება აქტივში, ხოლო სულის სიმდაბლე და სიდურეჭირე პასივში, როცა როგორც ერთში, ისე მეორეში მთელი ჩეგნი ძეგნებული პიროვნება გამოსჭივის ისე, როგორც ის არი თავისთავად, გარეშე ძალთაგან დამოუკიდებლად. **კეთილშობილება, რომელიც შემთხვევით ან რაიმე უცნაური გაუგებობის წყალობრივი გარებულების და მომავალი წარსულად, ჩვენ ვების დამატებად ან კორელაციად. ჩვენ თვითნებობას ან რჩევის თავისუფლებას მხოლოდ მომავლის, ჯერ შეუსრულებელი მოქმედების წინაშე ვგრძნობთ. პირიქით, როცა შესაძლებლობა სინამდვილედ იქცევა და მომავალი წარსულად, ჩვენ ვების და რაც ჩვენ თავისუფალი გადაწყვეტილების ნაყოფი გვეგონა, აუცილებელი ყოფილა და, რაც მოხდა, მოხდა სწორედ ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. საბედისწერო ელფერი ეძლევა წარსულს ამ გარემოების წყალობით. ჩვენი მომავლის მჭედლები თვით ჩვენა ვართ ჩვენი ღრმა რწმენის მიხედვით, თუმცა ესე მომავალი იმ გრძემლის და კვერისაგანაცა დამოკიდებული, რომელიც არსებითად ჩვენი ბუნებისაგან განსხვავდება. მაგრამ განა ჩვენ ჰეთესტოსი ბევრად უფრო მნიშვნელოვნად არ მიგვაჩინა, ვიდრე ვულკანი — მისი ღვთაებრივი სამჭედური?! და აი, საკმაოა ამ „ჰეთესტოსმა“ უკან მოიხედოს, საკმაოა რეალობის თვალსაზრისით შეხედოს იმას, რაც აქამდის იმის შეგნებაში იდეალობის ან შესაძლებლობის სახით არსებობდა და სულ ადვილად დაინახავს, რომ მისი ადამიანური არსება ისევე ექვემდებარება აუცილებლობას და მის კანონებს, როგორც ყოველი სხვა არსება, უკანასკნელი ლითონისაგან დაწყებული უდიადეს ზენციურ მნათობამდე.**

ამით მე იმის თქმა არ მინდა, რომ თავისუფლების გრძნობა მხოლოდ ილუზია, გონების შეცდომა ან უშინაარსო მოჩვენება, რომელიც შეიძლება მოსპობილ იქნას ლითონიკური შრომისა და თვითგანრთვის შემწეობით. შეურყეველი ფსიქიკური ფაქტია ეს გრძნობა, ისევე როგორც შეგნება მომავლი-

ცხოვრებასთან. უმიზეზობა სულიერ განცდათა სფეროში ისევე უაზროა, როგორც ფიზიკურ მოვლენათა სამეფოში, ისევე როგორც სხვაგან, მსოფლიოში.

ამ გარემოებისაგან გამომდინარეობს მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლების იდეის დამატებად ან კორელაციად. ჩვენ თვითნებობას ან რჩევის თავისუფლებას მხოლოდ მომავლის, ჯერ შეუსრულებელი მოქმედების წინაშე ვგრძნობთ. პირიქით, როცა შესაძლებლობა სინამდვილედ იქცევა და მომავალი წარსულად, ჩვენ ვების და რაც ჩვენ თავისუფალი გადაწყვეტილების ნაყოფი გვეგონა, აუცილებელი ყოფილა და, რაც მოხდა, მოხდა სწორედ ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. საბედისწერო ელფერი ეძლევა წარსულს ამ გარემოების წყალობით. ჩვენი მომავლის მჭედლები თვით ჩვენა ვართ ჩვენი ღრმა რწმენის მიხედვით, თუმცა ესე მომავალი იმ გრძემლის და კვერისაგანაცა დამოკიდებული, რომელიც არსებითად ჩვენი ბუნებისაგან განსხვავდება. მაგრამ განა ჩვენ ჰეთესტოსი ბევრად უფრო მნიშვნელოვნად არ მიგვაჩინა, ვიდრე ვულკანი — მისი ღვთაებრივი სამჭედური?! და აი, საკმაოა ამ „ჰეთესტოსმა“ უკან მოიხედოს, საკმაოა რეალობის თვალსაზრისით შეხედოს იმას, რაც აქამდის იმის შეგნებაში იდეალობის ან შესაძლებლობის სახით არსებობდა და სულ ადვილად დაინახავს, რომ მისი ადამიანური არსება ისევე ექვემდებარება აუცილებლობას და მის კანონებს, როგორც ყოველი სხვა არსება, უკანასკნელი ლითონისაგან დაწყებული უდიადეს ზენციურ მნათობამდე.

ამით მე იმის თქმა არ მინდა, რომ თავისუფლების გრძნობა მხოლოდ ილუზია, გონების შეცდომა ან უშინაარსო მოჩვენება, რომელიც შეიძლება მოსპობილ იქნას ლითონიკური შრომისა და თვითგანრთვის შემწეობით. შეურყეველი ფსიქიკური ფაქტია ეს გრძნობა, ისევე როგორც შეგნება მომავლი-

სა, რომელთანაც იგი განუყრელადა შეკავშირებული. კიდევ მეტი: თვით აუცილებლობის განცდა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩვენს სულიერ გამოცდილებაში არ არსებოდეს იდეა პიროვნული თავისუფლებისა. როგორც ბევრი სხვა კორელაციური ცნებანი, როგორც, მაგალითად, იდეანი — სიცოცხლისა და სიკედილისა, სუბიექტისა და ობიექტისა, ნარსულისა და მომავლისა, ისე აუცილებლობა და თავისუფლებაც ყოველთვის ურთიერთს გულისხმობენ. და ერთი მათგანის აღმოფხვრა უსათუოდ მეორესაც გაიყოლებდა თან ცნობიერებისაგან.

ჩვენ რომ მარტო მომავლის შეგნება გვქონოდა, ჩვენი თავი აპსოლუტურად თავისუფალი გვეგონებოდა, ჩვენ ყოველ მომენტში გამოვიდოდით როგორც მიზეზი მოვლენათა და არა როგორც შედეგი. პირიქით, მარტო წარსულის ცოდნით კი ბედისწერის კლანჭებში ვიგრძნობდით თავს. წინააღმდეგობა აუცილებლობისა და თავისუფლებას შორის იგივე წარსულისა და მომავლის წინააღმდეგობაა ადამიანის ხელში, ის დისპარმონიის და ტრაგიზმის უდიდეს წყაროდ უნდა ჩაითვალოს; ჩვენ ნათლად ვგრძნობთ, რომ „მერანს“ თავისუფლად მივაქანებთ მომავლისაკენ, მაღალი მიზნებისაკენ, ბედნიერი, მშვენიერი ან ფართო და მდიდარი არსებობისაკენ, — მაგრამ შეუწყვეტლად გარკვევით გვესმის, თუ როგორ მოგვდევს უკან კვალდაკვალ ჩვენი წარსული, ხშირად შეიძლება უარყოფილი, ხშირად შეიძლება ჩვენი „შავბედითი შავი ყორანი“, — და რაც უფრო შორს მივდივართ განვითარების გზაზე, მით უფრო იზრდება ეს სამეფო „ისტორიული აუცილებლობისა“; დიახ, ჩვენი თვითნებობა, არჩევანის შეიძლება, თავისუფლების შეგნება მოტივთა სხვადასხვაობასა და სიმრავლეზეა დამყარებული, მაგრამ თვითეული გრძნობა და წარმოდგენა, როგორც ჩვენი მოქმედების მოტივებად თუ მიზეზად გამოდის, უკანასკნელი რგოლია ფსიქიკურ მოვლენათა

გრძელი ჯაჭვისა, რომლის დასაბამი იკარგება დაუსრულებლობაში; ინდივიდუალური შეგნების აწყობის ის აერთებს მის წარსულთან, შემდეგ ახლო ნათესაობის, გვარტომობის, ეროვნების, ბოლოს მთელი კაცობრიობის სულიერ ცხოვრებასთან. არსად არ წყდება ეს კავშირი, თუმცა ხშირად იგი სუსტია, შეუგნებელი.

საბედისნერო ტრაგიზმი ჩვენი „ისტორიული გუნებისა“ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ „შეხედულების ფორმა, რომელშიც ის იმდება, დროება, ბევრად ნაკლებ აძლევს ასპარეზს თავისუფლებას, ვიდრე, მაგალითად, გამოცდილების მეორე მატარებელი — სივრცის წარმოდგენა. უკანასკნელი სამდიმენსიონალურია და ჩვენ შედარებით თავისუფლად შეგვიძლია მოძრაობა ექვსი მხრით სამივე მიმართულებაში ან ერთს ადგილზე გაჩერება, დროება კი მხოლოდ ერთდიმენსიონალურია და აქაც ყოველთვის მხოლოდ ერთი მხრისკენ მივდივართ, სახელდობრ, წარსულიდან მომავლისაკენ. აწყობან წარსულისაკენ კი ხიდი ყოველთვის ჩატეხილი გვხვდება. გარდუვალია ეს ვიწრო, მაგრამ უძირო უფსკრული, დროების მიერ გათხრილი ზურგს უკან; ჩვენ შეგვიძლია ხელი გავუნიდოთ იმას, რაც ამ უფსკრულს გაღმადარჩა, შეგვიძლია მახსოვრობაში გავაცოცხლოთ განვლილი უამის აჩრდილნი. მუდმივ ახლობელნი, მაგრამ მაინც მუდმივ მიუწვდომელნი არიან ისინი ჩვენთვის, იმიტომ რომ დროთა ბრუნვასთან თვით ჩვენ ვიცვლებით, თვით ჩვენს სულს აჩენს ის წარუშლელ, აღმოუფხვრელ ბეჭედს.

ეს მძაფრი წინააღმდეგობა აუცილებლობასა და თავისუფლებას შორის არ იარსებებდა ჩვენთვის, მარტო სივრცის ჩარჩოებში რომ ყოფილიყავით მოთავსებულნი ან, მაგალითად, დროება რომ მხოლოდ სივრცის მეოთხე დიმენსია ყოფილიყო და არა ფორმა მთელი ჩვენი შინაგანი და გარეგნული გამოცდილებისა. მაგრამ მაშინ არ იარსებებდა არც მისწრაფება იდეალისადმი. თუ ჩვენს

ზევით სადმე მართლაც არის უზენაესი არსება თავისუფლი უამთა მიმდინარეობისაგან, არსება, რომლისთვისაც ერთ მომენტში მარადისობა ძევს, მას უეჭველად არ ეცოდინება, თუ რა არი დისპარმონია სავალდებულოს და არსებულს შორის, თუ რა არი ადამიანური სევდა და ლტოლვა ახალი იდეალებისა და ახალი ცხოვრებისადმი.

\* \* \*

**ცხოვრების გარეშე და მასზე მაღლა არარა არსებობს, რაც შეიძლება მის მართებულ მიზნად ჩაითვალოს, მას შემდეგ არარა მოსდევს, რაც შეიძლება მის ზნეობრივ დამთავრებად გადაიქცეს: მხოლოდ სიკედილია სიცოცხლის უახლოესი მემკვიდრე და დასასრული, სიკედილი კი უდიდესი ბოროტებაა, უდიდესი ცოდვა და შეჩერება. ამიტომ უდიდესი ლირებულება, უდიდესი ზნეობრივი სიკეთე თვით ცხოვრებაა. არა ერთი რომელიმე მხარე ცხოვრებისა, არა მარტო ინდივიდუალობა ან მარტო სოციალობა, არა მარტო ბედნიერება, სიამოვნება და კამაყოფილება ან, პირიქით, თავგანწირულება, ტანჯვა და უბედობა, არამედ ცხოვრება, როგორც მთლიანობა, როგორც განუზომლობა ძალთა და შესაძლებლობათა, როგორც დაუშერეტელი სიმდიდრე ნიჭთა და თვისებათა; და ცხოვრება არა სიკედილის შემდეგ, ცხოვრება არა მაშინ, როცა ჩვენ მკვდრეთით აღვსდგებით, არამედ სანამ დავიხოცებოდეთ, სანამ ცხოვრება მართლა ცხოვრებაა.**

...რაც უფრო მაღალ საფეხურზე ადის ცნობიერებით აღჭურვილი არსება, რაც უფრო პირდაპირ, ძლიერად, უშუალესობად გრძნობის ის თავის ბუნებაში ცხოვრების სიმდიდრეს და დაუსრულებლობას, მით უფრო უძლეველი ხდება მასში სევდა კიდევ უფრო ფართო, კიდევ უფრო ინტენსიური ყოფნისადმი, მით უფრო იზრდება მასში ნდომა მიუწვდომელ, იდეალურ ყოველმხრივობისადმი, სულ ერთია, მარტო სიამოვნებას და სიტკბოებას უქადის ეს ყოველმხრი-

ვობა თუ არა, ესაა ის კოსმიური დრამა, რომლის ადამიანური მხარე გამოუთემელი სიდიადით გამოსჭვივის ყოველი ჭეშმარიტად ტრაგიული ხელოვნებიდან.

ცხოვრების ამ შინაგან დისპარმონიაზე აძენებული ის წინააღმდეგობა არსებულსა და ზნეობრივად სავალდებულოს შორის, რომელიც ეთიკური შეგნების ძირითად ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

\* \* \*

ცხოვრება რომ ისეთი რამ ყოფილიყო, რაც უცვლელად ერთგვარად არსებობს და ამ უცვლელი არსებობით სავსებით ისაზღვრება, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ის ძირითადი წინააღმდეგობა არსებულსა და სავალდებულოს, სინამდვილესა და იდეალს, ფაქტიურსა და ნირმატიულს შორის, რომელიც ადამიანური ცნობიერების აუცილებელ ფაქტს შეადგენს და რომელიც აუხსნელი ჩჩება როგორც თეოლოგიური, ისე რაციონალისტური მორალის მიერ. მაგრამ ცხოვრება შეუჩერებელი ცვალებადობაა; თვით ცხოვრების არსში ძევს პრინციპი განვითარებისა, წინსვლისა, გაფართოებისა. ცხოვრების დედააზრს შეადგენს განვითარება, განვითარებისას კი — ყოველი უკვე მოღწეული საფეხურის უარყოფა, შემდგომი, უფრო მაღალი საფეხურის სახელით. აქ არი ძირითადი წყარო სიკეთის და ბოროტების გათმვის, ზნეობრივად სავალდებულოს გამოყოფისა; ადამიანური თვალსაზრისით სავალდებულო და კეთილია ის, რაც ცხოვრებას შეგნებულად ამდიდრებს, აძლიერებს, ამრავალფერებს; უზნეო და ბოროტი ის არი, რაც მას აღარიბებს, ასუსტებს, აკნინებს. აქ არი, აგრეთვე, ძირითადი წყარო კაცობრიობის ტრაგედიისა: მუდმივ მიუღწეველია ზნეობრივად სავალდებულო, თუმცა მუდმივ მისკენ არი მიმართული ცხოვრების მსვლელობა. მომავლის პორიზონტზე არა ჩანს ისეთი საზღვარი, სადაც ისტორიული განვითარების შეჩერება შეიძლებოდეს, იმ რწმენით, რომ ადამიანური ვალი აღსრუ-



**ლებულია და აღთქმული ქვეყანა მიღწეული. ვერასოდეს ვერ მოპერის მოსასვენებლად თავს მუდმივ შფოთი და მუდმივ მაძიებელი კაცობრიობა, სანამ სიკვდილი — ბუნებრივი დასასრული ყოველი სიცოცხლისა, თავის რეინისებრ მძიმე ხელს არ დადებს მის მიერ შექმნილ სულიერ კულტურასაც.**

მაგრამ არა მარტო იდეალის მიუღწევლობაში და სიკვდილის აუცილებლობაში ძევს კაცობრიობის ტრაგიული ხედრის მიზეზი. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ, **რაც უფრო განვითარებული ხდება ადამიანი, რაც უფრო გაღლა ადის იგი გონიერივად და ზეორბრივად, მით უფრო შესამჩნევი და გადამცყვეტი ხდება მისი გუნდისთვის ისტორიული ნარსულის გავლენა.**

ისტორიულად განუვითარებელი შეგნება თავის თავს აბსოლუტურად თავისუფლად სთვლის: მხოლოდ ისტორიულად გაფართოებული ცნობიერება გრძნობს მთელი სიმძაფრით თავისი არსების განსაზღვრას შეუცვლელი წარსულის მიერ, თავის ცალმხრივ დამოკიდებულებას ისტორიულად განვლილი სამართლიანობის თუ უსამართლობის, სიკეთის თუ ბოროტების, დიდებუნებოვანობის თუ უბადრუკობისაგან. რა საშინელებით და რა სიდიდით არის აღვსილი ერთსა და იმავე დროს ეს ცოდნა, რომ შენი სულის ყოველი უწვრილესი სიმი, შენი ბუნების უსაიდუმლესი კუნძული მიზეზობრივს ურთიერთობაში იმყოფება უშორეს, ხშირად გონებით მიუწვდომელ ისტორიულ მდგომარეობასა და არსებასთან.

მხოლოდ ამ ისტორიული თვალსაზრისით შეიძლება ჩაითვალოს კაცობრიობა ტრაგიულ გმირად, ხოლო მისი წარსული ბედისწერის იდეის მატარებლად. თუ ჩვენ მას მხოლოდ ინდივიდუალისტური საზომით გავზომავთ, თუ ადამიანობას მისი ისტორიულად გაშლილი ობიექტური კულტურისაგან გამოვთქმავთ და ცალ-ცალკე, ურთიერთშორის დამოუკიდებელ ელემენტად დავყოფთ, მაშინ ის

შეიძლება მართლაც უფრო უაზრო კომედიანტს დაემსგავსოს, რომელიც ყოველთვის სხვის მოტყუებას ცდილობს და ყველაზე მეტად თავისივე თავს ატყუებს. ამ უმართებულოდ ვიწრო, განსაზღვრული შეხედულებისთვის შეიძლება **შოპენჰაუერი მართლაც ჭეშმარიტებას ჰლადადებდეს:** ადამიანი იაფთასიანი, მდარე საქონელია, რომელსაც ბუნება — ეს უზარმაზარი ფაბრიკა — ნარდად ისვრის ბაზარზე; და ორი თვისება ახასიათებს ამ ცოცხალსაქონელს — ღრმა სისულელე და უაზრო ბოროტება. ძლიერ, ძლიერ იშვიათად, ერთხელ მთელი საუკუნების განმავლობაში, ის ამ ნაგავშიც გამოურევს ხოლმე ობოლ მარგალიტს. გენიოსურ პიროვნებას და იმასაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამით კიდევ უფრო ნათელჰყოს ადამიანობის საერთო უნიჭება და სიბადურუკე. და მართლაც, თუ „ისტორიულ ადამიანს“ ისტორიულსავე პერსპექტივას ძალდატანებით მოვაშორებთ, თუ დამოუკიდებელ ატომად მივიჩნევთ იმას, რაც ნამდვილად მხოლოდ დიად ორგანულ მთლიანობაში ცხოვრობს, მაშინ არა თუ საშუალო მომაკვდავი, არამედ თვით ლეონარდოდა ვინჩიდა მიქელ-ანჯელო მოგვეჩენება უსრულო და განსაზღვრულ არსებად, ერთი რომელიმე მნიშვნელოვანის მხრივ მაინც ყოველ შემთხვევაში უდიდეს და უნიჭიერეს პიროვნებასაც შეიძლება აღმოაჩნდეს პატარა ნაწილაკი იმ ორი „დამახასიათებელი თვისებისა“, რომელთაგან უკანასკნელი არც თვით „ფილოსოფიურ გენიოსს და ბრძენს“ შოპენჰაუერს ჰკლებია თვალსაჩინოდ. და მართლაც, ვინ არი ეს ადამიანობის პესიმისტი მსაჯული, რომლის ობიექტურ-კულტურული შემოქმედება და ანდერძი გერმანელთა ისტორიის ამამაღლებელ და გამაკეთილშობილებელ ფურცლებს წარმოადგენს? — მხდალი ეგონისტი ფართო თვალებით სხვისი ნაკლოვანების დასანახავად და მიჩღუნებელ აღლოთი თავისივე საკუთარ ცოდვების საგრძნობლად!

საჭიროა ავმაღლდეთ ამ უღირს

ატომისტურ და ინდივიდუალის-

ტურ შეხედულებაზე, საჭიროა, ადამიანობას ვუცქიროთ ისე, როგორც იგი სინამდვილეშია, ე.ი. როგორც იგი არა მარტო ჩვენს აპსტრაქტიაში, არამედ თავის ისტორიაში იშლება, საჭიროა დავინახოთ, რომ **პატობრივობა მეტი, ვიდრე უბრალო გრძნობა, მშვენიერებისა და გენიოსობისადმი.** ხშირად კაცს ადამიანები ცალ-ცალკე უფრო სძულს, ვიდრე უყვარს, მაგრამ მაინც ადამიანობის თაყვანის მცემელი რჩება და ხშირად კაცს ეზიზლება თავის თანამემამულეთა სილაჩრე, სულმოკლეობა, უნიჭობა და მცონარობა, მაგრამ მაინც ძლიერი პატრიოტიზმით არი გამსჭვალული: ეროვნული და ჰუმანიტარული გრძნობა არ არჩილების ან ალფრედების სიყვარული და პირველთა ან მეორეთა არჩევა სანტიმენტალური ცრემლების დასაფრევად; არც პირველი და არც მეორენი ცალ-ცალკე შეიძლება სრულიადაც არ ფასობენ იმდენად, რომ მათთვის ღირდეს თავის შეწუხება, მით უმეტეს თავის განწირვა. **პატობრივობი და უცხანიზმი არი, უცხანის ყოვლისა, სიყვარული და მოკრძალება დიად ერთსა და კაცობრიულ განიოსობის წინაშე, იმ ისტორიულ სულის წინაშე, რომელიც მგიერულ კულტურულ გეოპოლიტიკურ უბრალობების პირველი თავისი უკავავების ძიგლს იდგამს. თავის თავის ცნობა ამ ისტორიული ძალის ნაწილად, თავისი პიროვნების, ე.ი. სუბიექტური სულის მის ქვემდებარე ნაწილად აღიარება და შემოქმედება იმ მხრივ რა მხრივაც ის უნდა ვითარდებოდეს, — აი, ნამდვილი შენაარსი ნათლად გაგებული ნაციონალური და ჰუმანიტარული გრძნობისა, რომელიც ხშირად ადამიანთა და მათ სისუტეთა სიძულვილით და მხილებით საზრდოობს.**

**დასასრული უბრალო გოგორში**



# პირველი ქართველი კინომკარატორი

პირველი ქართველი კინომკარატორის —

ვასილ აბაშუავილის მიერ გადაღებული ფილმებიდან შემოგვრჩა მხოლოდ მისი ერთადერთი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩებუმში 1912 წელს“. ამ მოგზაურობაში ვასილ ამაშუავილი თან ახლდა აკაკი წერეთელს და ყოველ მნიშვნელოვან მომენტს იღებდა. სულ გადაიღო 1500 მეტრი ფილმი, დამონტაჟების შემდეგ დარჩა 1200, დღეისათვის კი შემორჩენილია მხოლოდ 544 მეტრი. ფილმი მოცულობითა და მხატვრული თვისებებით სცდება დოკუმენტური სიუჟეტების ჩარჩოებს. ამ ფილმის შექმნით საფუძველი ჩაეყარა ქართულ დოკუმენტურ კინემატოგრაფის, ხოლო მსოფლიო დოკუმენტურ კინემატოგრაფში მან თავისი მხატვრული ფორმით ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა. ამ ფილმის შექმნისთვის ვასილ ამაშუავილი აირჩიეს კინემატოგრაფის კავშირის საპატიო წევრად.

იგი 1886 წლის 26 მარტს დაიბადა ქალაქ ქუთაისში.

დედა ადრე გარდაეცვალა და ბებია ზრდიდა. მამა თერძად მუშაობდა. 6 წლისა იყო, როდესაც მამამ მეორე ცოლი შეირთო, რომელიც მზრუნველობას არ აკლებდა ვასილს. 7 წლისა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში შეიყვანეს, ოთხი წლის შემდეგ კი ვასილ ბალანჩივაძის სამხატვრო სკოლაში ჩაირიცხა, სადაც გაიარა სამწლიანი სწავლების კურსი.

1900 წელს 14 წლისა ვასილ ბალანჩივაძის მეგობრის, მხატვარ მიხაილ ურიკოვის დახმარებით მოსკოვში გაემგზავრა, სადაც ცოდნა გაიღო მავა ი. ბოლშაკოვის სამხატვრო სასწავლებელში. მოსკოვში დაუახლოვდა შალვა დადიანის, რომელმაც შესთავაზა მუშაობა კინომექანიკის დარგში. ვასილ ამაშუავილი შემოთავაზებას სიხარულით დათანხმდა, რადგან იგი ამ პროფესიით ძალზე დაინტერესებული იყო.

თავის მოგონებებში ვასილ ამაშუავილი იხსენებს, რატომღაც ხელი გადამიბრუნდა და მექანიკოსობას მივყავი ხელიო. 1902 წელს დაიწყო მუშაობა მოსკოვის ტრიოგორნის ქარხანაში. 1903-1904 წლებში კინოთეატრ „ელექტრიკ-

ში“ დაეუფლა საპროექციო აპარატურაზე მუშაობას.

1904 წელს უსახსრობის გამოიძელებული გახდა, დაბრუნებულიყო ქუთაისში. აქ სწავლის გაგრძელების საშუალება არ მიეცა და 1906 წელს გაემგზავრა ბაქოში, სადაც მისი ძმა, მამუკა ამაშუავილი, ქართულ დრამატულ თეატრში მუშაობდა. ძმის დახმარებით ვასილმა სწავლა განაგრძო ბაქოს ელექტროტექნიკუმში და პარალელურად დაიწყო მუშაობა კინომექანიკოსად.

ამავე წელს ქართული თეატრის ცნობილმა მოღვაწეებმა — ივან გეპნერმა (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების) „ალექსანდროპოლის განყოფილების გამგეობის წევრი) და კოტე მესხმა გახსნეს კინოთეატრი და კინომექანიკოსად ვასილ ამაშუავილი მიიწვიეს. ამ დროისთვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შენობაში კინოს ხელმძღვანელობდა კოტე მესხი.

ივან გეპნერმა მიიღო კომერციული გადამიბრუნდა და მექანიკოსობას მივყავი ხელიო. 1902 წელს დაიწყო მუშაობა მოსკოვის ტრიოგორნის ქარხანაში. 1903-1904 წლებში კინოთეატრ „ელექტრიკ-



ნილ აპარატზე პრაქტიკა გაევლო. ამაშუავილი დარჩა მოსკოვში და რუსი მექანიკოსის — დიმიტრი ვოლკოვის ხელმძღვანელობით ფრანგული ფირმა „გომონის“ განყოფილებაში დაეუფლა კინოგადამღების ტექნიკას. იგი იგონებს: „კინოგადამღები აპარატი და სურათის გადაღება რუსმა მექანიკოსმა დმიტრი ვოლკოვმა შემასწავლა, ხოლო კინოპარატით ხალხისადმი სიყვარულის გრძნობა ქართული თეატრალური კულტურის გამოჩენილმა მოღვაწეებმა — კოტე და ეფემია მესხმა გამილვიძეს“. ექვსი თვის პრაქტიკის შემდეგ ვასილ ამაშუავილი ბაქოში დაბრუნდა. მან დამოუკიდებლად დაიწყო ცხოვრებისეული მცირემეტრაჟიანი სიუჟეტების გადაღება.

1908 წელს გადაღებულმა მისმა პირველმა სურათმა, რომელშიც სანაპიროზე მოსეირნე ხალხი იყო ასახული, უამრავი მაყურებელი მიიზიდა. ხშირად იღებდა სხვა-დასხვა სანახაობას. 1908-1909 წლებში გადაიღო დოკუმენტური სიუჟეტები: „ხალხის სეირნობა ზღვის სანაპიროზე“, „შეჯიბრება



ცურვაში“, „ბაქოს ბაზრის ტიპები“, „ქვანახშირის ზიდვა აქლემებით“, „გემის გადმოტვირთვა“, „ნავთის გადასხმა ტუმბოებით“, „ქართველი სცენის მოღვაწენი: ეფემია მესხი, კოტე მესხი და სხვანი ქალაქის პარკში“, „ნ. რამიშვილის მუშაობა სტამბაში“. 1910 წელს გადაიღო 55-მეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „გუნიბის პოლკის აღლუმი“ კაპიტან სიმონ ესაძის (ქართველი სამხედრო ისტორიკოსი, პოლკოვნიკი, კავკასიის ომების მკვლევარი, კავკასიის მცოდნე, გამოქვეყნებული პერიოდი მრავალი გამოკვლევა რუსეთისა და კავკასიის ისტორიაზე) მონაწილეობით.

1911 წელს პავლე მეფისაშვილმა და ტიხონ ასათიანმა მიინვიეს ქუთაისში ახალგახსნილ კინოთეატრ „რადიუმში“ კინომექანიკოსად. ვასილ ამაშუკელის ნინადადებით შეიძინეს კინოფირებზე გადამდები აპარატი, რომელიც ფართომეტრაჟიანი ფილმების გადაღების შესაძლებლობას იძლეოდა. ამ დროისათვის ვასილ ამაშუკელმა გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „ფერმა სოფელ ქობაში“, „ხონის აბრეშუმის სალებავი ფარიკა“, „გვირილობა“, „ქუთაისის ხედები“, „სოფელი ბარაკონი და ძველი ციხესიმაგრე“, „ვლადიმერ მესხიშვილის იუბილე“, „ნიკოლოზობა“, „სამხედრო აღლუმი ქუთაისში“, „ქართული კულტურის მოღვაწენი“, „სამსონ დათეშიძე, ლადო ბზვანელი და სხვანი სასტუმრო „რიონთან“, „სეირნობა ქალაქის პარკში“, „ქუთაისის კლასიკური გიმნაზია“, „მდინარე რიონის სანაპირო“ და სხვ.

1912 წლის ივლისში პრესაში გამოქვეყნდა სახალხო მგოსნის — აკაკი წერეთლის საიუბილეო შეხვედრების შესახებ რაჭა-ლეჩებუმში. ვასილმა საიუბილეო კომიტეტის წინაშე დასვა საკითხი, რომ ეს ისტორიული მომენტი უნდა აღხეჭდილიყო ფირზე, გადაღებაზე პასუხისმგებლობა ვასილ ამაშუკელმა თავადვე აიღო. მის მოგონებებში ვკითხულობთ: „აკაკის მოგზაურობა და მასში ხალხის მონაწილეობის გადაღება ჩემს

მოვალეობად მიმაჩნდა, ამიტომ, მომეცა თუ არა შესადარი შემთხვევა, მე მთელი ჩემი შემოქმედებით შესაძლებლობითა და გამოცდილებით შევუდექი დიდხნიანი ნატვრის განხორციელებას. ბედმა მარგუნა, ეს ნაკისრი ვალდებულება შემესრულებინა და მომავალ კაცობრიობას შემოვუნახე მგოსნის საიუბილეო მოგზაურობის მთელი პროცესი და, რაც მთავარია, ცოცხალი, მოძრავი აკაკი“.

1912 წელს 25 წლის ქაბუქმა გადაიღო პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩებუმში“ (სულ გადაიღეს 1500 მეტრი, მონტაჟის შემდეგ დარჩა 1200 მეტრი, დღისათვის კი 500 მეტრია). ეს იყო სოციალური მნიშვნელობის ფილმი, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრების მიხედვით შეიქმნა.

ფილმს დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმდროინდელი პრესის ფურცლებზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ. ფრანგი კინოკრიტიკოსი შორუსადული წერს: „შესაძლოა, მე ბევრი არ ვიცოდე, მაგრამ რამდენადაც ვიცი, არც ერთ ქვეყანაში, არც ერთი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი 1200 მეტრი არც ერთი ცნობილი პიროვნებისთვის არ მიუძღვიათ“.

ფილმი მოცულობითა და მხატვრული თვისებებით სცდება დოკუმენტური სიუჟეტების ჩარჩოებს. ამ ფილმის შექმნით საფუძველი ჩაეყარა ქართულ დოკუმენტურ კინემატოგრაფს, ხოლო მსოფლიო დოკუმენტურ კინემატოგრაფში მან თავისი მხატვრული ფორმით ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა.

ამ ფილმის შექმნისთვის ვასილ ამაშუკელი აირჩიეს კინემატოგრაფისტთა კავშირის საპატიო წევრად.

ტრიუმფალური ფილმის შემდეგ იგი იღებს ფილმს სახელწილებით „აკაკის მოგზაურობა მუხიანში, კოპიტნარსა და სხვა სოფლებში“.

1914 წელს გადაიღო ფილმები: „წვევამდელთა გაცილება“, „მოსეირნენი ასწლოვან ჭადართან“ (წყარო: ამაშუკელის მოგონებები).

1915 წელს კინორეჟისორი ქორნინდება ანა კონსტანტინეს ასულ მარჯანიშვილზე. წყვილს შვილი არ შესძინა. იშვილეს და აღზარდეს ორი ობოლი ახლო ნათესავი ნინა და ლამარა.

1922 წლამდე მსახურობდა კინოთეატრ „რადიუმში“, 1926 წლამდე კი სამთამადნო კავშირის მოძრავ კინოში.

1927 წელს დაიწყო აბრეშუმის ქარხნის დიდი მშენებლობა ქუთაისში, სადაც ვასილ ამაშუკელი მინვიეს ელექტრომონტაჟზე სამუშაოდ (1927—1938 წწ.).

1939-დან 1942 წლამდე საკონსერვო ქარხნის ელექტრომექანიკოსად. 1942-დან 1947 წლამდე თავდაცვის შტაბში — ელექტრომეურნების უფროსი.

1947 წელს თბილისის საქალაქო საბჭოს დარგის პროფესიული კავშირის რეპუბლიკური კომიტეტის მიერ თავდადებული შრომისთვის, როგორც პირველი ქართველი ოპერატორი, დაჯილდოვდა საპატიო სიგელითა და მედლით.

1955 წელს მას საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭეს.

1971 წელს ოპერატორის 85 წლის იუბილის აღსანიშნავად, საქართველოს სამეცნიერო და პოპულარული ფილმის სტუდიამ გადაიღო ერთნლიანი დოკუმენტური ფილმი „ვასილ ამაშუკელი“ (სცენარის ავტორი ე. ჭავჭავაძე, რეჟისორი ალექსანდრე მამუკელავილი).

1974 წელს პირველი რესპუბლიკური ფესტივალის დროს, რომელიც მის პატივსაცემად გაიმართა ქუთაისში, ღვანელმოსილ რეჟისორს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. საზემოდ აღინიშნა მისი დაბადების 90 წლის იუბილე.

ვასილ ამაშუკელი გარდაიცვალა 1977 წლის 2 დეკემბერს. დაკრძალულია ქუთაისში.



# ქართული კინოს ლეგენდა

1953 წლის 14 ივნისს, ქართული კინოს მშვენება ნატო ვაჩინაძე, საკუთარ დაბადების დღეზე სხვისთვის დაჯავშნილ თვითმფრრინავის ბილეთს იყიდის... და შემდეგ 13 ადამიანის სიცოცხლე ცაში დაიფერფლება! ...მსახიობის დამწვარ სხეულს მისი და, კირა ანდრონიკაშვილი, საგვარეულო პატარა ბრილიანტის ბეჭდით ამოიცნობს. ნატოს ფერფლსა და გადარჩენილ ხელს დიდუბის მინას მიაბარებენ.

1920-30-იან წლებში თავისი გარეგნობისა და არტისტულობის წყალობით ნატო ვაჩინაძე დამსახურებულად იქცა ქართული კინოს ლეგენდად.

ნინო („არსენა ყაჩალი“, 1914 წ.), ნუნუ („მამის მკვლელი“, 1924 წ.), ესმა („სამი სიცოცხლე“, რეჟისორი ი. პერესტიანი, 1925 წ.), დესპინე („ჩვენი ქვეყნის რაინდი“, რეჟისორი ი. პერესტიანი 1925 წ.), ფატი („ვინ არის დამნაშავე“, რეჟ. ა. წუნუნავა, 1925 წ.), გიული („გიული“, რეჟ. ნ. შენგელაია), ლ. პუში („ამოკი“, რეჟისორი კ. მარჯანიშვილი, 1927 წ.), ევროპელი ქალი, ჯემა („კრაზანა“, 1928 წ ფილმის რეჟისორი კ. მარჯანიშვილი), ციცია (ს. დოლიძის ფილმი „უკანას-

კნელი ჯვაროსნები“, 1933 წ.), ხმოვან კინოში შეასრულა: თამარი („უკანასკნელი მასკარადი“, რეჟ. მ. ჭიაურელი, 1933 წ.), ნენო („არსენა“ 1937 წ. რეჟ. მ. ჭიაურელი), მეჩაიე ნანი („ნარინჯის ველი“, რეჟ. ნ. შენგელია, 1937 წ.) რისთვისაც 1941 წ. მიიღო სახელმწიფო პრემია, მართა („ქაჯანა“, რეჟ ქ. პიპინაშვილი, 1941 წ.) ნათელა („სამშობლო“ რეჟ. ნ. შენგელაია, 1939 წ.), გვირისტინე („ხიდონელი ქალიშვილი“, რეჟ. დ. ანთაძე, 1940 წ.), მანანა („ის კვლავ დაბრუნდება“, რეჟ. ნ. შენგელაია, დ. ანთაძე 1943 წ.), ძიძის მანოს როლი (რეჟ. კ. პიპინაშვილის „აკაკის აკვანი“, 1947 წ.), ვაჩინაძის უკანასკნელი როლია ელისაბედი




(„მწვერვალთა დაპყრობანი“, რეჟ. დ. რონდელი, 1952 წ.) — ამ სახეების შექმნით ნატო ვაჩინაძემ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართული კინოს ისტორიაში. **ფრაგმენტი პირადი ცხოვრებიდან:** ნატო ვაჩინაძე მეშვიდე კლასის დამთავრების შემდეგ მერაბ ვაჩინაძეს გაჰყვა ცოლად. მათ შეეძინათ ვაჟი — თენგიზი. ნატოდა მერაბი მალე დასცილდნენ ერთმანეთს. 1939 წელს მერაბ ვაჩინაძე გადასახლებაში დაიღუპა.

ნატომ მეორედ იქორწინა კინორეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიაზე, რომელთანაც ეყოლა ორი ვაჟი — ელდარი და გიორგი. ნიკოლოზ შენგელაიას ნატო ვაჩინაძემ „ჩემი ცხოვრების რეჟისორი უწოდა“.



ვაჩინაძიანთ ტურფა ქალო,  
ლამაზების დედოფალო,  
შენი ღვანლი, შენი ქება  
პოემაშიც ვერ ითქმება,  
ლექსში როგორ ჩამოვთვალო.

იოსებ ნონეშვილი



რეზისორ ზაქარია  
გარიშვილთან ერთად

### ელდარ შენგელაძი:

პირველ ყოვლისა, ის იყო ჩვენი დედა, ამიტომ მე ვიხსენებ არა მის შემოქმედებასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს, არამედ ჩვენს სახლს, ჩვენს ურთიერთობას.

დედა, თავისი ბუნებით, ძალიან კეთილი და რბილი ადამიანი იყო და ჩვენც მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. პირადად მე არ ც ისეთი დამჯერე და მშვიდი ვიყავი, მაგრამ არ მასხოვს დედაჩემი გაბრაზებული. შეიძლება გაბრაზებულიყო კიდეც, მაგრამ ამ ყველაფერს სხვანაირად გამოხატავდა. დიდი მეგობარი იყო ჩვენი და ძალიან გვიყვარდა. მადლიერები ვართ კიდევ იმიტომ, რომ უმამოდ ვიყავით გაზრდილები და ეს არ გვიგრძნია. თუ რამეზე გვქონდა საუბარი, დედა აუცილებლად გვეტყოდა, რომ მამა ასე იფიქრებდა, ასე იტყოდა, ასე შეაფასებდა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მე მამის გარეშე არ გავზრდილვარ, ისეთ ატმოსფეროს ქმნიდა დედა. ამიტომ ძალინ დიდი დარტყმა იყო ჩვენთვის, სამივე ძმისთვის მისი გარდაცვალება.

მთელი მისი შემოქმედება, ეს არის ერთი უწყვეტი ლენტი. თუ შეიძლება ასე ითქვას. ამასთან, ის დრო მელოდრამის პერიოდი იყო. დედაჩემი ძალიან ხალისიანი და ცნობისმოყვარე გახლდათ. ბევრი მეგობარი ჰყავდა არამარტო საქართველოში, არამედ მთელს

საბჭოთა კავშირში. ხშირად ამბობდა: სულ მკლავენ, მახრიშობენ და ერთხელ კომედიაც მათამაშეთო. ამიტომ ძნელია, რომელიმე როლი გამოარჩიო. მუნჯი კინოს პერიოდი სხვა იყო და ხმოვანი კინოს დრო — სხვა. ბევრი ცნობილი მსახიობი ჩამოშორდა კინოს იმიტომ, რომ ხმამ შეუშალა ხელი. დედამ ძალიან ბევრი იშრომა. მე ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვუყურებ ფილმს „არსენა“. ძალიან მომწონს არსენას და მისი საუბარი....

ომამდე შედარებით კარგი ცხოვრება გაელვებასავით მასხოვს. ომის დროს კი ჩვენც ისევე გვიჭირდა, როგორც ყველას, მამა უკვე აღარ იყო, დედა სამ

იონებში, საიდანაც სანახაობის საფასურად აღებული პროდუქტით ბრუნდებოდა, რაც ბავშვებს ძალიან გვახარებდა. შვილების მიმართ ძალიან თბილი იყო. ჩემი ძმები, თენგიზი და გიორგი ჩემზე დინჯები იყვნენ, კარგად სწავლობდნენ. მე მათთან შედარებით ცელქი ვიყავი, მაგრამ არ მასხოვს, დედას ხმამალლა მოეცა შენიშვნა, მშვიდად მიმითითებდა და სულ ეს იყო მისი სიმკაცრე, შვილებისთვის ყველაფრის პატიება შეეძლო. ხშირად ჩიოდა, ყველა ფილმში მკლავენოდა ძალიან უნდოდა კომედიაში თამაში, რადგან ბუნებით ძალიან ლალი და მხიარული ადამიანი იყო, თუმცა ტრაგიული ბედით“.

**რაც გომბორის მთას უთქმელი დარჩა  
და რაც ალაზნის ველს აქვს სათქმელი,  
ნინანდლის ვარდი, სამგორის ფარჩა  
და ალავერდის ოქროს სარკმელი.**

### გიორგი ლეონიძე



შვილს ტალონებით აღებული შავი პურით და მინიმალური შეშით გვკვებავდა და გვათბობდა. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც სრულიად უცხო ადამიანები ხელს უმართავდნენ. ომის დროს კინონარმოება შეწყდა, დედა სხვა მსახიობებთან ერთად კონცერტებს მართავდა, ხშირად დადიოდა რა-

### გიორგი შენგელაძი:

„ნატო ვაჩინაძე ჩემთვის და ელდარისთვის, უპირველესად, არის დედა. რა მსახიობი იყო, რა როლებს თამაშობდა, ეს ჩვენი შესაფასებელი არ არის. თუმცა, რომ დავეუფლეთ ამ პროფესიას და გავხდით კინოს მოღვაწეები, მერე შევაფასეთ უფრო მისი მსახიობობა. როგორც ელდარმა თქვა, იყო არაჩეულებრივად დემოკრატიული ქალი. მასენდება, როგორ გვატარებდა კახეთში უბრალო ხალხთან, მათთან ერთად პურს აცხობდა, ფეხშიშველა დადიოდა, მაგრამ ის, როგორც მსახიობი, შევიგრძენი 1949 წელს, მის იუბილეზე, როცა ქართველმა ხალხმა მოღვაწეობის 25 წელინადი გადაუხადა. მაშინ მე 12 წლის ვიყავი.

ჩემთვის გამორჩეული უფრო მუნჯური კინოს როლებია. საერთოდ რომ გითხრათ, ჩემთვის, როგორც პროფესიონალისთვის, რომელიმე ძალიან გამორჩეული როლი არ არის. **ის იყო ერთი**



კაჭი ფილმიდან „გიული“

ვარსეპლავი, რომელიც იცვლიდა სახეს და სხვადასხვა როლებში ტრანსფორმირდებოდა. ყველა როლი კარგია. დედა იყო ერთნაირი ყველა როლში, კარგი გაგებით. იმიტომ, რომ თავის ბუნებას ასახიერებდა".

20-30-იანი წლების მიჯნაზე უხმო კინო თანდათან ადგილს უთ-

«ეს ეს ვეუკავშირი ეკრაზე, როგორც ღვართქალი, და ესე სახლში ჩვეულებრივ ადამიანების ის იყო არავაულებრივი მემორარი. ეს ვარდა ის კირვებისაა, რომელიც არასდრო მოკვდება. ის ყოველთვის იქნება ეართველი ერისთვის სათაყვანებელი და უსაყვარლესი კირვებისაა, რომელიც ერთ-ერთმა კირველმა გაიტან ეართული ხელოვნება საქართველოს ფარგლებს გარეთ»,  
— გარიყა ლორთქიშვილი.

მობდა ტექნიკის სიახლეს – ხმოვან კინოს. ამ ცვლილებამ, ამტკიცელებულმა ეკრანმა მუნჯი კინოს ბევრი ვარსკვლავი სამუშაოს ჩამოაშორა. კინემატოგრაფი ალარ საჭიროებდა ტიპაჟს და ასპარეზზე თეატრის აქტიორები გამოვიდნენ. როგორც ნატო ვაჩნაძე იხსენებს, თეატრალური მსახიობი მათ ხმით და პროფესიონალიზმით ეჯიბრებოდა. კინომსახიობი კოლონსალურ შრომას საჭიროებდა, უხმო და

ხმოვანი კინოს ბარიერის გადალახვა ყველამ ვერ შეძლო.

ნატო ვაჩნაძემ დროებით ტაიმაუტი აიღო და მოსკოვს გაემგზავრა იმ პირობით, რომ იგი იქ მხოლოდ კინემატოგრაფით დაკავედებოდა.

1932 წელს რუსეთის დედაქალაქში დიდი რეჟისორის — გრიგოლ კოზინცევის რეკომენდაციით რუსული დოკუმენტური კინოს უდიდეს ოსტატ ქალს — ესთერ შუბს დაუახლოვდა და მის გადამდებ ჯგუფში ჩაირიცხა ასისტენტ-პრაქტიკანტად.

რეჟისორი იღებდა ფილმს „კომკავშირი – ელექტროფიკაციის შეფი“. მასზე მუშაობა ერთ წელინადს გაგრძელდა.

ფილმზე მუშაობის დასრულების შემდეგ ნატო ვაჩნაძე სამშობლოს და ქართულ კინოს დაუბრუნდა.



«ამ ადამიანის საზოგადოებრივი სილამაზა მოგვევლინა, როგორც საქართველოს ნახევრი, დღევანდებოს და მისი გაცემის დანიშნულები. ამიტომ იყო, რომ მისი მაგვაცემა ასეთ ჰარმონიაშია საქართველოს გაცემასთან, თავისი სახის სილამაზის მაგვარებით ეს თითქოს ნაგალა საზღვარი სინამდვილესა და ხელოვნების სამყაროს მოჩინის, — სიმონ ჩიქოვანი.



# ლაზე მესეგვაძე – 160

ცნობილი თეატრალური მოღვაწის, დიდი ქართველი მსახიობისა და რეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის, ვასო აბაშიძესთან ერთად საქართველოს თეატრალური საზოგადოების დამფუძნებლის — ლადო ალექსი-მესხიშვილის (1857—1920)

160 წლის იუბილეს აღსანიშნავად 16 თებერვალს თეატრისა და კინოს მოღვაწეები, ქართველი საზოგადოება დიდუბის პანთეონში ლადო მესხიშვილის საფლავთან შეიკრიბებიან.

„სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის“  
თავმჯდომარის, კინომცოდნე, პროფესორ გოგი დოლიძის აზრით,  
დროა, ლადო მესხიშვილის ბიუსტი, რომელიც თავის დროზე  
მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ შექმნა, მუზეუმიდან გამოიტანონ.  
იმედია, მის ამ ნინადადებას დედაქალაქის ხელმძღვანელობა  
მხარს დაუჭერს და დიდი რეჟისორის ბიუსტი დედაქალაქის  
რომელიმე ქუჩასა თუ სკვერში გადმოინაცვლებს.

1857 წლის ალექსი-მესხიშვილების ოჯახში მესამე ვაჟი დაიბადა, რომელსაც მშობლებმა ლადო და-არქვეს. საოცარი ნიჭის ბავშვი იყო თურმე პატარა ლადო, ანცი და მოუსვენარი, რომელიც აგროვებდა თავის ტოლებს და ძევლი სახლების ქართულ ბანებზე პატარ-პატარა სცენებსა და წარმოდგენებს მართავდა. 4 წლისა სრულიად შემთხვევით თბილისში იმხანად გახმაურებულ კანონიჩის კერძო პანსიონში მიუბარებიათ. აქ მან 4 წელი დაჲყო, შემდეგ მშობლებმა გერმანულ პანსიონში გადაიყვანეს. ასე რომ, 8 წლის ლადოს „ერთმანეთში აერია“ ქართულ, რუსული, ფრანგული და გერმანული.

XIX საუკუნის 60-იან წლებში მესხიშვილების ოჯახს დიდი უპედურება დაატყდა თავს — 1863 წელს ლადოს მამა, სარდიონი, გარდაიცვალა. სარდიონ ალექსი-მესხიშვილის უძრავ-მოძრავი ქონება მთლიანად 110 ათას მანეთად შეაფასა საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ. 1868 წელს კი დედა გარდაიცვალა და ლადოსა და მისი ძმების ცხოვრებაც აინენა. ამაში ბრალი მათ ბიძას — მისეილს მიუძღვდა. მან აბლების მეურვეობა გაიფორმა. პირველ ხანებში ხალხის თვალის ასახვევად თითქოს მზრუნველობას იჩენდა ძმის შვილებისადმი, მაგრამ შეიკრიბით მასთან მისვლაც აუკრძალავს.

ეუფლა ძმის ქონებას, ლადოს უფროსი ძმა — აპოლონი სახლიდან გააგდო, მეორე — ლეონიდე ჯარში გაგზავნა, სულ უმცროსი — სარდიონი პანსიონში მიაბარა, ლადოს კი კიევის კადეტთა კორპუსში უკრა თავი. კიევის კადეტთა კორპუსში რუსეთის ყველა კუთხიდან გზავნიდნენ გამოუსწორებელ, დაუმორჩილებელ და მორიალურად საეჭვო პირებს, ამიტომ ლადოს იქ გაგზავნამ მეტად შეაწუხა ყველა: ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები, მით უფრო, რომ ლადო მაშინ 12 წლისა იყო; ემუდარებოდნენ მიხეილს, გადაეფიქრებინა, მაგრამ ამაოდ.

ლადოს უშუალო, თავისუფალი, ლალი ბუნება ვერ შეეგუა მკაცრ სამხედრო დისციპლინას, ამიტომ ორი წლის შემდეგ თავი დაანება კიევის სასწავლებელს და სამშობლოში დაბრუნდა. ოცნებობდა, მამის კვალს გაჲყოლოდა — დაემთავრებინა რუსეთის რომელიმე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და ექიმი გამზდარიყო. ლადოს ბიძისთვის გაუნდვია თავისი სურვილი და დახმარება უთხოვია, მაგრამ მიხეილს სწავლას მოწყურებული ძმისნული სახლიდან გაუგდია და შემდგომში მასთან მისვლაც აუკრძალავს.

ნათესავ-ახლობელთაგან განუკითხავად მიტოვებულ ლადოს იმ ძმიმე და სულიერ და ეკონომიკურ პერიოდში მესხელად მოევლინა



უცხოტომის კაცი, პროფესორი პ. დობროდევი, რომელმაც დიდი სიკეთის წყალობით ცხოვრებაში გამოიყვანა სანუთროზე გულგატეხილი, გზადაკარგული ჭაბუკი.

პ. დობროდევი პოლიტიკური მრნამსით ლიბერალი იყო. საჯარო გამოსვლებში მეფის მთავრობისთვის მიუღებელი, მონინავე, პროგრესული იდეების ქადაგებისთვის პოლიციას დაუბატიმრებია და, როგორც არასაიმედო პიროვნება, მოსკოვიდან თბილისში გადმოუსახლებია. აქ უდანაშაულო პროფესორი თავის ოჯახთან ერთად წლების მანძილზე ცხოვრობდა. ბედდა ლადო ამ ღვთისნიერ კაცს შემთხვევით შეაცვედრა. პროფესორი მოიხიბლა ჭაბუკის გარებობით, გონიერებით, სიმკვირცებით. რაკი გაიგო, ობოლი იყო, იშვილა, თავისთან გადაიყვანა ოჯახში და მშობლიურ მზრუნველობას არ აკლებდა. მან ყოველგვარი პირობა შეუქმნა ლადოს იმისათვის, რომ საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობის მისაღები გამოცდები ჩაებარებინა. ჭაბუკი მეცადინებას მონდომებით შეუდგა, დღედაღამ წიგნებს ჩაჰეკირკიტებდა და მიზანსაც მიაღწია, გამოცდები წარმატებით ჩააბარა.

ამასობაში დობროდევების ოჯახს მოსკოვში დაბრუნების უფლება დართეს. პროფესორმა ლადოც თან წაიყვანა. მისი დახმარებით ჭაბუკი მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩარიცხეს.

მოსკოვის უნივერსიტეტში დაუღალავმა მეცადინეობამ, რუსეთის ჰავამ ლადოს ისედაც სუსტი ჯანმრთელობა შეარყია და მისი სამშობლოში დაბრუნება თანდათან სულ უფრო გარდაუვალი გახსადა, მაგრამ საქმეს ართულებდა ის, რომ მას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საარსებო საშუალება არ გააჩნდა. **ამჯერადაც მას პროფესორი პ. დობროდევი შეეხიდა. მან ლადოს მასნავლებლის მოწმობა ააღებინა და საქართველოში გამოისტუმრა.**

„საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწევა“, — ნათქვამია. თბილისში ჩამოსვლისთანავე ლადო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. საექიმო კომისიამ მის ჯანმრთელობაში ეჭვი შეიტანა და გამოსაკვლევად ჰოსპიტალში გაგზავნეს. იქ კი, ყველასაგან გარიყული, კარგა ხანს ინვა უპატრონოდ. ბევრი წვალების შემდეგ საგანგებო სამედიცინო კომისიამ ლადო სამხედრო სავალდებულო სამსახურისთვის უვარესად ცნო და აღრიცხვიდან მოხსნა. ამის შემდეგ იგი თბილისში, კლიმიაშვილის კერძო პანსიონში ინწყებს მუშაობას, მალე იქიდან თელავის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებელში გადადის ბუნებისმეტყველების, ფიზიოლოგიისა და ანატომიის მასწავლებლად, მაგრამ დიდხანს ვერც იქ ჩერდება. 1890 წელს თბილისში ჩამოდის და ძველი სახაზინო თეატრის რუსულ



**ლადო მესიშვილი  
ჰამლეტის როლი**

დასში ჩაირიცხება, მას შემდეგ მისი ცხოვრება, როგორც მსახიობისა და როგორც რეჟისორის, მჭიდროდ დაუკავშირდა თეატრს.

დღეს ლადო მესხიშვილის სახელს ატარებს ქუთაისის დრამატული თეატრი და ჩვენც ამ თეატრში მისი მოღვაწეობის მხოლოდ გარკვეულ პერიოდს შევეხებით.

## ქუთაისის თეატრი

1898 წლიდან ქუთაისის დრამატულ თეატრს სათავეში ჩაუდგა ლადო მესხიშვილი. 1898 წელსვე მისი ხელმძღვანელობით დაიდგა უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, გენგოფერისა და ბროზინერის „ბოშა ქალი ზანდა“, უ. შექსპირის „მეფე ლირი“ და სხვ. სპექტაკლების კარგი რეჟისორული

გააზრებით დადგმისა და მსახიობთა მიერ როლების წარმატებით შესრულების მიუხედავად, იმ სეზონში ქუთაისის თეატრს მაყურებელი არ ჰყავდა. „**ცნობის ფურცელში**“ ვკითხულობთ: „არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ჩვენის საზოგადოების გულ-ციობას: წარმოდგენაზე ხალხი წაკლებად ესწრება, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენები საუცხოვოდ იმართება და მსახიობნიც საუცხოვოდ ასრულებენ თავიანთ როლს. თუ საზოგადოება ხელს არ გაუმართავს და არ ივლის წარმოდგენაზე, თეატრის საქმეს განსაცდელი მოელის, რადგან ამხანაგობა, რომელიც მართავს წელს წარმოდგენებს, მარტო თავის წვლილით ვეღარ გაუძლებს ხაჯვს დასის შენახვაზე“.

ღრმა რეჟისორული გაზრებით დადგმულმა, მაღალი მხატვრული გემოვნებით გაფორმებულმა სპექტაკლებმა და აქტიორთა პროფესიულმა ოსტატობამ ლ. მესხიშვილს სახელი და დიდება მოუტანა ქუთაისში. ლადო ყველასათვის ახლობელი და საყვარელი გახდა. მისდამი ხალხის პატივისცემას ნათლად მოწმობს ის საბენეფისო სალამო, რომელიც 1899 წლის 14 თებერვალს გაიმართა. „მობენეფისეს სცენაზე გამოსვლისას საზოგადოება აღტაცებულის ტაშის კვრით და ვაშას ძახილით მიეგება. — ვკითხულობთ „ივერიაში“. — მეოთხე მოქმედების შემდეგ სცენაზე შეიკრიბა მსახიობთა მთელი დასი და აქ ერთმა მათგანმა, ბატონმა ქუჯამა (შალვა დადიანმა — ო. კ.), ნაიკითხა ადრესი, რომელშიც ბატონი ქუჯი დასის სახელით უღრმეს პატივისცემას და მადლობას უცხადებდა ბატონ მესხიშვილს. არც საზოგადოება მოეკიდა გულგრილად საყვარელს მსახიობს: მრავალი საჩუქრა მიართვეს, აღტაცებულ ტაშის კვრას და სცენაზე გამოწვევას ხომ საზღვარი არა ჰქონდა“ („ივერია“, 1899, №37, 38).

ცოტა მოგვიანებით ქუთაისის თეატრის სცენაზე გამოვლენილი ლ. მესხიშვილის აქტიორული ნიჭით აღფრთოვანებული აზონიმი

**გაზეთი „კვალი“:**  
**«ეს მონია, მთალ აუსათში ლ. მასეიშვილისთანა  
 არტისტი არ მოიკოვება. ჩვენი ქვეყნის გვილი  
 იუსტი-სამართლებრივ ხომ აუსათში საუკათასო  
 არტისტულ კალად ითვლება, ეს არა მიითხოთ  
 ლ. მასეიშვილი მას არ ჩამოვარდება და პოპს  
 კიდევ-თქმ, არა ვთქვა — გადაეთება არ იქნება»**

რეცენზირდა „კვალში“ წერდა: „მე მგონია, მთელ რუსეთში ლადო მესხიშვილისთანა არტისტი არ მოიპოვება. ჩვენი ქვეყნის შვილი იუჟინი-სუმბათაშვილი ხომ რუსეთში საუკეთესო არტისტულ ძალად ითვლება, მე რომ მეითხოო, მესხიშვილი მას არ ჩამოუვარდება და ჯობს კიდეც-თქო, რომ ვთქვა — გადამეტება არ იქნება. ეს უფრო რაღაც გულახდილად თამაშობს, უფრო პოეტურად და შთაბეჭდილებასაც უფრო პირდაპირ ახდენს მაყურებელზე. აი ამაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის სცენაზე მარტო არტისტია და არა არტისტი და მესხიშვილი ორივე ერთად. დაუბრუნეთ მას მისი ხმა, და მაშინ ის, როგორც გინდათ, ათამაშეთ — საუკეთესო არტისტებს დაჩრდილავს“ („კვალი“, 1900, №48).

1900 წლის 24 სექტემბერს ლ. მესხიშვილმა ქუთაისის თეატრში დადგა ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“, რომელიც მაყურებელმა გულთბილად მიიღო. გაზეთი „კვალი“ წერდა: „მადლობის ღირსია ლ. მესხიშვილი „შემოსავლიანი ადგილის“ დადგმისათვის. პიესა მეტად კარგად იყო წარმოდგენილი... ქუთაისის ქართულმა სცენამ პირველად გააცოცხლა რუსეთის გამოჩენილი დრამატიული მწერალი ოსტროვსკი, რომელიც რუსეთის სცენის სიმდიდრესა და სიამაყეს შეადგენს. არა მგო-



ნია, სადმე ისეთი დასი მოიპოვებოდეს რუსეთის მივარდნილ დაბა ქალაქებში, რომ ამ საყვარელი ავტორის პიესები არ დაედგათ. საიმპერატორო თეატრის დირექცია ხომ სულ მისი პიესებით იყოლიებს თავს. არც გასაკვირველია. ოსტროვსკის სავსებით ჰქონდა შესწავლილი თავისი ხალხის ზნე-ჩვეულება, მისი საჭიროება და გულის პასუხი და ყოველთვის დარაჯად უდგა საზოგადოებაში ახლის მოძრაობასა და მისწრაფებას ქვეყნის საკეთილდღეოდ“ („ივერია“, 1900, №204).

ქუთაისის თეატრი ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით სპექტაკლებს მართავდა საქართველოს სხვა ქალაქებშიც. 1901—1902 წლის თეატრალურ სეზონში

მან გასტროლები მოაწყო ბათუმში, სოხუმში, ზესტაფონში, ჭიათურაში, სამტრედიაში, ოზურგეთში, სადაც მაყურებელს უჩვენა თავისი საუკეთესო დადგმები: „ოტელო“, „ურიელ აკოსტა“, „ორი გმირი“, „ბედს ვერ წაუხვალ“, „სიცოცხლე ერთი საათით“, „ციხის საიდუმლო“ და სხვ. ორი სპექტაკლი — „უბედური ნაბიჯი“ და „ბედს ვერ წაუხვალ“ თეატრმა წარმატებით წარმოადგინა იმავე სეზონში განჯაში გასტროლებზე ყოფნისას.

განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა წილად ქუთაისელთა გასვლით სპექტაკლებს ჭიათურაში. „უკანასკნელი წარმოდგენის დროს მუშებით აივარ თეატრი. აღტაცებაში მოდიხართ, როდესაც შავი ქვით გამურულ მუშებს ხედავთ, თამამად ლოჟებში ჩამწკრივებულან, რომელნიც გაფაციცებით ადევნებენ თვალს ყოველ მოქმედებას სცენაზე“ („ცნობის ფურცელი“, 1902, 29 აგვისტო).

ლ. მესხიშვილს ქუთაისის თეატრში მუშაობა 1897—1906 წლებში მოუხდა. ეს არის მშფოთვარე პოლიტიკური მოვლენებით აღსავასე ერთობ რთული და დაძაბული პერიოდი. ქალაქში სულ უფრო ფართო და შეუბოვარ ხასიათს ღებულობს მუშების, მოსწავლე ახალგაზრდობის, ინტელიგენციის რევოლუციური გამოსვლები.

ლ. მესხიშვილი ყოველმხრივ ცდილობდა, გაეღვივებინა ხალ-



სცენი დ. ერისთავის „სამოგლოდან“

შირევოლუციური განწყობილება. მისი უშუალო ხელის შეწყობით ხშირად ყრიდნენ აივნიდან პარტერში პროკლამაციებს მარქსისტულ წრეებში გაერთიანებული მუშა-აგიტატორები და მოსწავლე-ახალგაზრდები. 1904—1905 წლებში ქუთაისის თეატრის სცენაზე სპექტაკლები ჯარის ნაწილებისა და პოლიცია-ჟანდარმერის გაძლიერებული რაზმების მეთვალყურეობის ქვეშ იმართებოდა.

ქუთაისის თეატრში ლ. მესხიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან ერთ-ერთი პირველთაგან იყო. ა. დიუმას დრამა „ედ-მუნდ კინი“, რომლის პრემიერაც 1903 წლის 13 ნოემბერს გაიმართა. ლადო მასში კინის როლს ასრულებდა. ეს იყო უბრნყინვალესი მის მიერ სცენაზე განხორციელებულ სახეებს შორის.

„ედმუნდ კინზე“ არანაკლები წარმატება ხვდა წილად ლ. მესხიშვილის მიერ ქუთაისის თეატრის სცენაზე დადგმულ მეორე სპექტაკლს — ვ. პროტოპოპოვის პიესას „ცხოვრების გარეშე“. თუ როგორ მიიღო მაყურებელმა წარმოდგენა, ამას მონმობს გაზიერ „ცნობის ფურცელი“ დაბეჭდილი რეცენზია, რომელშიც ვკითხულობთ: „წარმოდგენა გათავდა, მაგრამ საზოგადოება მაინც არ იშლებოდა: ტაშის ცემასა და ვაშას ძახილს საზღვარი არ ჰქონდა. ლამპებიც ჩააქრეს, მაგრამ ვერც ამით მოიცილეს საზოგადოება. ბოლოს პოლიცია იძულებული გახდა ძალით გაერეკა საზოგადოება“.

ისეთი დიდი წარმატება, როგორიც წილად ხვდა იტალიელი დრამატურგის ვ. მონტის ტრაგედია „კაი გრაკეს“, შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სხვა სპექტაკლს არ ღირსებია. ეს გაპირობებული იყო, უპირველეს ყოვლისა, ორი ძირითადი გარემოებით: დრამატული წარმოების შინაარსითა და ლ. მესხიშვილის შეუდარებელი თამაშით.

ქუთაისის თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია დიდი ფრანგი მწერლის ვ. პიუგოს პიესას „რუი ბლაზ“. იგი



შუთაისის თეატრის დაი

მესხიშვილმა 1905 წლის 26 თებერვალს დადგა თავის საბენეფისოდ. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად. პიესის შინაარსი აქტიურად ეხმაურებოდა მშრომელი ხალხის ცხოვრებისეულ ინტერესებს. „რუი ბლაზი“ ქუთაისის საზოგადოებრიობის საყვარელი სპექტაკლი გახდა. როცა კი ეს პიესა იდგმებოდა, თეატრი ყოველთვის გაჭედილი იყო ხალხით.

თემის აქტუალობით გამოირჩეოდა, აგრეთვე, ლ. მესხიშვილის მიერ ქუთაისის თეატრის სცენა-

ზე დადგმული ო. მირბოს „უან და მადლენა“, რომელშიაც თვალნათლივ გამოსჭვივის უარყოფითი დამოკიდებულება დეგრადაციის გზაზე დამდგარი ბურჟუაზისადმი და სიმპათია აღმავალი მუშათა კლასისადმი. პიესის მთავარი მოქმედი პირი უან რული, რომელსაც ლ. მესხიშვილი ასახიერებდა, მაყურებლის უსაზღვრო თანავრძნობით სარგებლობდა.

რეაქციის მძვინვარების პერიოდში ლ. მესხიშვილმა სამი პიესა დადგა ქუთაისის თეატრის სცენაზე ებრაელების ცხოვრებიდან. ეს იყო: ლ. აშას „ადგილის ღმერთი“, ო. დიმოვის — „ისმინე, ისრაელ!“ და ე. ჩირიკოვის „ებრაელი“. პირველ სპექტაკლში — „ადგილის ღმერთში“ ლ. მესხიშვილი ღარიბი, უსახლკარო იენკელ შეტრივის როლს ასრულებდა. მსახიობმა მისთვის ჩვეული ოსტატობით განაცდევინა მაყურებელს ის მძიმე სულიერი დრამა, რომელიც ხელ-ფეხს უბორკავდა ისედაც მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ებრაელ ხალხს მკაცრი რელიგიური დოგმებით დამახინჯებული ყოველდღიური ცხოვრება.

ებრაელებისადმი ღრმა თანაგრძნობას იწვევდა მაყურებელში, აგრეთვე, ო. დიმოვის „ისმინე, ისრაელ!“ და ე. ჩირიკოვის „ებრაელი“.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ქუთაისის თე-

ლადო მესხიშვილი  
ურიელ აკოსტას როლში

ატრის მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. საალყო წესების შემოღების შედეგად საღამოს 6 საათიდან ქალაქის ქუჩებში ხალხის გამოსვლა აიკრძალა. ამის გამო გადაწყდა, სპექტაკლები დღის 12 საათზე დაწყებულიყო, მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს. წარმოდგენების დადგმა საერთოდ აიკრძალა და თეატრიც დაიხურა. ამის შემდეგ დასი ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით ფოთში გაემგზავრა გასვლითი სპექტაკლების გასამართვად, მაგრამ თეატრის ფოთში ჩასვლიდან მესამე დღეს საპორტო ქალაქის პოლიციმაისტერს „მოუვიდა ცნობა წარმოდგენების აკრძალვის შესახებ და ეს იმ დროს, როდესაც წარმოდგენა მიღიოდა და პიესა მთავრდებოდა. პოლიციმაისტერმა მოითხოვა პიესის მსვლელობის შეჩერება და ფარდის დაშვება. მესხიშვილის შეკითხვაზე პოლიციმაისტერმა აჩვენა გენერალ-გუბერნატორის დეპეშა, სადაც წათქვამი იყო, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ყოველგვარი წარმოდგენა და წარმოდგენების გამართვაო, ამათ საუბარში წარმოდგენა დამთავრდა“. მხოლოდ მეორე სპექტაკლი „ედ-



პარიზიში როლი  
6. გოგოლის პიესაში  
„შემოილის ცერიენაზი“

იტყობინებოდა: „საბეჭნიეროდ, პირველად გამოცხადებული უმედობა ექიმისა გაქარწყლდა და ავადმყოფობა სამიშს არას წარმოადგენს. საჭიროა თურმე ხანგრძლივი წამლობა და მშვიდობიანი ცხოვრება. მაგრამ ვინ მისცემს ჩვენი სცენის მუშავს ან მშვიდობიან ცხოვრებას, წამლობის საშუალებას? რამდენადაც ვიცით, ქონებრივის მხრით ბ-ნი მესხიშვილი შევიწროვებულია“ („ცნობის ფურცელი“, 1906, №3007).

გამოჯანმრთელების შემდეგ ლ. მესხიშვილი თბილისის ქართული დრამატული საზოგადოების დასის რეჟისორად მიიწვიეს, მაგრამ მძიმე სამუშაო პირობების გამო დიდხანს ვერც აქ გაძლო. 1906 წლის შუა ივლისში იგი სტოვებს საქართველოს და რუსეთში მიემგზავრება.

1908 წელს იგი ქუთაისში ბრუნდება და აქტიურად ებმება შემოქმედებით მუშაობაში. მისი ინიციატივით კვლავ გაიღო მანამდე ურდულგაყრილი თეატრის კარი, კვლავ აინთო მაყურებელთა ჩაბნელებულ დარბაზში მანათობელი ლამპარი. ლადოს უშუალო მონანილეობით ქუთაისის თეატრში იდგმება „შურისძიების ღმერთი“, „ცხოვრების სარკე“, „ახალი ამბავი“, „ურიელ აკოსტა“. 1908 წლის 27 მაისს ამ სპექტაკლის შესახებ გაზეთი „ამირანი“ წერდა: „ყოველი მოქმედების შემდეგ საზოგადოება გაუწყისარებელ ტაშის ცემისა და „ვაშას“ ძახილით აჯილდოებდა გასტროლიორს (ლ. მესხიშვილს — ო.კ.). ვარდ-ყვავილებისა და ქუდების სროლას სცენაზე ხომ დასასრული არ ჰქონდა“.

ლ. მესხიშვილმა თავისი ფიქრი და ზრახვანი ქართული თეატრის „საქმის მონესრიგებისა და სასურველ ნიადაგზე დაყენების“ შესახებ პირნათლად შეასრულა. მან მრავალი ახალი პიესა დადგა თბილისა და ქუთაისში, რომლებმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს შემდგომში ქართული თეატრის ისტორიაში.

**მომზადდა რთარ ქასრაძის  
წიგნიდან „კვალი ნათელი  
კაცისა“, თბ., 1984**



ედუარდი უ. შესაძირის  
პიესაში „შეფე ლირი“

# «იყოს ჭაბუკი ესა გვილი ღმრთისა და მამა მარავალთა მონაზონთა, რამათა ღმართსა გამოუაჩვის»



ფო. შიო, მონასტრის დამუშავებელი, XIX საუკუნის ფრესკაზე

23 თებერვალი შიო მღვიმელის ხსენების დღეა. საეკლესიო მოღვაწე, ერთ-ერთი ასურელი მამა, ღირსი შიო მღვიმელი ანტიოქიელი იყო. მისმა მშობლებმა, ღვთისმოსავმა აზნაურებმა, მშვენიერი განათლება მისცეს ერთადერთ შვილს. თავმდაბალ, კეთილსა და ღვთისმოყვარე შიოს განსაკუთრებით უყვარდა საღმრთო წერილის კითხვა. ოცი წლის შიომ გაიგო დიდი მოღვაწის — იოანეს (ხსენება 7 მაისს) ამბავი, რომელიც თავის მონაფებთან ერთად უდაბნოში ცხოვრობდა და მშობლებისგან ფარულად მის სანახავად წავიდა.

წმიდა იოანემ, რომელიც წინასწარჭრეტის მადლით იყო დაჯილდოებული, სიხარულით მიიღო შიო, აკურთხა, თავის მონაფებს კი უთხრა: „იყოს ჭაბუკი ესა გვილი ღმრთისა და მამა მრავალთა მონაზონთა, რამათა ღმართსა გამოურჩივის“, შიოს კი აღუთევა მონაფეთა შორის ჩარიცხვა იმ პირობით, რომ შინ დაბრუნებული მშობლებისაგან აიღებდა ნებართვას.

გავიდა ხანი. შიოს მშობლები მონასტერში წავიდნენ სამოღვაწეოდ. შიომ კი გაყიდა საცხოვრებელი, გაათავისუფლა ყველა მო-

ნა და მამა იოანესთან წავიდა.

ღირსმა იოანემ სიხარულით მიიღო შიო, ბერად აღკვეცა და უდაბნოში დარჩენის ნება დართო.

ოცი წელი დაჳყო ღირსმა შიომ უდაბნოში მამა იოანესთან. უანგარო მოღვაწეობისა და მორჩილებისათვის მან კურნების ნიჭი მიიღო.

შემდეგ ღირსმა იოანემ იხილა ზეგარდამო ჩვენება, ამოერჩია მონაფები და ივერიაში წამოსულიყო ქართველთა სარწმუნოების განსამტკიცებლად. იმ თორმეტ მამას შორის, რომელიც თან გაიყოლა წმიდა მამამ, შიოც იყო.

როდესაც მამებმა მიაღწიეს ქართლს, კათოლიკოზ ევლავიოსს დამით ეჩვენა ანგელოზი, რომელმაც უთხრა მას: „აი, მოდის იოანე, უფლის განთქმული მონა, თავის მონაფებთან ერთად, რომელმაც უნდა გაანათლოს ეს ქვეყანა, როგორც ეს ადრე ნინომ გააკეთა. ახლა ადექი და მიეგებე მათ და მიიღო კეთილად და ყველანირად დაეხმარე მათ, რადგან ღვთის ბრძანებით მოდიან და ნუ გაიკვირვებ მათს უბრალო ჩაცმულობას, რადგან შინაგანად ისინი ყოვლად ბრწყინვალენი და შემკობილნი არიან“.

ადგა ღირსი ევლავიოსი ეკლესიის მსახურებთან ერთად და გავიდა ზენა სოფლამდე, სადაც გაჩერდა და თვალს ადევნებდა გამვლელ-გამომვლელს, რათა ეცნო ღვთის მონების შემოსვლა. და აი, გამოჩენენ წმიდა მამები, ძონძებით შემოსილები და უფეხსაცმლონი, უსიამოდ შესახედნი, ასურული წესით კუნკულებით შემოსილები. დაინახა თუ არა კათოლიკოზმა, მაშინვე მიხვდა, რომ ისინი იყვნენ, რომლებზეც ეუწყა ღამით, ადგა მაშინვე, მოეხვია იოანეს და უთხრა მას: „კეთილად მოსულხარ, წმიდაო მამაზ“. ნეტარი იოანე ფეხებში ჩაუვარდა კათალიკოზს და უთხრა: „კურთხეულია ღმერთი, რომელმაც ღირსი გამხადა შენი სიწმიდის თაყვანისცემისა“. ასევე დანარჩენმა მამებმაც მიიღეს კურთხევა კათოლიკოზისაგან.

აქ მოხდა დიდი საკვირველება, თუ ღირსმა კათოლიკოზმა და ნეტარმა იოანემ როგორ იცნეს ერთმანეთი და სახელებით მიმართეს ერთმანეთს, და იმაზეც, თუ როგორ იწყო იოანემ ქართულ ენაზე დაუბრკოლებლად საუბარი. ჰოი, შენს საკვირველებას,



ქრისტე ლმერთო, როგორ ადიდებ შენს მადიდებლებს. ეს სასწაული, ძმებო, ჰავას სიონში წმიდა მოცი- ქულებზე სულინმიდის გადმოსვ- ლას, ცეცხლის ენების სახით რომ დაადგა თითოეულს თავზე. ჭეშ- მარიტად საკვირველია ლმერთი თავის წმიდანებს ძორის, ლმერთი, რომელმაც წმიდა სულით უცებ აამეტყველა იოანე იმ ენაზე, რო- მელიც არა თუ ესწავლა, გაგონი- ლიც კი არ ჰქონდა. ვის არ გააკ- ვირვებს და განაცვიფრებს ეს? ყველანი, ვინც კი იყვნენ მაშინ იქ და მოისმინეს ეს სასწაული, გაკ- ვირვებულები და გაოცებულნი ადიდებდნენ ლმერთს, საკვირვე- ლებათა მოქმედს.

ყველას გასაგონად კათოლი- კოზმა უთხრა ნეტარ იოანეს: „მა- მაო იოანე, მე უფალმა მაუწყა შე- ნი მოსვლის შესახებ და ახლა ვმადლობ ლმერთს, რომელმაც აქ მოავლინა შენი სიწმიდე, რათა მრავალ სულს წინ გაუძლვე ღვთის მეცნიერებაში და ასწავ- ლო ჭეშმარიტი ცხოვრება, რომე- ლიც კაცს ღვთის სასუფეველში დაამკიდრებს“. წმ. იოანემ თაყ- ვანი სცა კათოლიკოზს და მიუგო: „წმიდაო მეუფეო, შენ თავმდაბ- ლობით მიმსგავსებიხარ ქრის- ტეს, რომლისაგანაც იგი ისწავ- ლე, ხოლო ჩვენ, შენი მონები, უმე- ტესად ვმადლობთ ლმერთს, რო- მელმაც ღირსი გაგხადა, გვეპო- ვა კეთილი მწყემსი, რომელსაც ყოველგვარი დაფარული საქმე ეცხადება ღვთის მიერ. დიდება ლმერთს, რომელმაც ღირსი გაგ- ვხადა და გნახეთ შენ, რათა შენ გაგვიძლვე ჩვენ, სუსტებს, ცხოვ- რების გზაზე. ვხედავ ღვთის მადლს შენზე, რადგან, როცა ღირსი გავხდი შენი კურთხევის მიღებისა, ჩემმა ენამ დაიწყო სა- უბარი შენს ენაზე, გამეხსნა ყურ- ნი, რომ მომესმინა შენი ბრძანე- ბები, ჩემ უფალო“ . ყველანი, ვინც კი ისმენდნენ ამას, ლმერთს მადლობდნენ.

ერთ დღეს ნეტარმა იოანემ აღ- მოსავლეთით, ზედამნის მთაზე შეამჩნია ნისლის მსგავსი, სადაც ეშმაკები რაღაც საოცრებების მსგავსს ჩადიოდნენ. გაუკვირდა

და უთხრა თავის მოწაფეებს: „ნა- ხეთ უკეთურები რას აკეთებენ? ამიტომ მსურს იმ ადგილზე დავ- მკვიდრდეთ, იმისათვის, რომ ჩვენს დასანახად შეიკრიბდნენ და ახდენენ რაღაც საოცრებებს, მაგრამ არაფერია, ქრისტეს ძალა უნდა შეგვენიოს“. შემდეგ მიხედა არანშიდა სულებს და უთხრა: „კურთხეულია უფალი, მაქედან განდევნილები ვერც სხვაგან სადმე იპოვით სამკიდრებელს, სადაც კი გლახაკი იოანესა და მი- სი ძმების სახელებს ახსენებენ“. ამის შემდეგ მივიდნენ კათოლი- კოზმა და სთხოვეს სამოლვანე- რდ ის ულრანი და ადამიანთა ღვთის მიუვალი მთა, რათა იქ დამკიდ- რებულიყვნენ, ვიდრე ღვთის მად- ლით გამოჩნდებოდა შემდგომი.

კათოლიკოზმა უთხრა მათ: „წმიდა მამებო, ყოველნაირად უნუგეშო, გაუვალი, ადამიანისათ- ვის მიუსვლელი არის ის მთა და ადრე ზადენის ბილნი კერპიც იქ მდგარა, რომელიც გაანადგურა ნეტარმა ნინომ და ახლა, როგორც მესმის, ბოროტისულები ბუდობენ იმ მთაზე“. მამებმა უპასუხეს: „იყოს ღვთის ნება, წმიდაო მეუ- ფეო, და შენი წმიდა ლოცვები ჩვე- ნი ულირსი მონების შემწე, მოგვე- ცი კურთხევა და გაგვიშვი“. როცა კათოლიკოზმა ვერ შეაცვლევინა აზრი, აკურთხა ისინი და გაუშვა.

იყო მაისის თვე და მდინარე არ- აგვი მოდიდებულიყო. მიაღწიეს მდინარის ნაპირს. თვით კათოლი- კოსი ევლავიოსი ეპისკოპოსები- თა და ხალხით მოსულიყო, რათა მამები მშვიდობით გაეცვანათ ადიდებულ მდინარეში. როცა ნა- ხეს მდინარის მოდიდება, სთხოვ- დნენ მამებს, რომ არ გასულიყვნენ, რადგან ეს მაშინ შეუძლებე- ლი იყო.

მაშინ ნეტარმა იოანემ უთხრა ნეტარ შიოს: „ილოცე მამაო, რომ ლმერთმა მშვიდობით გაგვიყვა- ნოს“. მორჩილმა შიომ არაფერი მიუგო, არამედ თავისი მოძღვრის ბრძანებას მინდობილმა აღმოსავ- ლეთით სამჯერ მოიდრიკა მუხ- ლი, წყალს ჯვარი გადასახა და უთხრა: „ჩვენი მამა იოანე გიბრ- დანებს, წყალო, რათა დინება შე-

აჩერო, ვიდრე ჩვენ გავალთ იქით“. ჰოი, უსაზღვრო კაცთმოყ- ვარებას შენსა, ქრისტე, მისი სიტყვით შეჩერდა მდინარე, ვიდ- რე მამები იქითა მხარეს გადავიდ- ნენ. ყველა, ვინც კი დაინახა ეს, ადიდებდა ლმერთს, რომელმაც ასე დიდი მადლი მისცა თავის ერ- თგულ მონებს. ხარობდა კათოლი- კოზმიდა მასთან მყოფი ხალხიც და მადლობდნენ ლმერთს, რომელმაც სარწმუნოების ასეთი განმამტკი- ცებლები გამოუგზავნა ერს.

ნეტარი მამები გაუვალი ტყვე- ბით დიდი წვალეთი ავიდნენ მთა- ზე. ნეტარმა იოანემ მოიარა მთე- ლი მთა და იპოვა პატარა გამოქ- ვაბული, სადაც მან წმიდა ეკლესია მოაწყო. აქ დამკიდრდნენ მამები მცირე კარვებში და დაიწყეს მოღ- ვანეობა ძლიერი, რადგან ზამთარ- ში ყინვისაგან დიდად წუხდებოდ- ნენ. საზრდელად ბალახეულს სჯერდებოდნენ. მალე გახდა ყვე- ლასათვის ცნობილი მათი მთაზე დამკიდრება და ხალხმა მთაზე ასასვლელი გზა გაიყვანა. საიდან არ მოდიოდნენ აქ სნეულები, ეშ- მაკეულები, ბრმები, ხეიბარნი, ყრუნი და ყველანი წმიდა მამების ლოცვით იკურნებოდნენ.

შემდეგ კი, კათოლიკოს ევლავი- ოსის კურთხევით და მამა იოანეს რჩევით, მამები სხვადასხვა კუთ- ხეში წავიდნენ საქადაგებლად.

დაყუდებისმოყვარე შიომ თავი- სი სულიერი მამისაგან უდაბნოში წასვლის ნებართვა ითხოვა. მცხე- თის მასლობლად, სარკინეთის კლდეში იპოვა მღვიმე და დაიწყო მოღვანეობა. ის ადგილი იმ დროს მიუვალი, უწყლო, მხეცებით სავ- სე იყო. „მრავალი ნაკლულევანე- ბა და შიში განიცადა აქ მამა შიომ, მაგრამ ყველაფერი დაითმინა და ყველანარ საცდურს სძლია. ღირს მამას წმიდა ელია თეზბიტელის (ხესენი 20 ივლისს) მსგავსად ფრინველები უზიდავდნენ საზრ- დელს“ (წმიდანთა ცხოვრება, ტომი II, თბილისი, 2001 წ.).

ერთხელ განთიადისას, მთელი ღამის შხურვალე ლოცვის შემ- დეგ, ხევს საკვირველი ნათელი მოეფინა და წმიდა შიოს წმიდა იოანე ნათლისმცემელთან ერთად

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა. ყოვლადწმიდა ქალწულმა განსაცდელთა შინა გაძლიერება აღუთქვა წმიდა ბერს და საზრდოდ თოვლის მსგავსი რამ მისცა.

ხანგრძლივი ღოცვებითა და მუხლთა მოყრით მადლობას შესწირავდა უფალს მრავალი დღის განმავლობაში. ასე შეუორგულებელ ღოცვასა და მარხვაში ნეტარმა შიომ გაატარა რამდენიმე დღე და ღმერთმა, ნახა რა გულმოდგინება და მოთმინება მისი, რომელიც არ ერიდებოდა ხორცისათვის ასეთ დიდ გასაჭირს, და ყოველგვარი სახმარის უქონლობაში საკუთარი თავის დასჯას, ღმერთმა, რომელიც სახიერია და კაცომოყვარე, არ დაივიწყა თავისი ერთგული მონა და, როგორც ადრე ელია გამოზარდა უდაბნოში ყორნის დახმარებით, ისე საღვთო შურით აღვსილი შიოს გამოზრდა იწყო ყოველდღე მტრედის მოვლინებით, რომელსაც მოჰქონდა შიოსთან ხორცისათვის ნუგეშის საცემი. წყალიც კი გამოუდინა მშრალი კლდიდან თავის გამოქვაბულის მარჯვნივ.

იმ დროს იყო ერთი წარჩინებული კაცი, ციხედიდის მთავარი ევაგრე, ღვთისმსახურებასა და საღვთო წერილის კითხვაში აღზრდილი. იგი ერთ დღეს თავის შვილებთან და მსახურებთან ერთად სანადიროდ იყო გამოსული მტკვრის იქითა მხარეს, სადაც იმყოფებოდა სანატრელი შიო. როცა მიუახლოვდნენ იმ ადგილს, ნადირის საქებნელად ყველანიდაითან-ტნენ მარჯვნივ და მარცხნივ, ხოლო ევაგრე ერთ ადგილზე მდგარი იყურებოდა აქეთ-იქით, რათა ეპოვა მის მიერ ძებნილი რომელი-მე ნადირთაგანი. და ღვთის განგებით დაინახა მტრედი, რომელსაც მიჰქონდა ნეტარი შიოსათვის საზრდელთ თავისი ჩვეულების მიხედვით. ევაგრემ თვალი მიადევნა მტრედს და კარგად დაიმახსოვრა ის ადგილი, სადაც შეფრინდა მტრედი. მას შემდეგ, რაც გაარკვია ნადირთა სამყოფელი, დაბრუნდა თავის სახლში.

მეორე დღეს ისევ გავიდნენ სა-



ნადიროდ. როცა სხვები ნადირთა საძებნელად მიმოდიოდნენ, ევაგრეს ისევ იმ გამოქვაბულის მასლობლად მოუწია ყოფნა, სადაც იმყოფებოდა ღირსი შიო. და მან კვლავ შეამჩნია მტრედი, რომელსაც მიჰქონდა ბერისათვის საზრდელი, როგორც წინა დღით. ამან დიდად გააკვირვა ევაგრე და გაჰყვა მტრედს, რათა გაეგო, თუ საით ეზიდებოდა საკვებს. როცა მიაღწია იმ ადგილს, ნახა გამოქვაბულში მჯდარი წმიდა მამა შიო, რომელიც მადლობას აღავლენდა ღვთისადმი. ნანახმა დიდად გააკვირვა ევაგრე, ღვთის მადლმა მიახვედრა იგი, რომ ბერი ამ გამოქვაბულში იყო დაყუდებული და გაესაუბრა მას, გადაწყვიტა მასთან დარჩენილიყო. მაშინ ბერმა უთხრა მას: „შვილო, შენ არ შეგიძლია მოითმინო სიმკაცრე და უნუგებობა ამ უდაბნოსი, რადგან როგორც შენი სახეც აცხადებს ამას, შენ ფუფუნებაში ხარ აღზრდილი, ამიტომ წადი შენს სახლში, გონებაში მუდამ გქონდეს ღვთის შიში, რომ დაგიცვას ყველაფრისგან, რაც კი მავნეა სულისათვის“.

ევაგრემ კი ისევ მიუგო ბერს: „დღესვე რომ მომინიოს შენთან სიკვდილი, მაინც არ მიგატოვებ შენ, ღმერთშემოსილო მამაო, არამედ აქ, შენთან დავრჩები და შენთან ერთან მოვითმენ სიმძიმესა და სივიწროვეს, ვიდრე უკან

დაბრუნდე ქვეყნიურ შვებასა და მოსვენებაში, რომლებიც უამრავი შფოთით არიან აღსავსენი“.

რაცა წმიდა შიომ დაინახა ევაგრეს სიმტკიცე, უთხრა მას: „წადი, შვილო, წაიღე ეს და, როცა მტკვარს მიადგები, ჩაყავი წყალში და უფალი ჩვენი იესო ქრისტეს შენევნით მდინარე გზას მოგცემს, მშრალად გაგატარებს. მოაგვარე ყოველგვარი შენი საქმე. და, თუ უფალი ინებებს და უკან წამოხვალ აქეთ, მიაღწევ რა მდინარეს, როგორც ადრე, ჩემი კვერთხი კვლავ წყალში ჩაყავი და, თუ წყალი გზას მოგცემს, მოდი ჩემთან მაშინვე, რადგან ასეთი იქნება ღვთის ნება. ხოლო, თუ წყალი არ გაიპობა და არ დაემორჩილება ამ კვერთხს და შენ გზას არ მოგცემს, ისევ უკან დაბრუნდი სახლში და მტკიცედ გჯეროდეს, რომ მაშინ ლმერთს არ ექნება სურვილი, ხელი მოგკიდოს შენ“.

ევაგრე, მართალია, უმძიმდა ბერის მიტოვება და მისგან განშორება, მის ბრძანებას დაემორჩილა. სახლში მისულმა მოაგვარა ოჯახური საქმეები, როგორც ეს ჰქონდა ბერისაგან ნათქვამი, უმეტესი ნანილი თავისი ქონებისა მისცა გლახაკებს და ნათესავებისა და საერო ცხოვრების მიმტოვებელი ჩქარობდა, როგორც ლოთი ემურებოდა ღვთის მონა სეგორთან მიღწევას, და გონებითა და თვა-



ლით აღარ იხედებოდა ქვეყნისაკენ, რადგან შიშობდა, უკან მხედველს არ დაეკარგა სასუფეველი ლევისა, როგორც ეს შეემთხვათ მარილის ძეგლად ქცეულებს მიწინერი და სოდომური ვნებებისათვის. **ამიტომ კვერთხით ხელში ჩქარობდა მდინარის ნაპირთან მისვლას.** და როგორც ადრე, ახლაც ღირსი შიოს კვერთხი ჩაყო წყალში და დიდმა და საზარელმა მდინარემ ისევ მისცა მას გზა.

აი, შენი ძლიერება, ქრისტელერთო!

როცა საღვთო სურვილით აღვსილმა ევაგრემ, რომელმაც ბერის ყოველი ბრძანება კეთილად შეასრულა, მიაღწია წმ. შიოს სამყოფელამდე, უთხრა წმიდანს: „წმიდაო მამაო, რაც მიბრძანე, ყველაფერი ისე შევასრულე. ახლა მოვედი შენს სიწმიდესთან, რათა მთლიანად შენ დაგემორჩილო და რასაც მიბრძანებ, ის გავაკეთო“.

ევაგრეფებში ჩაუვარდა ბერს და ევედრებოდა, რათა ალეკვეცა მონაზვნად. შიომ უთხრა მას: „მეჩემს ცოდვილ ხელებს დაგასხამ, შვილო, ხოლო უხილავად უფალმა შეგახოს თავისი მარჯვენა და აღგავსოს ყოველნაირი კურთხევით“. ნეტარმა შიომ შემოსა მას ანგელოზთა სამოსი — სქემა და ასწავლა მონაზონობის წესები და მისცა კანონი მონაზვნებისა, რითაც ევალებოდა მას ყოველივე ხორციელისაგან მორიდება. და დაუდგინა მას საზომი ჯდომისა და დგომისა, ლოცვისა და შრომისა. შემდეგ მოიარა ცოტა მოშორებით თავისი ადგილიდან და იპოვა გამოქვაბული და უბრძანა მასში ყოფნა. და შეამზადა იგი ბოროტებასთან შესახვედრად, თუ როგორ უნდა შებრძოლებოდა მათ, ასწავლა ყველაფერი და ამის შემდეგ წავიდა თავისისავე ადგილას.

ამიერიდან გაცხადდა შიოს სახელი ევაგრეს მხრიდან ახლომახლო სოფლებში და დაიწყეს მრავლად იქ მისვლა, დებულობდნენ მონაზვნობას და მკვიდრდებოდნენ ევაგრეს მახლობლად, ხოლო ყოველ კვირას ნეტარი შიო ადიოდა მათთან, ყველას მოინახულებდა ხოლმე, სწავლა-დარიგებებით აძლიე-

რებდა მათ, შემდეგ კი ისევ თავის გამოქვაბულში ბრუნდებოდა.

ბევრმა მათგანმა ღირს ევაგრეს მიბაძა და უდაბნოში დაიწყო მოღვაწეობა.

ერთხელ ღირსი შიო ლოცვად დადგა და ღმერთს შეევედრა, გამოეცხადებინა მისთვის ეკლესის ასამენებელი ადგილი. წმიდანმა საცეცხლურის ნაცვლად ხელის გულით აკმია საკმეველი. ცეცხლში ხელი არ დასწვა. წმიდანმა საკმევლის კვალს გაჰყვა და იქ, სადაც კვამლმა პირდაპირ ცისკენ აინია, თავისი კვერთხით ეკლესის ადგილი დასახა. ასე მიანიშნა უფალმა წმიდა შიოს, თუ სად უნდა აეშენებინა ტაძარი.

როცა ფარსმან მეფემ ევაგრეს ბერად შედგომა გაიგო, ძლიერ ეწყინა და თვითონ წაპრძანდა შიოს უდაბნოში. **მეფემ ისეთი საკვირველი მადლი იხილა წმიდა შიოს სახეზე,** რომ გვირგვინი მოიხადა და მის წინაშე დაიჩინქა. მამა შიომ მონინებით აკურთხა მეფე, წამოაყენა და თავისი ხელით დაადგა თავზე სამეფო გვირგვინი. მეფის მხლებლებმაც თაყვანი სცეს მამა შიოს და მიიღეს მისგან კურთხევა. მათ შორის იყო ერთი დიდებული, რომელსაც მარჯვენა თვალი დაზიანებული ჰქონდა ისრისაგან. მან მუხლი მოიყარა შიოს წინ, შეახო თვალი მის ფეხს და განიკურნა.

ფარსმან მეფემ ღირს მამას ჰკითხა, თუ რა სტირდებოდა უდაბნოსთვის. წმიდა შიომ უპასუხა: „უფალო მეფე! გულნი მეფეთანი ხელთა შინა ღვთისათა არიან, ვითარცა რა ჯერ გიჩნს, ჰყავ“. მეფემ უდაბნოში ეკლესის ასაშენებელად დიდაღი საფასე, ოთხი დაბა, ბარძიმ-ფეშეუმი, ოქროს ჯვარი და მშვენივრად შემკობილი მეფე ვახტანგ გორგასლისეული სახარება შესწირა.

როცა ეკლესის მშენებლობა დაასრულეს, ფარსმან მეფე ამჯერად უდაბნოში კათოლიკოსა და ეპისკოპოსებთან ერთად ჩაბრძანდა. მოვიდა თვით წმიდა იოანე ზედაზნელიც და ახლად აგებული ტაძარი აკურთხა.

შემდგომ ამისა მეუდაბნოე ძმა-

თა რიცხვმა ორი ათასს მიაღწია. უდაბნოში სასწაულთმოქმედი განდევილის სანახავად და მისგან კურთხევისა და კურნების მისაღებად მრავალი ადამიანი მოღიოდა.

წმიდა შიო მრავალ სასწაულს იქმოდა. ერთხელ მონასტრის სახედრებს მგელი შემოეჩვია და ბევრი დაგლიჯა. როცა ეს ამბავი წმიდა შიომ გაიგო, ილოცა და უფლისგან ითხოვა, ეს მგელი სახედრების მწყემსად ქცეულიყო; ასეც მოხდა — ამის შემდეგ ერთგულად მწყემსავდა სახედრებს.

ერთხელ წმიდა იოანე ზედაზნელმა იხმო თავისი მონაფეები და უბრძანა, ეჩვერნებინათ, თუ სულიერების რა საზომს მიაღწიეს. წმიდა შიომ ხელისგულზე დაიდო ნაკურეცხალი და საკმეველი დააყარა. სასწაულის მხილველი ხალხი გაკვირვებული ადიდებდა უფალს.

ბოლოს წმიდა შიომ თავისი სულიერი მამის, იოანე ზედაზნელისა და საქართველოს კათოლიკოსის ლოცვა-კურთხევით შეკრიბა მონაფეები, მისცა მათ წესი, დაუნიშნა წინამდლვრად ღირსი ევაგრე და მის მიერვე გათხრილ მღვიმეში განმარტოვდა.

ქრისტეს სიყვარულისთვის ცოცხლად დამარხული ღირსი შიო თხუთმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდა მღვიმეში მარხვითა და ლოცვით. ბოლოს, ღვთისგან სიკვდილის მოახლოების გამოცხადების შემდეგ, მიიღო წმიდა ზიარება, ხელები აღაპყრო და მშვიდად ჩაბარა უფალს სული სიტყვებით: „ჰომი, უფალო! ხელთა შენთა შევვედრებ სულსა ჩემსა“.

სპარსელების ერთ-ერთი შემოსვის დროს შაპ-აბასის მხედრებმა შიო მღვიმელის წმიდა დელები ირანში წაიღეს. იმ წელს სპარსეთი საშინელმა ჭირმა მოსრა. შეშინებულმა სპარსელებმა ამის მიზეზად წმიდა შიოს ნაწილებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება მიიჩნიეს და ისინი კვლავ მონასტრში დააბრუნეს.

**ამიჯადღა „შეიდათა ცეოვრების“ მიხედვით**  
ტომი II, თბილისი, 2001 წ.



# შაჲ აბას I აღმოსავლეთ საქართველოში

1614 წლის შაჲ აბას I-ის შემოსევამ კახეთს არნახული ზიანი მიაყენა. განადგურდა მრავალი ქალაქი და სოფელი, ცეცხლს მიეცა ეკლესია-მონასტრები და საცხოვრებლები; მოიშალა სამეურნეო ცხოვრება, განყდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. დამპყრობლებმა თითქმის მთელი კახეთი დაიკავეს.

კახელებმა დიდხანს ვერ აიტანეს ყიზილბაშთა ბატონობა. 1615 წელს დაიწყო აჯანყება, რომელსაც დავით ჯანდიერი მეთაურობდა. გახიზნული თეიმურაზ I სასწრაფოდ დაბრუნდა კახეთში და აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. იგი თავად წარუძღვა ჯარს შეტევაზე. 5 ათასმა ქართველება 15 ათას ყიზილბაშს მუსრი გაავლი და ბრძოლით გამარჯვება მოიპოვა.

განრისხებული შაჲი 1616 წელს კახეთის დასასჯელად და ამოსაგდებად დაიძრა. ის ჯერ თბილისში შემოვიდა და ქართლის მმართველად დაუდ ხანის შვილი, გამაჰმადიანებული ბაგრატ-ხანი დანიშნა. თეიმურაზი მიხვდა, რომ ირანელებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და იმერეთში გაიხიზნა. დავით ჯანდიერის მეთაურობით კახელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. ყიზილბაშები ანგრევდნენ სახლებს, ეკლესია-მონასტრებს, ჩეხვდნენ ბაღებსა და ვენახებს. 1617 წელს ირანელებმა კვლავ დალაშქრეს კახეთი. შაჲ აბას I-ის გამანადგურებელი შემოსევების შედეგად აღმოსავლეთ საქართველო საშინლად აოხრდა და განადგურდა.

განსაკუთრებით მძიმე გამოდგა ეს ლაშქრობები კახეთისთვის.

**100 ათასი ქართველი დაიღუპა ყიზილბაშებთან ბრძოლაში.** 200 ათასი დატყვევებული ქართველი კი შაჲმა ირანში გადაასახლა და ირანის პროვინციებში: ხორასანში, მაზანდარანსა და ფერეიდანში ჩაასახლა. დღემდე მხოლოდ ფერეიდნებულმა შეინარჩუნეს ქართული ენა და ტრადიციები, მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ისინი გამუსლიმანდნენ. ფერეიდნელმა ქართველებმა იციან თავიანთი ისტორია და იციან, რომ მათი სამშობლო საქართველოა. გადასახლებული ქართველების ადგილზე მომთაბარებების ჩამოსახლება დაიწყეს. ბაგრატ-ხანის გარდაცვალების შემდეგ შაჲმა ქართლის მმართველად მისი ძე სვიმონ-ხანი დანიშნა და მისი მცირენლოვნობის გამო მეურვედ გიორგი სააკაძე დაუნიშნა. ქართლის ფაქტობრივი მმართველი გიორგი სააკაძე იყო. იგი ამ ხანების უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამხედრო ფიგურა იყო. ის იყო თბილისის მოურავიც. სააკაძემ ახალგაზრდობიდანვე გამოიჩინა თავი, როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა. მან 1609 წელს ტაშისკართან ბრწყინვალე სამხედრო მანევრით დაამარცხა ქართლში შემოჭრილი მრავალრიცხოვანი ოს-



ლუარსაბ II

მალთა არმია. ამით მეფე ლუარსაბ II დატყვევებას, ხოლო ქართლი აოხრებას გადაარჩინა. მოგვიანებით ძლიერ ფეოდალურ სახლებთან დაპირიპირების გამო ის იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა და სპარსეთში გადავენილობის იქ მან მუსლიმანობა მიიღო. გიორგი სააკაძე იქაც აქტიურად მოღვაწეობდა სამხედრო ასპარეზზე და არაერთი გამარჯვება მოუტანა ირანის არმიას.

გიორგი სააკაძემ დიდი სამხედრო ნიჭი და სიმამაცე გამოავლინა შაჲ აბასის ინდოეთში, ავღანეთში ლაშქრობისას, ყანდაჰარის აღებისას. შემდეგ გიორგი სააკაძემ მონანილეობა მიიღო ოსმალეთის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში, თავი ისახელა ბაღდადადის აღებისას. კახეთიდან ლტოლვილი თეიმურაზ I ყოველნაირად ცდილობდა, ქვეყანაში მდგომარეობა გამოესწორებინა.

**ყიზილბაში აგირევენ სახლებს, ეკლესია-მონასტრებს, ჩეხვდენ გაღებსა და ვენახებს.**

**1617 წელს ირანელებმა კვლავ დალაშქრეს კახეთი.**

**შემოსევების შედეგად აღმოსავლეთ საქართველო საშინლად აოხრდა და განადგურდა.**



თემიმურაზმა რუსეთში გააგზავნა ელჩები, მაგრამ უშედეგოდ. მეფის გაუტეხლობით განრისხებულმა შაპმა შური მის შვილებზე იძია — ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისეს. შაპ-აბას I-მა განიზრახა, ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა საქართველოს საკითხი. მან ჯერ ქართველების მორალური გატეხა დააპირა და ლუარსაბ II-ს გამაპმადიანება მოსთხოვა. უარის მიღების შემდეგ, 1622 წელს ლუარსაბი ციხეში მოაშთობინა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ მეფე ლუარსაბ II წმინდანად შერაცხა.

შემდეგ შაპმა გამაპმადიანება მოსთხოვა ქეთევან დედოფალს. ქეთევან დედოფალი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში. შაპმა იცოდა, თუკი დედოფალი გამაპმადიანდებოდა, ეს ირანის უდიდესი გამარჯვება იძნებოდა. მრისხანი შაპმა ვერაცრით აიძულა ეტევანი, გამაპმადიანებულიყო. 1624 წლის 12 სექტემბერს შირაზში ეტევან დედოფალი სასტიკად აწამეს. ეკლესიამ წამებული დედოფალი წმინდანად შერაცხა. მისმა მონამეობრივმა ალსასრულმა დიდი გამოხმაურება ჰქონდა ქრისტიანულ სამყაროში. პორტუგალიაში, ერთ-ერთი ტაძრის კედელზე არის ქეთევანის წამების ფრესკა.

1625 წელს შაპ-აბას I-მა საქართველოს წინააღმდეგ ახალი ჯარი გამოგზავნა. მას სათავეში წარმოშობით სომები, გამაპმადიანებული ყარჩიხა-ხანი ჩაუყენა. მას შაპისგან დავალებული ჰქონდა კახელების სრული ამონცვეტა, ქართლელების აყრა და ირანში გადასახლება. სადამსჯელო ექსპედიციის ერთ-ერთ სარდლად გიორგი სააკადეც იყო. 1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ველზე გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა. გიორგი სააკადე ქართველთა მხარეზე გადავიდა და მათ შეძლეს ირანელთა ლაშქრის დამარცხება. 30-ათასიანი ირანული არმია თითქმის მთლიანად განადგურდა. აჯანყებულებმა რამდენიმე დღეში მთლიანად განდევნეს ქართ-



შაპევან დედოფალი

ლიდან და კახეთიდან ირანული ჯარი. თემურაზი კი ქართლ-კახეთში მიინვიეს და სამეფო ტახტზე დასვეს.

იმავე წელს შაპმა ახალი ჯარი გამოაგზავნა საქართველოში თავისი სიძისი, ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით. 1625 წლის 1 ივლისს მარაბდის ველზე სასტიკი ბრძოლა გაიმართა ქართველებსა და ირანელებს შორის. ქართველებმა პირველად სძლიერს კიდეც მტერს, მაგრამ მალე ყიზილბაშთა ლაშქარს ახალი, დასვენებული ძალები შეემატა და, ქართველთა გმირობისა და სიმამაცის მიუხედავად, მრავალრიცხვოვანმა მტერმა შეძლო გამარჯვების მოპოვება. 10 ათასი ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე. მათ შორის იყვნენ: დავით ჯანდიერი, რუსთველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი და სხვა მრავალი. ქართველებმა ბევრი მტერი დახოცეს. 14 ათასი ყიზილბაში დაიღუპა მარაბდის ბრძოლაში.

მარაბდის ბრძოლის შემდეგ ქართველებმა, გიორგი სააკადის მეთაურობით, პარტიზანული ბრძოლებით დიდი ზიანი მიაყენეს

მტერს. მათ ქსნის ხეობაში 12-ათასიანი ყიზილბაშთა ლაშქარი გაანადგურეს.

საბოლოო ჯამში, ირანის შაპმა უდიდესი სამხედრო მარცხი განიცადა. მისი არმიის ნახევარი, დაახლოებით 60 ათასი კაცი, საქართველოში განადგურდა. შაპ-აბას I მიხვდა, რომ ძალით ის ქართველების წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდა და პოლიტიკა შეცვალა. მან ცნო თემურაზი ქართლ-კახეთის მეფედ, სამაგიეროდ, თემურაზმა თავი ირანის ვასალად აღიარა. მალე თემურაზ მეფე და გიორგი სააკადე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. შექმნილი ვითარება შაპ-აბასმაც გამოიყენა, რომელიც ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდა დაპირისპირებულ მხარეებს. 1626 წელს ბაზალეთის ტბასთან თემურაზსა და გიორგი სააკადეს შორის გაიმართა ბრძოლა, რომელშიც თემურაზმა გაიმარჯვა და სააკადე იძულებული გახდა, ოსმალეთში გადახვეწილიყო, სადაც ის სულთნის კარის ინტრიგების მსხვერპლი გახდა და 1629 წელს მოკლეს. იმავე წელს შაპმა ახალი ჯარი გამოაგზავნა საქართველოში თავისი სიძისი, ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით. 1625 წლის 1 ივლისს მარაბდის ველზე სასტიკი ბრძოლა გაიმართა ქართველებსა და ირანელებს შორის. ქართველებმა პირველად სძლიერს კიდეც მტერს, მაგრამ მალე ყიზილბაშთა ლაშქარს ახალი, დასვენებული ძალები შეემატა და, ქართველთა გმირობისა და სიმამაცის მიუხედავად, მრავალრიცხვოვანმა მტერმა შეძლო გამარჯვების მოპოვება. 10 ათასი ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე. მათ შორის იყვნენ: დავით ჯანდიერი, რუსთველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი და სხვა მრავალი. ქართველებმა ბევრი მტერი დახოცეს. 14 ათასი ყიზილბაში დაიღუპა მარაბდის ბრძოლაში.

მარაბდის ბრძოლის შემდეგ ქართველებმა, გიორგი სააკადის მეთაურობით, პარტიზანული ბრძოლებით დიდი ზიანი მიაყენეს შაპ-აბას I-მა ვერ მოახ-ერხა თავისი მთავარი მიზნის მიღევა — აღმოსავლეთ საქართველოს სრული „გათა-ათრება“ და ირანის საფინანსო შემადგინ-ლობაში მისი შეყვანა.

# გრაკლიანი

## აა აღმოჩენაა ეციუვნელოვნებ უკიძღება გაცვალოს მსოფლიო დამცარებელის ისტორია



ეროვნული მნიშვნელობის გრაკლიანის არქეოლოგიური ძეგლის კვლევის პროცესში ახალი აღმოჩენა გამოვლინდა — ძვ.წ. აღ. VII საუკუნის ტაძარი, ორი საკურთხეველი და საკურთხევლის პოსტამენტზე დღემდე უცნობი დამნერლობის ერთსტრიქონიანი ნარჩერა. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, პროფესორ ვახტანგ ლიჩელის აზრით, დღემდე უცნობი ნარჩერა გრაკლიანის საკურთხეველზე ყველაზე ადრეულია და საქართველოში დამნერლობის გამოყენების 2700 წლის ისტორიას ცხადყოფს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და დაფინანსებით, გრაკლიანის არქეოლოგიურ ძეგლზე პირველი გზისპირა არქეოლოგიური მუზეუმი მოეწყობა. ამ დროისთვის ადგილზე უკვე დაწყებულია მუზეუმის სამშენებლო და ტერიტორიის ინფრასტრუქტურული მონიტორინგის სამუშაოები. ასევე იგეგმება ავტოსადგომის მშენებლობა.

გრაკლიანი გორა შიდა ქართლ-ში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. იგორეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე მდებარეობს, მდ. ლეხურას მარჯვენა ნაპირზე.

არქეოლოგიური ძეგლი ნარმო-ადგენს მრავალფენოვან ნამო-სახლარს და სამაროვანს. აღმო-ჩენილი მასალა მიეკუთვნება სხვადასხვა პერიოდს პალეოლი-თიდან ძვ.წ. II-I საუკუნეებამდე, როდესაც გრაკლიანის გორაზე ადამიანის აქტივობა უნდა დას-

რულებულიყო.

აქ ორი თვის განმავლობაში მო-იპოვეს 35 ათასი ექსპონატი. ნა-პოვნია ძვ. წ. VIII-I საუკუნეების პერიოდის ასობით სამარხი და ნა-სახლარი, თიხის ჭურჭელი და

ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლისა და ოქროს ნივთები, საყოფაცხოვ-რები და საბრძოლო დანიშნულე-ბის იარაღები და სამკაულები.

მონაპოვართა შორის განსა-კუთრებით მნიშვნელოვანია ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებული ოქ-როსა და ბრინჯაოს დისკოები, რომლებიც არქეოლოგიური ექს-პედიციის ხელმძღვანელ ვახტანგ ლიჩელის გამარტებით, ადასტუ-რებს ქართული სახელმწიფო ე-რიობის სამიათასწლოვან ისტორიას.

2015 წელს გრაკლიანის გორას ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. 2015 წელს გო-რაზე ძვ. წ. VII საუკუნის ტაძარი, ორი საკურთხეველი და საკურ-თხევლის პოსტამენტზე დღემდე უცნობი დამნერლობის ერთსტრიქონიანი ნარჩერა გრაკლიანის საკუ-რთხეველზე ყველაზე ადრეულია და საქართველოში დამნერლობის გამოყენების 2 700 წლის ისტორიას ცხადყოფს.

თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის ექსპედიციამ, რომელიც გრაკლიანის გორაზე აწარმოებს გათხრებს, ნარჩერის თარიღის დაზუსტების მიზნით ნიმუშები მა-იამის (აშშ) ბეტა ლაბორატორიაში გააგზავნა. მაიამის ლაბორატო-რიის მიერ დადგენილი თარიღია ძვ. წ. XI-X საუკუნეები.

ამ აღმოჩენამ მნიშვნელოვნად შეიძლება შეცვალოს მსოფლიო დამნერლობის ისტორია. რადგან დღემდე უცნობი ნარჩერა გრაკ-ლიანის საკურთხეველზე ყველა-

**დღემდე უცნობი ნარჩერა გრაკლიანის  
საკურთხეველზე ყველაზე აღმარცია და  
საკურთხეველში დამცარებელის გამოყენების  
2700 წლის ისტორიას ცხადყოფს.**



ზე ადრეულია და საქართველოში დამწერლობის გამოყენების 2700 წლის ისტორიას ცხადყოფს.

გრაკლიანის გორაზე პირველი მონაპოვარი 2007 წელს თბილისის სენაკი-ლესელიძის გზის მშენებლობის დროს გამოვლინდა; კერძოდ, ავტობანის მშენებლობის დროს, აღმოჩნდა უმნიშვნელოვანესი ნასახლარი და უნიკალური ღუმელი. იქ მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოები დააფინანსა საგზაო დეპარტამენტმა. ხოლო მისი კონსერვაცია და ობიექტის შემდგომი განვითარება უგულებელყოფილი იყო — ობიექტის დიდი ნანილი გზის მშენებლობას შეეწირა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა საგენტომ

2014 წელს (თითქმის 8 წლის შემდეგ) ინტერესი გამოთქვა ამ ობიექტის საფუძვლიან შესწავლაზე, მის კონსერვაციასა და საერთაშორისო სტანდარტებით სამუზეუმო სივრცის მოწყობაზე. 2014 წელს დაიწყო მასშტაბური არქეოლოგიური სამუშაოები.

ერთ-ერთ სამარხში ბრინჯაოს სამაჯური გამოჩნდა, მოგვიანებით მეორე სამარხში ვერცხლის საყურეს გადააცალეს მიწა. თავის ქალას თითქმის უკლებლივ შენარჩუნებული აქვს კბილები. ვერცხლის საყურე კი ემბრიონის ფორმაში გაქვავებულ ნეშტს ყურიდან სახეზე გადავარდნოდა. სამარხი ქალის იყო. იქვე დაესაფლავებინათ კაცი და ცხენი. ერთ-ერთ სამარხში ულამაზესი მცენარეული

ორნამენტებით შემკული ოქროს პატარა დისკო აღმოაჩინეს.

**გახტანგ ლიჩელი:** „ეს არის 2400 წლის ნივთი, ინსიგნია, მფლობელის სოციალური სტატუსის მანიშნებელი. ოქროს დისკო აქვეა დამზადებული, ანუ მაშინდელი საზოგადოება შესანიშნავად ფლობდა ბრინჯაოზე ოქროს გადაკვრის ტექნოლოგიას, რომ აღარაფერი ვთქვათ ორნამენტული მოხატვის ხელოვნებაზე. ეს ტრადიცია ძვ. წ. XVI საუკუნიდან მოდის, ადრინდელი ექსპონატები ასეთი მაღალი დონის არ ყოფილა. მისი მფლობელი, 60 წლის მამაკაცი, სავარაუდოდ, წარჩინებული პირი იყო, ჰქონდა ადმინისტრაციული თანამდებობა“.

გრაკლიანში, კავკასიაში პირვე-





ლად აღმოჩნდა იურიდიული დოკუმენტების საპეჭდავები, რომელიც სამხრეთ მესოპოტამიაში, ურუქშია დამზადებული. ეს იშვიათი ექსპონატები მხოლოდ უმაღლესი რანგის მუზეუმებს — ბრიტანეთის ეროვნულ მუზეუმსა და ლუვრს ამშვენებს.

\*\*\*

2016 წელს დაინტყო სამუზეუმო სივრცის მშენებლობა. მუზეუმში წარმოდგენილი იქნება აქ აღმოჩნდილი ყველა ის არტეფაქტი, რომელიც ამ ობიექტის უნიკალურობაზე მეტყველებსა და გრაკლიანის უწყვეტი განვითარების ისტორიას ადასტურებს. გრაკლიანის შესახებ მასალები გამოქვეყნებულია მსოფლიოს წამყვან სამცნობის მეცნიერო გამოცემებში საფრან-

გეთში, ჰოლანდიაში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში და ესპანეთში.

გრაკლიანის გორაზე გამოვლენილ ტერასებზე განლაგებულია საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, ტაძრები და სამარხები, რომლებიც დ.წ. წ. IV - ა.წ. I ათასწლეულებს განეკუთვნება.

გრაკლიანის ისტორიულ მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს მესამე ტერასაზე გამოვლენილი უნიკალური არქიტექტურული ნაშთი — სატაძრო კომპლექსი (ძ.წ. 400-350 წლები), რომლის სიგანე 25 მეტრია, სიგრძე კი — 6 მეტრი. სატაძრო კომპლექსში შემონახულია თიხის თხელი ფენით შელესილი და დეკორით

შემკული 2 მეტრის სიმაღლის კედლები, რომლის ინტერიერში სარიტუალო ღუმელები და საკურთხევლებია შემორჩენილი.

გრაკლიანის უდიდესი კოლექციის მნიშვნელოვანი ექსპონატებია:

**ოქროს დისკო** — ძვ. წ. აღ IV ათასწლეული, მისი ერთადერთი ანალოგი არსებობს ირანში ქალაქ სუზაში;

**საპეჭდავი** — ძვ. წ. აღ IV ათასწლეულით თარიღდება, მისი ანალოგი არსებობს სამხრეთ მესოპოტამიაში, ქალაქ ურუქში;

**პურის საცხობი ღუმელი**, რომლის ზომები იცვლება შენობის მოცულობის შესაბამისად და შემკულია დეკორატიული ელემენტებით.

## ჩას იმავაზა უკალოდ ცხოველი ქვის ხანაში

ეროვნულ მუზეუმში დაცულია თავის ქალა, რომელიც ეკუთვნოდა ქვის ხანის დმანისში მცხოვრებ ჰომინინს (თანამედროვე ადამიანის წინაპარს), რომელმაც მხოლოდ რამდენიმე წელი შეძლო კბილების გარეშე ცხოვრება.

მეცნიერთა აზრით, კბილების გარეშე ქვის ხანაში ცხოვრება სიკვდილს უდრიდა. ფაქტი, რომ უკბილოდ დარჩენილმა დმანისელმა რამდენიმე წელი შეძლო სიცოცხლის შენარჩუნება, იმაზე მეტყველებს, რომ მასზე მისი თანამედროვეები ზრუნავდნენ და რბილი საკების მოპოვებაში ეხმარებოდნენ.

დმანისელი ჰომინინისთვის ჯანმრთელი ყბა-კბილთა სისტემა სიცოცხლისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, რადგან ისინი კბილებს, როგორც მესამე ხელს, ისე იყენებდნენ და, საჭმლის გადამუშავების გარდა, სხვა ფუნქციასაც აკისრებდნენ.


დმანისელი ჰომინინი კბილის ჩხირსაც იყენებდა ზუსტად იმავე მიზნებისთვის, როგორც თანამედროვე ადამიანი. კბილის ჩხირის გამოყენებაზე კბილებზე აღმოჩნდილი ლარები მიუთითებს.

დმანისელი ჰომინინები თანამედროვე



ადამიანთან შედარებით უფრო დაბლები იყვნენ. მათი სიმაღლე 1.5 მეტრი იყო, ნინგამოშვერილი სახეები და მცირე მოცულობის ტვინი ჰქონდათ. მათ ორ ფეხზე სიარული შეეძლოთ, ამავე დროს ჰქონდათ კარგად განვითარებული ფეხის მტევანი, რის გამოც ადვილად გადაადგილდებოდნენ.

ფეხისგან განსხვავებით, ხელი ნაკლებად განვითარებული ჰქონდათ და ადაპტირებული იყო სხვადასხვა მოძრაობის შესასრულებლად — ისინი მოხერხებულად იქნევდნენ ქვის იარაღებს, რომელთა დამზადება ჰომინინებმა 2,5 მილიონი წლის წინათ დაიწყეს.



## ასტეროიდების დაღამინის განადგურება უკეთია

ამერიკელმა მეცნიერებმა გამოთვალეს, ჩვენი პლანეტა რომელ პერიოდში განადგურდება. როგორც გაირკვა, ეს მოხდება და მკვლევარებმა იციან — როდის.

დაახლოებით 1, 35 მლნ | უამრავი ასტეროიდი ჩამო- წლის შემდეგ დაღამინაზე | ვარდება. აშშ-ის მეცნიერთა

აზრით, ეს იქნება 2 ათასი ასტეროიდი. კოსმოსური სხეულების დედამიწაზე ვარდნა 1 მილიარდი წლის განმავლობაში გაგრძელდება. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ასტეროიდების სიგანე 1 კმ იქნება.

ამ უზარმაზარი ობიექტების ცვენამ, შესაძლოა, ბიოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს, იმის მსგავსი, როგორიც 66 მლნ წლის წინათ იყო. მაშინ ატეროიდების დედამიწაზე ჩამოცვენის შედეგად ცხოველების სახეობათა 75% დაიღუპა, მათ შორის დინოზავრები.

**სპეციალისტები დარწმუნებული არიან, რომ აღნიშ- ნელ დროზე აღრე ასტეროი- დების ჩვენს პლანეტასთან შეჯახების ალგათობა ნუ- ლის ფორმის. ნასას თქმით, დე- დამიწას გამუდმებით ჩაუქროლე- ბენ ხოლმე ასტეროიდები, მაგრამ ისინი საფრთხეს არ უქმნიან კა- ცობრიობას. ყველა ისინი ადამი- ანების მხედველობის არეშია და ჩვენს პლანეტას საშიშროებას არ უქმნის.**

## გაციებები განეახს ტეხნი: დიოდურა განათება, უსაქლოა, დაღამინაზე უკლა ცოცხალი არსება გაანადგუროს

დიოდური განათება  
ნეგატიურად მოქმედებს  
ცოცხალ ორგანიზმებზე და,  
შესაძლოა, ნამდვილ  
ბიოლოგიურ კატასტროფად  
შემოგვიბრუნდეს.

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი მეცნიერები, შეის- წავლეს რა სინათლის დიოდური წყაროების ზემოქმედება ობო- ბებზე.

აღმოჩნდა, რომ ცხოველები, რომლებიც დიოდური განათების ქვეშ იმყოფებოდნენ, შედარებით ნელა გადაადგილდებოდნენ და ვერ ნადირობდნენ. ისინი თავი- ანთ ჩვეულ მდგომარეობას მხო- ლოდ მას შემდეგ უბრუნდებოდ-



ნენ, როცა ისევ მზის სხივების ქვეშ აღმოჩნდებოდნენ. დადგინ- და ასევე, რომ მსგავსი განათება უარყოფითად მოქმედებს მცენა-

რებზეც. მეცნიერები განათების ალტერნატიული წყაროს მოძიებ- ისკენ მოუწოდებენ, სანამ ჯერ კი- დევ არ არის გვიან.



## ქვის საიდუმლო ზეარეგული გემოებები

ერთხელაც გაიღვიძო და აღმოაჩინო, რომ მხატვარი ხარ, მართლაც ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს. პლეკო ლომაძეს ფერწერა არც რომელიმე მხატვრის სახელოსნოში უსწავლია და არც სამხატვრო აკადემიაში. ვერც თვითონ ხსნის, რატომ გაუჩნდა ქვის დაფშვნისა და ნაფხვენის ნებოთი შეზავების, შემდეგ კი ამ „საღებავით“ ხატვის სურვილი. ის ქვას პირველად 1991 წელს შეეხო, როცა მაცხოვრის ჯვარცმა გამოაქანდაკა, ხოლო „ქვით ფერწერას“ მოგვიანებით, თანდათან დაეუფლა.

დღეს მისი დაწერილი ხატები საქართველოს არაერთ ეკლესიაშია დასვენებული. მისი ნამუშევრებით თავის დროზე აღფრთვანებული დარჩენილან ოტია იოსელიანი, რეზო ჩხეიძე, ჭაბუა ამირეჯიბი და სხვა ცნობილი ადამიანები, რომელთაც ახალგაზრდა კაცში იმთავითვე დაინახეს ღვთისგან მომადლებული ნიჭი და გზა გაუკვალეს მის შემოქმედებას.

„ერთობ საყურადღებო წამონებაა და, ვფიქრობ, მომავალიც კარგი ექნება, თუ ავტორი უნივერსალობას გამოყენებითობასაც მიანიჭებს მისაღები ზომებით“, — უნინასწარმეტყველა მას ჭაბუა ამირეჯიბმა.

და მართლაც, ოსტატი გრძნობს, რომ ნამუშევრიდან ნამუშევრამდე იზრდება, ტექნიკას ხვენს და ქვასთან მუშაობის საიდუმლოს ეუფლება. ყველაზე რთული მის საქმიანობაში ქვის უროთი და ჩაქუჩით დაქუცმაცება-დაფქვა

და შემდეგ წებოთი შეზავებული მასის ხის, მინის ან რკინის ზედაპირზე სწრაფი გადატანაა. საქმე ისაა, რომ ქვისა და წებოს ნარევი — მასა, რომელიც ფუნჯს ემორჩილებოდა, ძალიან სწრაფად ქვადვე იქცევა, ამიტომ მის დაყოლებას მისივე ბუნების ღრმა ცოდნა სჭირდება.

ალეკოს ნამუშევრების ფერთა გამა ყოველგვარი უცხო მინარევის გარეშეა მიღებული — მხოლოდ ფერადი ქვების ფხვნილის ნაზავია. ქვის საიდუმლოს ზიარებული შემოქმედი კი აცხადებს, რომ მათში იმდენი ფერია, რომ კაცობრიობას საღებავად არც კი აქვს გამოყენებული. ალეკო ლომაძეს ქვები საქართველოს ყველა კუთხიდან მოაქვს.

გატაცება პროფესიად ექცა და აი 2006 წელს, ბატონ გოგი დოლი-



ძის თაოსნობით, საქართველოს ეროვნულ პიბლიოთეკაში აღეკო ლომაძის ნამუშევრების 5-დღიანი გამოფენა მოეწყო. მისი „თამარ მეფე“ და „დავით ალმაშენებელი“ დღეს სამების ტაძარშია გადაბრანებული.

მიუხედავად იმისა, რომ „ქვასთან ჭიდილი“ საკმაოდ შრომატევადია, დიდ ძალის ხმელეთია და ენერგიას მოითხოვს, შემოქმედი მზადაა, ასეთი წვალებით შექმნილი ნახატი გააჩქუროს, უშურველად გასცეს. ექვთიმე თაყაიშვილის პორტრეტი ლიხაურის მუზეუმში უსახსოვრა, ასევე საიუბილეოდ დახატა დიმიტრი ყიფიანის პორტრეტი და ისიც ამ დიდი მამულიშვილის მშობლიურ სოფელს გადასცა; ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტი კი სოფ. მატაანის სკოლას აჩუქა.

ალექსოლომაძემ შექმნა საქართველოს პატრიარქის, უნინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს პორტრეტი, რომელიც მხატვარმა უნინდესის კურთხევით დახატა. ეს არის უნიკალური ნამუშევარი, რომლის სიმაღლე 2,20 მეტრია. მასზე ჩვენი ერის სულიერი მწყემსმთავარი, უნინდესი და უნეტარესი, რუდუნებითა და საოცარი სიცხადითაა გამოსახული.

დღეს სამების ტაძარში ალექსოლომაძის რამდენიმე ნამუშევარია



გამოფენილი, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებო მემანიც საქართველოს რუკა მგონია, რომელზეც XIII საუკუნემდე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტაძრებია დატანილი და თანაც, რაც ყველაზე საინტერესოა, თითოეული მათგანი იქიდან ჩამოტანილი ქვითაა დახატული, სადაც ისინი მდებარეობს. ილია მეორეს დაკვეთით ვაზის ლერწითა და ფერადი ქვებით შესრულებულ ამ უნიკალურ ნამუშევარს თვეების განმავლობაში უტრიალებდა და ხვენდა შემოქმედი, ხოლო მისი ივერიის ღვთისმშობელი

მალე ელიას მთაზე ახალაშენებულ ტაძარში დაიდებს ბინას.

ალექსოლომაძის ერთ-ერთი გამორჩეული ნამუშევარია რუსთაველის ფრესკის (საბერძნეთში ასე უპატიოდ რომ გადაფხიკა მავანმა და შემდეგ, არცთუ სახარბიელოდ, განაახლეს ბერძენმა მხატვრებმა) ანალოგი — მან რუსთაველი „თავისი საღებავით“ დახატა, რომლის გადაფხეკას ვერავინ შეძლებს.

2016 წელს ლიტვის დედაქალაქში თბილისობა გაიმართა. მოეწყო გამოფენა, რომელზეც ალექსოლომაძის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი.


„ბატონი ალექსოლომაძე ჩემთვის აღმოჩენაა. თვითმყოფადი, ორიგინალური, რასაც გულისხმობს, სწორედ ალექსოლომაძის მოქრიოლი.

ეს გრძნეული კაცი სხვადასხვა ფერის ქვებს ფერავს და ამ უახლესი (იქნებ ათასწლეულების მიმდაცნობილი) მეთოდით ხატავს.

ერთია, მიაგნო ფერთა საკუთარ სიმფონია-შეხამებას და მეორეა, შემოქმედება უმაღლეს სულიერ ღირებულებებს მიუძღვნა.

ალექსოლომაძის „ქრისტე“ და „ილია მეორე“ ჭეშმარიტ შედევრებად მიმაჩნია — რევაზ მიშველაძის ამ სიტყვებს ერთი რამ შეგვიძლია მხოლოდ დავუმატოთ: წარმატებებს გისურვებთ, ბატონი ალექსოლომაძე!

**დეა სვანიძე**





ალეკო ლომაძე, ქვის ფენებით  
დახატული რუსთაველის ფრესკა



ISSN 1987-5908



9 771987 590006